

652  
1983/2


ISSN 0134 3459

საქართველოს  
ბიბლიოთეკის

# ქრონიკა

1983 1

90



# ქოროსი

ქართული  
ბიბლიოთეკა

ლიბერატორულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ჟურნალი

საპარტიზო მფარველთა კავშირისა  
და აპარის განყოფილების  
ორგანო

გ ა მ მ ც ე მ მ ს 25-ე წ ე ლ ი

1

1983

ი ა ნ ვ ა რ ი  
თ ე ბ რ ე ვ ა ლ ი

რა მშენებელი ზღვა ვეფხვს, აჭარბა,  
რა მთხვავალი, მჭვრეტასი შედით...  
ქალაქი—ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



გ ა თ უ მ ი

აპარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

## ნომერული დაბეჭდილია:

	3 გამარჯობა, წელო ახალო!
	6 ნესტორ მაღაზონია 90 წლისაა
ნესტორ მაღაზონია	7 მოგონებათა წიგნიდან
ფრიდონ სალვაში	13 ლექსები
ჯონი ბარამიძე	16 თეთრი ბათუმი (ლექსი)
მამია ვარშანიძე	17 ოხერა ხულისა (ქრონიკა)
მეუნ დავითიძე	24 ლექსები
გიორგი კვტალაძე	26 ორი მოთხრობა
მევერ ბაკურიძე	30 ოქრო იღვრება (ლექსი)
სურაბ შირცხალაიშვილი	31 ლექსები
ჯემალ ჯაფელი	33 ივერია (მოთხრობა)
ჯემალ კვერცხიანიძე	45 ზღვა — ციხფერი წიგნი (პოემის ფრაგმენტები)
რამაზ სურმანიძე	47 ემრულა (ეინომოთხრობა)
პოლ ელშარი	59 თავისუფლება (ლექსი. თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა)
შალვა დადიანი	61 თეთრი კენია (ლექგენდა)
რაფიელ შამელაშვილი	63 ეპიგრაფი გალაკტიონ ტაბიძის პო- ეზიაში
ლიანა შერაძე	68 გაზეთ „ივერიის“ ისტორიისათვის
აბელ სურგულაძე	72 ქართველი ხალხოსნები ბათუმში
სოსო აბაშიძე	76 ჟამი ფრთის გასწორებისა
საზა სინარულიძე	79 ბარათაშვილი
ანდრო შამბახიძე	81 წარსულ სეზონს რომ ვისხენებთ
	85 გახულ ორ თვეში

გარეკანის 1-ლ გვერდზე — არქიტექტორთა სახლი ბათუმში.  
მხატვარი ამთანდლილ ლომაძე.

ტექნიკური ხელმძღვანელი **მუჰანა დარნია.**

# გამარჯობა, ველო ასალო!

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

17.430

ახალი — 1983 წელი დააბიჯებს ჩვენს პლანეტაზე.

ყოველთვის, როდესაც ვაცილებთ ძველ წელს და კარს ვუღებთ ახალს, გონების თვალთ ეროსხელ კიდევ გავხედავთ განვლილ დღეებს — რახი ვიყავით, რა გავაკეთეთ, როგორი იქნება მომავლის პერსპექტივები, რა სამუშაო გველის წინ?

საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყით აღნიშნავენ, რომ 1982 წელს მათ სასახელოდ იშრომეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა შესრულებისათვის.

ბევრი, ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა აღინიშნა გასულ წელს. მათ შორის უპირველესი, ცხადია, იყო ხალხთა ლენინური მეგობრობის დიადი დღესასწაული — საბჭოთა კავშირის შექმნის სახელოვანი 60 წლისთავი.

„საბჭოთა კავშირის მიერ 60 წლის მანძილზე გამოვლილი გზა, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ სახეიმი სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ეს მთელი ეპოქაა. კაცმა რომ თქვას, ისტორიას არ ენსომება ესოდენ სწრაფი აღწავლობა ჩამორჩენილობის, უბედურებისა და გაპარტახების მდგომარეობიდან თანამედროვე მძლავრ დიად სახელმწიფომდე, რომელსაც აქვს კულტურის უმაღლესი დონე და რომლის ხალხის კეთილდღეობა ნიადაგ უმჯობესდება“.

სწორედ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება არის ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის მიერ შემუშავებული ხანგრძლივი სტრატეგია მეთერთმეტე ხუთწლედისა და ეთლიანად ოთხმოციანი წლების პერიოდისათვის — სტრატეგია, რომლის მიზანი, როგორც ზემოთ ითქვა, ის არის, რომ საბჭოთა ადამიანები წლითიწლობით ცხოვრობდნენ უკეთ და მათ შორის მოჰქონდეს სულ უფრო მნიშვნელოვანი შედეგები, რომ ჩვენი სოციალისტური წყობილება სულ უფრო სრულად ავლენდეს თავის ჰუმანურ არსს, თავის აღმშენებლობით შესაძლებლობებს.

უდიდესი და რთულია მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის ამოცანები, მაგრამ საბჭოთა ადამიანებს სჯერათ, რომ ეს ამოცანები წარმატებით გადაიჭრება. ამის საწინდარია პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა, მათი მისწრაფება — მტკიცედ და განუხრელად იარონ წინ ლენინური გზით. ეს მთელ ენოფლიოს კიდევ ერთხელ უჩვენა ლეონიდ ილიას ჰე

მ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლ.



ბრეჟნევიტან გამოთხოვების დღეებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარეშე პლენუმმა, რომელმაც ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდიანად ერთხმად აირჩია გამომხინელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

პარტიისა და ხალხის ურდვევი ერთიანობა ახალი ძალით დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა და საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულმა.

ხალხთა ძმურ კავშირში გაერთიანებული ყველა რესპუბლიკა თვალსაჩინო მიღწევებით შეეგება ამ დიდ ზეიმს. მოწინავეთა შორისაა საბჭოთა საქართველოც. ამის შესახებ ხაზგასმით იყო აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის მოსამზადებლად საქართველოს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ამ დადგენილებაში, სხვებთან ერთად, მაღალი შეფასება დაიმსახურა ლიტერატურისა და ხელოვნების ნუშაკთა შემოქმედებითმა შრომამ. ქართველი მწერლები მხარში ედგნენ პარტიას ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად, მათ არაერთი თვალსაჩინო ნაწარმოები შექმნეს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე.

როდესაც გასული წლის ლიტერატურულ ცხოვრებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კომუნისტური ეშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების შემოქმედებითი კავშირის შესახებ“.

ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანმა პარტიულმა დოკუმენტმა ჩვენს მწერლობას, ლიტერატურული ჟურნალების მუშაკებს, საერთოდ, მთელს შემოქმედებით ინტელიგენციას კიდევ ერთხელ შეახსენა დღევანდლობის უპირველესი მოთხოვნა — შენოქმედებითი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, პარტიის წინასწარდახსულობათა შესრულებას.

ქართველმა მწერლებმა, რესპუბლიკის ლიტერატურული პერიოდიკის მუშაკებმა, მათ შორის ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქციამ, ჟურნალისა, რომელსაც წელს გამოცემის 25 წელი უსრულდება, ჩვენი პარტიის ეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება აღიქვს როგორც სამოქმედო პროგრამა თავიანთ დღევანდელ თუ სამერმისო საქმიანობაში.

ღრნა კვალი დატოვა რესპუბლიკის შემოქმედებით ცხოვრებაში 1982 წელს გამართულმა დიდი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მიხვილ ჯავახიშვილის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძისა და გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო დღეებმა, რომლებიც ორგანულად იყო დაკავშირებული ხალხთა ძმობის დიდ ზეიმთან — საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავთან.

ძმობის დღესასწაულის თავისებური გაგრძელება იქნება გეორგიევს-

კის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმი, რომელიც წელს აღინიშნება, მართლმართის მზადება ფართოდ გაიშალა. ჩვენი წვრლებიც ხელდასაშეუნიშნული ხვდებიან ამ დიდ იუბილეს.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალე-ბის ბეჭდვა ჩვენმა ჟურნალმა კარგახანია დაიწყო. „ჭოროხის“ ამ ნომერ-ში ვაგრძელებთ საიუბილეო მასალების გამოქვეყნებას. მკითხველი გაცე-ნობა აგრეთვე თვალსაჩინო ქართველი პოეტისა და საზოგადო ლოღვაწის ნესტორ მალაზონიას მოგონებებს. პოეტისა, რომლის დაბადების 90 წლი-სთავი ახალი წლის წინა დღეებში ზეიმით აღნიშნა ჩვენმა საზოგადოებამ.

საბჭოთა ადამიანებმა ახალი წლის პირველ დღეებიდანვე კარგი სტა-რტი აიღეს ზუთწლედის ჩესამე წლის დავალებათა შესასრულებლად. მა-თი დევიზია: სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიუ-რობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფე-რში!

ახალი — 1983 წელი დააბიჯებს ჩვენს პლანეტაზე.


მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანს სურს, რომ 1983 იყოს მშვიდობის წელი, რომ კაცობრიობას არ ემუქრებოდეს თერმოატომური ომის საშინელება.

საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლობითი გეგმების განხორციელებისთვის საჭიროა მშვიდობა, დაძაბულობის შენელების შენარჩუნება და გაღრმავე-ბა, უცვლელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური სა-გარეო პოლიტიკის იზნები — მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა, ხალ-ხთა დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის უფლებების დაცვა.

„საბჭოთა კავშირი, — აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ყო-ველ დონეს იზმარს, რათა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის უზრუნველყოს წყნარი მშვიდობიანი მომავალი. ეს არის ჩვენი პოლიტი-კური მიზანი და მას არ გადაუხვევთ“.


საბჭოთა ადამიანებს სჯერათ, რომ 1983 წელი იქნება შემოქმედება-თი შრომის, მშვიდობისა და ბედნიერების ერთი კარგი წელიწადი.

გამარჯობა, წელი ახალი!



# ნესტორ მალაზონია

## 90 წლისა



დიდად პატივცემული ბატონო ნესტორ!

გულითადად გილოცავთ დაბადების 90-ე წლი-  
სთავს. ექვსი ათეული წელია თქვენ მოუღლე-  
ლად და შთაგონებით ემსახურებით სამშობლოს,  
განვლეთ დიდი და შინაარსიანი ცხოვრების გზა,  
რომელიც მთლიანად მიუძღვნით მთავარ თე-  
მას — მშობლიური კუთხის სიყვარულს, საზ-  
ქოთა ადამიანის უზადო პატრიოტიზმს, მის გმი-  
რულ და საბრძოლო შემართებას. ძალზე სასიამო-  
ვნოა აღინიშნოს, რომ შთაგონებულმა და  
მართალმა შემოქმედებამ მაღლიერი მშრომელი  
ხალხის სიყვარული და პატივისცემა მოგინე-  
ჭათ. სულითა და გულით გილოცავთ, ბატონო  
ნესტორ, დიდებულ იუბილეს, გისურვებთ  
ჯანმრთელობას, მხნეობას, ბედნიერებას, ახალ  
შემოქმედებით გამარჯვებებს.

პატივისცემით  
ედუარდ შვეპარდნაძე.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის, საქარ-  
თველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შვეპარდნაძის ეს  
დებეშა წიკითხა თვალსაჩინო ქართველი პოეტის ნესტორ მალაზონიას დაბადების 90-ე  
წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-  
ტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის სოლქო კომიტეტის პირვე-  
ლმა მდივანმა ვ. პაპუნძემ, რომელმაც მხურვალედ მიულოცა მცხოვან პოეტს ღირს-  
სახსოვარი თარიღი, მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბატო  
სიგელით დაჯილდოება და ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა.

საიუბილეო საღამოზე მოხსენებით გამოვიდა პოეტი მ. ვარშანიძე.


იუბილარს მიესალმნენ მწერალი ნ. ავიაშვილი, პოეტები ლ. სულაბერიძე, ნ. ჯალა-  
ღონია, ჯ. ქათამაძე, შ. როყვა, პოეტის მშობლიური სოფლის მამათის კოლმეურნეობის  
თავმჯდომარე პ. შვეპარდნაძე, პროფესორი ი. სიხარულიძე, ქობულეთის რაიონის დავის  
კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი დ. ცაცანიდი, ტანკერ „ალექსანდრე  
კორნეიუკის“ კაპიტნის პირველი თანაშემწე გ. შარაშიძე და სხვები.

ნესტორ მალაზონიამ გულითადი მადლობა გადაიხადა მისი დეაწლის დიდი დაფასე-  
ბისათვის.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

\* \* \*

ჟურნალ „ქოროხის“ რედაქცია მხურვალედ ულოცავს თვალსაჩინო ქართველ პოე-  
ტსა და საზოგადო მოღვაწეს ნესტორ მალაზონიას სახელოვან იუბილეს, უსურვებს  
პირად ბედნიერებასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.



# მოკონსერვატი ნიგონიან

მამათის სკოლის დირექტორი გაბრიელ გოგუაძე, რომელმაც მის სკოლაში ადგილი არ მოძცა, სამაზრო განათლების განყოფილებაში ინსპექტორად გადაიყვანეს. იგი თურმე დინტერესდა ჩემი მუშაობით (როგორც შემდეგ თვითონ გამოიტყდა) და სარევიზიოდ აცანის სკოლას ეწვია.

ჩემი რევიზია დამამთავრებელი კლასით დაიწყო. ინსპექტორმა საკლასო რეგულაციები მომთხოვა წინასწარ. გაეცნო რეგულაციებში ყველა ნამუშევარს. არაფერი უთქვამს, მაგრამ შევატყვე, კმაყოფილი დარჩა.

ეს მჭევრმეტყველი და განსწავლული კაცი, შესანიშნავი პედაგოგი და მოღვაწე რევიზიის დროს მეტად სიტყვაბუნწი იყო. ვერც სადილზე მიიწვევდა. გინუნებდა საგზალს, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა მოზრდილ პორტფელში. თუ რამე მოეწონებოდა, თავს დახრიდა წამით. ეს იყო და ეს. და სწორედ რეგულაციების შემოწმების შემდეგ „დასარა“ თავი. მერე ორი გაკვეთილი დაჰყო ჩემს კლასში, საფუძვლიანად გამომაკითხინა გავლილი მასალა, თვითონაც შეეკითხა მოსწავლეებს. და როცა გაკვეთილის დამთავრების ზარი გაისმა, ხელი ჩამომართვა და მოკლედ შესროლა „კარგია!“ მოსწავლეებს მადლობა უთხრა და გავიდა.

— სიტყვიერების თეორია პროგრამაში არაა და კარგად დაგიკავშირებით მასალებთან. როგორ მოახერხეთ? — დირექტორის თანდასწრებით მკითხა.

მეც მოვახსენე, როქ ასეთი საკითხებისათვის ძირითადად ლიტერატურულ წრეს ვიშველიებ-მეთქი.

— ლიტერატურული წრეც გყავთ?

— კი, ბატონო. სწორედ დღეს არის წრის მეცადინეობა, საღამოს.. ხომ ვერ დაგვესწრებით? — ვკითხე.

— უსათუოდ.. და სიამოვნებითაც! — თქვა ინსპექტორმა.

ლიტერატურული წრის მეცადინეობა დაიწყო. ილიას შემოქმედებაზე მოხსენება ჰქონდა მოსწავლე იორდანე ჩხაიძეს. იგი ნაკითხი და განვითარებული ყმაწვილი იყო. საერთოდ, ბევრს მეცადინეობდა და საღად მსჯელობდა.

მოხსენებამ, კამათმა და წრის წევრთა აქტივობამ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვა და გაბრიელის აღტაცებაც გამოიწვია. მე მადლობა გადამიხადა, მოსწავლეებს ბეჯითობა მოუწონა. განსაკუთრებით იორდანეს, მე ხელი ჩამომართვა „კარგი მუშაობისათვის“ და წავიდა.

მეორე დღეს ინსპექტორმა შეამოწმა სხვა კლასები და საუნებო, განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა შუშანა ჩხაიძით (რუსული ენა და ლიტერატურა), რეგი ჩხაიძით (ბუნებისმეტყველება), ალისტრახო ჩხაიძითა და სხვებით.

საერთოდ, მთელი სკოლით კმაყოფილი წავიდა ინსპექტორი გაბრიელ გოგუაძემ. ასე დაწვრილებით (და თავის ქებითაც) იმიტომ შეეწერდი ამ რევიზიას, რომ ამ „დაზვერვის“ შემდეგ გადაწყდა ჩემი გადაყვანა მამათის სკოლაში, რომლის პატრონი იყო გაბრიელი.

მაგრამ ეს აქტი არ შედგა.

აცანაში უკვე მოვასწარი ამ სამ-ოთხ თვეში პატარა ავტორიტეტის მოხვეჭა. ამ სკოლის მსწრუნველი ოქროპირ ჩხაიძემ ჩემით კმაყოფილი გახდა და ეჭვის თვლით აღარ მიყურებდა. ამასთან, მან იუკადრინა მასწავლებლის „წართმევა“ და განათლების განყოფილებაში და მერე ერთბაშიც (რომლის თავმჯდომარე აცანელი სიო ჭანტურიშვილი იყო) თვითონ წავიდა, ვისივე დავალების გარეშე.

მე ერთბაში გამომიძახეს. კარებთან დამიხვდა ოქროპირი. თავმჯდომარის კაბინეტში ერთდროულად მოვხვდი (თუმცა აღრე მისულიყო და მიცდიდა).

სიო ჭანტურიშვილს აცანიდანაც და მანამდეც ვიცნობდი. პირადად გავიცანი აცანაში, სოლო როგორც მწერალ-დრამატურგს, ბევრი იცნობდა გურიაში. აცანაში დადგმული გექონდა მისი პიესა „მორივეში“.

სიო იყო საშუალოზე მაღალი, შავრემანი, კარგი მეტყველი-მოუბარი და თავმდაბალი, როგორც ყველა დიდი ბუნების ადამიანი... ვისაც ერთხელ მაინც მოუხმენია მისი სიცილი, არაზოღეს დავიწყებდა (ეს სიცილი დაჰყვა მის შვილს დინას).

შევედი თუ არა კაბინეტში, კალმისტარი დაღო (რაღაცას წერდა), წამოდგა, სამი-ოთხი გრძელი ნაბიჯით შემოგვეგება და ხელი ჩამოგვართვა.

— მაპატიეთ. ასლა ხასწავლო წელი დაიწყო და მასწავლებლის მოწყვეტა სკოლისაგან დანაშაულია, მაგრამ არის ერთი საკითხი.

— როგორ გეკადრებათ, ბოდიში... ალბათ, საჭიროა. — დაბნეულად ვთქვი.

— ბატონო ოქროპირ, თქვენ თუ დავგტოვებთ, მეონი აჯობებს, — თქვა სიომ და მე შემომხედა.

— ჩემთვის სულ ერთია... თუ საქმე ჩემს საკითხს შეეხება. — ვთქვი მე.

— სწორედ თქვენი ადგილის საკითხია და უხერხულობა არ ივრძნოს-მეთქი.

— სრულიადაც არა... მე პირდაპირი კაცი ვარ და... პირდაპირ თქმული მირჩევნია...

— მაშინ... დაბრძანდით, ოქროპირ ბატონო, დაბრძანდით. — სკამი მიუწია ფეხზე მდგარ ოქროპირს და მე მომიბრუნდა:

— თქვენ ხომ არ გითხოვიათ მამათში გადასვლა?

— არა! — ვუპასუხე მე.

— მაშ თქვენი სურვილის წინააღმდეგ? იფიქრეს, ალბათ, იქაურია, შინ იქნებაო...

— ბატონო სიო, განათლების განყოფილებას კარგი, დამაჯერებელი მოტივი წამოუყენებია. მე მამათელი კი ვარ, ოჯახთან უფრო ახლოს ვიქნები და მიხედვაც უფრო შეშქმლება. მაგრამ იქ დაწუნებული და გაწბილებული აცანამ შემიფარა და სამუშაო მიმცა. იქ ავიდგი ფეხი... და სამართლიანობა მოითხოვს, იქვე დავრჩე... თუ ნებას მომცემთ, დავრჩები კიდევ.

— მაგრამ ოჯახი?..

— ბოდიში, გაწყვეტინებთ, მაგრამ მოგახსენებთ: ვისაც გულით უნდა მასწავ-

ლებლობა, იმას ბევრი მუშაობა არც შეუძლია ოჯახში... მაგი ლაპარაკდ არ  
ღირს. — ვუთხარი მე.

— ეს უკანასკნელი თქვენი აზრი ძალიან მომეწონა. სწორია... დარჩებიან...  
რით! ასე გადაეცით პლატონ კვირკველიას განათლების განყოფილებაში...

სულ ათი დღე დაერნი მამათში და ისევ აცანის სკოლას დაუბრუნდი, ახლა  
უკვე განათლების განყოფილების გამგის პლატონ კვირკველიას მოწერილობით.

სექტემბრიდან მაინც მამათის სკოლაში გადავედი და 1925 წლის სექტემბრა-  
მდე იქ ვიმუშავე.

მე მამათის სკოლაში დაეხატუძვლდი. ღირექტორი იყო ამბროსი შვეარდნაძე.  
თან გაკვეთილებიც ჰქონდა რუსულ ენასა და ლიტერატურაში. იგი ძალიან პატივს  
მცემდა და მეც მომწონდა ეს საქმიანი და მტოდნე კაცი, საყვარელი და უმწიკვლო  
აღამიანი. ერთ-მეორეს ვენდობოდით, სკოლის დაწინაურებით ვიყავით დაინტერე-  
სებული და წინასწარ მოუთათბირებლად არაფერს გადაწყვეტდით.

მახსოვს, თაფლის ხანთლისაგან საქართველოს რელიგიური რუკა გააკეთეთ  
ძოსწავლეების დახმარებით და განათლების განყოფილებამ წაიღო წლის ბოლოს  
გამოსაფხნად, ამბროსისთან შეთანხმებით. ლიტერატურის გაკვეთილებს ახლომდ-  
ბარე ტყეში — ბუნებაში ვატარებდით.

საინტერესო იყო „თავისუფალი გაკვეთილი“ (რომელიც პირველად აცანაში  
ჩავატარე). ვაწყობდი მინეულ ადგილას, მასობებულ ტყეში. მხოლოდ რვეულს და  
ფანქარს წავიდებდით და მოწაფეები, რაკ უნდოდათ, იმას დაწერდნენ. ბუნებას  
აღწერას, ლექსს და მოთხრობას, მოგონებას, ჩანახატს... ერთი სიტყვით, ეს ერთი  
გაკვეთილი მათ განკარგულებაში იყო. შემდეგ გაკვეთილზე კლასში წავიკითხავ-  
დით და გაეარჩევდით.

ეს ძალიან დიდ ინტერესს იწვევდა. კარგად მახსოვს მოწაფეებიდან ვერა ფრა-  
ნკულაშვილი, რომელთანაც მიმოწერა არ შემიწყვევტია მის გარდაცვალებამდე. ბგი  
თბილისიდან მწერდა და იგონებდა მამათის სკოლას.

\* \* \*

მაგრამ ამ მენშევიკურ „სამოთხეში“ გამოცხადდა ჩემი უკანასკნელი ომი, ბოლ-  
შევიკების არმია შემოვიდა საქართველოში ადგილობრივი ბოლშევიკების თხოვნით.  
მე კვლავ ჯარში გამიწვიეს. ჩვენი ნაწილი ბათუმში ჩამოყვლიბდა და ერთ დღეს  
გემ „მერიაში“ ჩავგრიცხეს.

რა დამავიწყებს იმ გაწამაწიას! ჯერ გემში ნამყოფი არ ვიყავი და ასე გამო-  
უცდელი იყო ჩვენი ჯარის დიდი უმრავლესობა.

— აბა, ჩახხედით! ბიჭო, ტრიუმში ჩაი... სა ხარ?! — შენც ჩაი... სა ხარ?  
ჩაი! იყო ასეთი დამახილ-გადამახილები.

მოსამსახურე პერსონალი თითქმის ყველა რუსი იყო, და ერთმა დაცი-  
ნვით თქვა:

— ვოტ ვოიაკი! არც ერთს თოფი და იარაღი არ წამოცდება, ყველა შექარხა  
და ჩაის გაიძახისო.

გამთენიეს გაჩერდა გემი და ენახეთ ჯარის უფროსი გენერალი ართმელაძე  
(არ ვიცი, ჩვენ მოგვევა თუ იქ დაგვხვდა). ერთ საათში დაბა გალს მივალწიეთ და  
სკოლაში დავბანაკდით.

იყო ვითომ სამხედრო შეცადინება, ათასი ჭორი და მითქმა-მოთქმა. ვაზნოი  
არ იყო და არც რამე ოფიციალური საინფორმაციო საშუალება. ქვეყანას მოწვევ-  
ტილი ვიყავით.

ვიღაცამ რუსულ სალდათურ სასიმღერო მოტივზე შექმნა ქართული ტექსტი  
და მომაბუნებლად ყაყანებდა:

წინ გვარდია მიდიოდა,  
უკან ისენი,  
ერთი, ორი, სამი, ოთხი  
მოხალისენი.

წინ ვალიკო მიდიოდა,  
უკან ისენი,  
ერთი, ორი, სამი, ოთხი  
მოხალისენი...

წინ ჯუღელი მიგვიძლოდა...

(და ასე შემდეგ, გაუთავებლად)

ორი-სამი დღის შემდეგ ხმა დაირხა, საქართველოში ბრძოლები. ერთმა დელაკაცმა ჩვენს სადგომთან, ხკოლის წინ, ჩამოიარა, შეჩერდა და ჩვენდა გასავლად თქვა:

— ვაჟა თქვანი შენი... სოურთ ასე? სამტრედია ეუჭოფუნა...

— შუჭო? — გამოვიყენე ჩემი მეგრული.

— შუჭო დო თეშ ეოფეს და გეთუ...

ჩემთან იყვნენ ძიმიტლები — გიორგი მგელაძე, იოსებ და ვალიკო ცინცაძეები, ვანო ხელაძე.

მიხვდნენ, რომ მე მეგრულად თქმული გავეგე და წარბშეკრული კითხვით შემომხედეს.

— სამტრედია აულიათო, ბიჭებო, და რიონის სიდი აუფეთქებიათო. — ფრთხილად, ხმადაბლა ვთქვი.

— ვის, კაცო?!

— აბა, მე რა ვიცო, ვის... მაგრამ, ცხადია, მაშველი ვერავინ მოვა, მატარებელი არ დადის... რიონს ზომ ვერ გადაახტება-მეთქი.

ამ „სამტრედია ეუჭოფუნამ“ მოიარა მთელი ბანაკი, ყველგან შიში და გაურკვევლობა შეიტანა.

ცოტა ხანში „გარნიზონს“ მოუყარეს თავი. მალალ-მალალმა ოფიცერმა დაგვაწყო ორ მწკრივად. ილაპარაკა რაღაც გაურკვევლად, რაღაც არეულად ახსენებდა ჟორდანის, მაზნიაშვილს, ჯუღელს და გენერალ ართმილაძეს უფრო ხშირად და ხაზგასმით იმეორებდა.

ჩემს გვერდით იდგა ჯუმათელი ალისტრახო ჭყონია, რომელიც ჩუმ-ჩუმად აგინებდა უწმაწური სიტყვებით, ეტყობოდა. — არც იმას ვსმოდა რაიმე, მოლაპარაკე ოფიცრისა. (თურმე ბოლშევიკი იყო).

— აბა, ვის გაქვთ სიტყვა? — თვალი დაგვადგა ოფიცერმა მე და ალისტრახოს, რომელმაც გვერდი გამკრა, შენ თქვიო. მე კი ვღუმიღუ.

— შენ რას იტყვი? — ბოლოს მიბრძანა მე. ალბათ გვატყობდა, რომ კარგად არ ვუსმენდით... ალისტრახომ კიდევ გამკრა გვერდი. — თქვიო.

— რა უნდა ვთქვა? — ვუთხარი მე და თვალი ვავესწორე მეთაურს.

— როგორ მოვიქცეთ? განვაგრძოთ ბრძოლა? — კითხვა განმიმართა.

— მე, ბატონო, მიყვარს ისტორია, ბევრი წამიკითხავს და მისწავლია ვანთქმული მაკედონელის, ნაპოლეონის, ბაგრატიონის და სხვების შესახებ... მაგრამ ასეთი მაგალითი არსად არ მინახავს... ბატონო, მობილიზაციით შეგვევარეთ და ახლა მე შეკითხვით, ბრძოლის ველზე? ვვიანია, ჩემო ბატონო, ახლა ჟორდანი-აღ ვერაფერს გიპასუხებთ... ჩემ არ გინდათ, ამ „დემოკრატიზმით“ დაფაროთ დანაშაული?

— კიკაჩვიშვილი! — მოულოდნელი და მოილი ხმით დაიძახა ოფიცერმა.



და ვაჟაკური აღნაგობის ოფიცერი დაესო მეთაურის წინ.

მეთაურმა ხელით უჩვენა — გაიყვანე! და დაუმატა — „ორივე“.

გარინდებული მწყობრი შეიშმუშნა, მაგრამ ერთი სიტყვაც არავის დატყდა, თუმცა ვანო ხელაძეს ვერც ასეთ მდგომარეობაში ვერ გააჩერებდით... ახლა კი მხოლოდ თვალი გაგვაყოლა.

კიკაჩიშვილმა, ჭყონიამ და მე წინ ჩაუარეთ ენაჩავარდნილ მწყობრს და სკოლის გვერდით გავედით. ნელა, უსიტყვოდ გავიარეთ ოციოდე ნაბიჯი, გავიარეთ ჩქოლნარ — ახალგაზრდა ტყეში, კიკაჩიშვილი უფრო ახლო მოვიდა, გვერდი-გვერდ მდგარ ორივე პატიმარს შუაში ჩაგვიდგა და სწრაფად გვიოხრა:

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო! ღელესთან მივალთ. ორჯერ გავისროლი. თქვენ, ყოველ შემთხვევაში, წაიქეციეთ (იქნებ გვითვალთვალებენ). მერე თავს უშველეთ! სანამ გონს მოვიდოდი, ორჯერ გაისროლა, ბუშლატები დაგვარეთ.

ფიქრის დრო არ იყო... ალისტრასო წინ მივბოლა, მე უკან მივფეხბოდი.

ჩქოლნარი მოხრით გავიარეთ, მარჯვნივ მოვუხვიეთ, შარაგზა გადავკვეთეთ და წინვინა უფრო ხშირ ტყეში შევედით.

საშინელი სროლა მოისმა გალის მხრიდან და დიდ ხესთან შარაგზის პირას ჩავცუცქედით.

მალე თავს წაგვადგა სამი ცხენოსანი.

— ციფი! — შეიბახა ერთმა. ჩვენ ისედაც გაჩერებული ვიყავით. ჩამოქვეითდნენ, კარგად დაგვათვალეერეს. ახალი, ძვირფასი მატერიის „ტუჟურკა“ შეცვლა და ერთმა, ალბათ, უფროსმა, მე დამადგა თვალი. მერე ალისტრასო ერთს ჩააბარეს და ორი მე მომიხლოვდა, — იარაღი ჩაგვაბარეთ!

— არა გვაქვს — ვუთხარი მე... — სასერიოდ წამოვედით... უიარაღოდ!:

— გაიხადე „ტუჟურკა“! — მიბრძანა ერთმა.

წინააღმდეგობას არ ვცდილვარ.

— ამ წუთში! — და გასდა დავიწყე. თვითონ მივიდა ერთ დაბუჩქულ ხესთან, მოგრძო ტოტი მოტეხა და ნაყარისაგან გაწმინდა. ამასობაში მეც „ტუჟურკა“ გავა-სადე და ჯოხიანმა მეორეს ანიშნა. წილი იყარეს და ჩემი „ტუჟურკა“ ჯოხის მომტანს ხვდა. გამომართვა და მოიხრე.

მე გამეცინა, ბედნიერად ატარე-მეთქი. და მანაც მადლობა მითხრა. ამასობა-ბაშა ალისტრასო გაჰპარეოდა მცველს.

მარტო მე წამიყვანეს. სუთამდე წუთი დაგვეჭირდა ბანაკამდე. იქ ტყვეების ჯგუფი იდგა. მათ შორის იყვნენ ჩვენი ასეულის ცინცაძეები. სხვებს გაქცევა მოეხსწროთ.

მეც მათთან მიმიყვანეს და გამაფრთხილეს — გაქცევაზე არ იფიქროთ.

მალე დაგვაწყვეს და სოჭის მიმართულებით წაგვიყვანეს. გზაში გვხვდებოდნენ მომღერალი აფსაზთა ცხენოსანი რაზმები. დღე და ღამე ვიარეთ. გზაში ხშირად მიიპარებოდნენ ჩვენი ბიჭები. ვაჭვობდით, მაგრამ ჩვენი სია არ იყო და ჯგუფს ავსებდნენ შემხვედრი ადვილობრივი მოქალაქეებით.

დაადგა საშუელი, მივედით სოჭში.

დაგვაბანაკეს, სიები შედგა, მორიგეობა დაწესდა, შეუუდევით სადგომის დალაგებას.

ჩვენს ტყვეობასაც მალე მოელო ბოლო. ორ დღეში გამოგვიცხადეს, ომი და-მთავრდა და თავისუფალი ხართო. სიხარულით ფეხზე ვერ ვდგებოდით, გაჩაღდა სიმღერა. ცეკვა, მოლხენა, მაგრამ ფული არავის აღმოგვანდა, რომ მართლა მო-გველხინა.

მეორე დღეს ადრე დილით ჯგუფ-ჯგუფად დავადექით შინისაკენ გზას. კი არ

მივდიოდით, მივფრინავდით და მეორე დღეს საღამოს ლანჩხუთში ვიყავით.  
ვანო სელაძე კინალამ ვაგიჟდა, დახვრეტილი მგვინეო...




\* \* \*

ჩემი და აღისტრასო ჭყონიას ვადარჩინის გარემოება ახლაც გაურკვეველია. ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს ბათუმში: იგი წყალს ჰყიდდა კიოსკში — სტალინის გამზირისა და მარქსის ქუჩის გადაკვეთაში. მე კი განათლების ფრონტზე ვმუშაობდი. დიდხანს ვკოცნეთ ერთმანეთი, მერე ვალის ამბები მოვიგონეთ და გადაწყვიტეთ, რომ ის განახორციელებდა ძებნას: გვარი (კიკაჩვიშვილი) იმერულია. რომ დაგვეშალოს, ისეთი არაფერი ჩაუდენია. პირიქით, სიცოცხლე შეგვინარჩუნა და მადლობას გადაუხდით. ჩვენ მხოლოდ სურვილს დაეიკმაყოფილებთ — გავიგებდით, რა მოხდა, რისთვის, რატომ?

ორ თვეზე მეტი ხანი გავიდა. აღისტრასოს სამსახურში მივაკითხე — ვერაფერი გავიგეო. კიდევ ახლაც ვიფიქრეო, მაგრამ ახლაც არაფერი გამოვიდა. დავასკვნი: ალბათ, ამით ჯარში დისციპლინის განმტკიცებას ცდილობდნენ. ანდა დარწმუნდნენ, რომ მაინც ველარაფერი გვიშველისო და ახალი დანაშაული არ დაიშატეს.

თქვენ რას იტყვით?



გ ზ ა

ჯერ თოთო ბავშვი  
 ოთხზე მბობღავე,  
 ვახრაშუნებდი შენს ხრემს ხელებში,  
 გზავ, მთიდან ფიქრად  
 ზღვისკენ წასულო,  
 ძლივს გატეულო კლდეში, ხევებში.  
 გზავ, გამოვლილო,  
 გზავ, გასაველო,  
 ხან დარიანო,  
 ხან ავდრიანო,  
 ხან იბლიანო,  
 ხანაც უიღბლო თითო ნაბიჯო, —  
 ბედისტრიალო!  
 კილონეტრია,  
 ვერსი თუ მილი,  
 მუხლებით ჩემით გამოთვლილია,  
 შენს აღმართ-დაღმართს  
 ვივლი და ვივლი,  
 შენი მტვერიც კი ზიყვარს,  
 ტკბილია.  
 დაუვიწყარო,  
 დასავეიწყებო,  
 შეხვედრებო და განშორებებო,  
 მოღით, მოგროვღით,  
 საღაც ვიწყებთ,  
 ერთიმეორეს იჭ მოვეფეროთ.  
 ხან დარიანო,  
 ხან ავდრიანო,  
 გზავ, ერის ბედო,  
 გზავ — დარიალო,  
 გადაწყდა, ხალხის გზა რომ არ გაწყდეს,  
 გეორგიევსკით უნდა უაროთ.  
 დასავეიწყებო,  
 დაუვიწყარო,

გზავ, ხან ხიხანო,  
ხან წიწამურო,  
გზავ, ხან განჯაში  
ტატოს ჩტანჯავო,  
ხან მუჰაჯირთა სამოგზაუროვ!  
ხან შემხვედრელო მონატრებულთა,  
ხან სიყვარულთა გამშორებელო,  
გზავ, მარადიდთან გულგაგლეჯილო,  
გზავ, მოწყვეტილ ძმის  
გრძელო ხაბერო.  
დავცხრით, ჰკონიათ?  
დავწყდით, ჰკონიათ?  
გზა წამებისაც ჩვენთვის ღონეა!  
განა გაგვთიშონ ჩვენ — იოლია?!  
მაგენს გონიო გაუგონიათ?!  
გზავ, გამოვლილო,  
გზავ, გასავლელო,  
გთხოვ,  
მუდამ მე შენს ჩგზავრად მამყოფე.  
მასუნთქე შენი მწუთხე ჰაერი  
და აღზარტები ვერ დამამხოზენ.

### არღაზიფყუბის მადლი

ომის ღროს შინაც ომში ვიყავით,  
გულს გული აკლდა,  
ნათელს — ნათელი,  
და იყო დიდი ბედნიერება  
ერთი პატარა ჭადის ნატეხი.  
ზეგანში, ტყეში,  
მალულად ნაკაფ  
ხელისოდენა ნაღვარ ფართობში,  
ვით მომავალ დიდ ბედნიერებას.  
დამჭკნარ-დაჩუტულს ვრგავდით  
კარტოფილს.  
ომის ღროს,  
ჩახსოვს,

ფეხშიშველ ბავშვებს  
ბედნიერება გვეგონა ნაღდი,  
საბურავებზე ნახლერ რეზინის  
გამოკერილი თუ გვეცვა წალი.  
დიდს თუ პატარას პირზე გვეხვია  
ჯავრი უთქმელი თუ გამხელილი,  
და სანატრელი შორი მშვიდობა  
ნელა ცხვებოდა

ობლის კვერით.

ამ კვერის თითო თბილი ნაფუნჩხი  
სისხლად დაგვიჯდა,

როგორც მარაბდა...

მშვიდობის ფასი

და პურის ფასი

დღეს — ბედნიერებს, გვიჩანს არაფრად.

გაჩივია და ვერც გამივია

რად შფოთავს ახლა ეს სინამდვილე...

მოვლა სჭირია,

მოვლა სჭირია

ამ დღეს, ამ ყვავილს,

ამ ფიქრს და იმედს!

● ●

საზღლოვიარო შავი საღამო,  
ვაზის ლერწებქვეშ სევედა სუფრებად,  
შენი თვალების ზღვა უსაბამო  
ჩემს დაღონებულ გულს ეუფლება.  
ხალხის ხმაურში ელავს თეფშები,  
ჭადზე ატყვია შენი თითები...  
და, როგორც სახნავ მიწას მთესველი,  
მეც, საყვარელო, შენ, შენ მჭირდები.

ჩემო გამჩენელო ღმერთო,  
შენი სახელის ჭირიმე,  
გმაღლობთ,— ამ ტყვილ დუნიაზე  
ერთი მეც ვარ თუა ვინმე.  
მოსათმენი ჩოვითმინე,  
შესაწირი შემოგწირე,  
რომ იტყვიან, —

ანაგებად  
არ მწყინს, ხან თუ გამიჭირვე.  
ვიცი, კარგს ვიქმ,  
კარგს ჩომაგებ,  
კარგი მიგაქვს წინდაწინვე,  
ნუ ჩამიქრობ თვალში სხივებს  
იმაღ, რომ იქ გამიბრწყინებ.  
დამიტოვე ეს სოფელი,  
მარად ანა სოფლის მხილველს.  
დამხობილი ვკოცნი მიწას, —  
ჩემს ღმერთს ჩაღალს,  
თავდაპირველს.

## ჯონი ბარამიძე

### თეთრი ბათუმი

როცა შორიდან გამოჩნდება ზღაპრულ გედივით,  
რაგინდ რომ დარდით, ჩწარე ფიქრით იყო გართული,  
გულს სიხარულის ცეცხლად უმაღ მოგეკიდება  
მწვანე ლაჟვარდში ჩამირული თეთრი ბათუმი.  
სად არ ვიყავ და რა არ ვნახე, მაგრამ ცისმარე,  
ჩემო ბათუმო, გახსენებდი ტალღების ხმაში,  
და თუ გამრიყავ, არ მიჩილებ, არ შემეყვარებ,  
მე შენს ნაპირთან თავს დავიხრჩობ მღელვარე ზღვაში.

17440



პ რ ო ლ ო გ ი

ჩემო ძვირფასო ადამიანებო, ხომ აქა ხართ ყველანი?

— აქა ვართ, ჭემალ, მგონი, ყველანი აქა ვართ, — თქვა ქაზიმ მერონგურემ.

— ჩემი საყვარელი დეიდა ხატიჯე სად არის? აქ ვერ ვხედავ მას. — ვთქვი მე და თვალში მოვავლე ჩემს საყვარელ ადამიანებს.

— შენი დეიდა ხატიჯეც მალე მოვა, აგერ, მეზობელთან შეიბრძინა. — თქვა გულმომ.

ამ დროს კიდევ შემოაღო კარი დეიდა ხატიჯემ, ყველანი ფეხზე ავდექით.

— მობრძანდით, მობრძანდით ხატიჯე-ხანუმ, — უთხრა ქაზიმ მერონგურემ და სკამი მიართვა.

— შენი ჭირიმე, დეიდა ხატიჯე, შენი! ვერ გხედავდი და თვალში მაკლდი. აბა, უშენოდ როგორ დავიწყებდი კითხვას, — ვუთხარი მე. მივებახლე და ხელზე ვაკოცე. დედასავით აღერხით თავზე ხელი გადამისვა და შინაყვედურა:

— უკვე ერთი კვირა იქნება, ველარ გხედავ, შენ ამდენ უფლებას ვერ მოგცემ ჭემალ. მომენატრე და რა ვქნა, საყვედურიც არ გითხრა? — თქვა დეიდა ხატიჯემ და თან გაიღიმა. ო, რა სათნო იყო მისი ღიმილი!

— მე, დეიდა ხატიჯე, მეგობრებმა შემაკავეს ქალაქში, თორემ რა გაზაჩერებდა. იქვენსკენ მომიწივდა გული. წიგნის კითხვაც ხომ უნდა დავასრულოთ.

— მაშ, განაგრძე კითხვა, — მითხრა ქაზიმ მერონგურემ.

— ჩემო მოყვასებო, ეს წიგნი „ჩემი დედუღეთის“ მეორე ნაწილია და მას შევჯამე „ოხვრა სულიასა“... დროებით უნდა გადავლო ჩემი საყვარელი ადამიანების ამბების თხრობა. მათზე ვიამბობთ მესამე წიგნში. ეს წიგნი კი ჩვენს იმ თანამემამულეებსზე დავწერე, რომლებიც იქ, — ხელი გავიშვირე, — იმ მთების გადაღმა ცხოვრობენ. ისინი ჩვენც გვახსოვს და ჩვენაც ვახსოვართ, ჩვენც გვიყვარს და მათაც ვუყვარვართ. ისინი ჩვენი დები და ძმები არიან. ვართ ურთიერთის ნახვას დანატრებულნი... და მადლობა ღმერთს, რომ შეგვიძლია მოვიწახულოთ ჩვენი თანამემამულენი და პირიქით, ისინიც გვიწახულებენ. შენ მისწერ წერილს, ისიც მოგწერს პასუხს, და ასე ვგებულობთ ერთმანეთის ამბავს, ამაზე უფრო კარგი რა იქნება! ასე მოვიოხებთ იმ დიდ ტკივილებს, დიდი ხნის უნახველობით რომ გავვჩენია.

მე არაერთ ჩვენს თანამემამულეს შევხვდი; იქ რომ მოინახულა ნათესავები. იქაურ

ჩვენებურსაც შევხვდი აქ. მისაუბრია ამ ადამიანებთან, ჩამიწერია მათი ნაამბობი. ბოლოს საკმაოდ ბევრი მასალა დამიგროვდა. ყველაფერი ეს გადავადრულე ჩემს გონებაში და ასე შევქმენი ეს წიგნი. თუკი ნებას მომცემთ, ამ წიგნს წაგიკითხავთ, რომელსაც როგორც ვთქვი, დავარქვი „იხვრა სულისა“, იგი „ჩემი დედუღეთის“ გაგრძელებაა, მეორე წიგნია. თუკი იქაური ჩვენებურების ამბები არ გაინტერესებთ, მაშინ მესამე წიგნს წაგიკითხავთ, ისიც მზად მაქვს, აგერ მიდევს პორტფელში.

— ძალიან გვაინტერესებს იქაური ჩვენებურების ამბები და ნულარ გვალოდინებ, წავგიკითხე ჭეშმალ, — მითხრა ქაშიმ მეჩონგურემ.

მე გადავშალე ჩემი ხელნაწერი და ვიწყებ კითხვას.

— ჰო, მე კი არ ვიამბობთ ამ წიგნში ჩართულ ამბებს, არამედ სხვა. თუ ვინ არის ეს, კაცი, თვითონ გაგვიმხელს თავის სახელს და გვარს.

მაშ სმენა იუოს და გაგონება...

## თ ა შ ი პ ი რ შ ე მ ლ ი

### ს უ ლ ი ს უ ლ ს ე მ ე ბ ს

ვინა ვარ? — ერთი უბრალო კაცი ვარ. ალალი შრომით ვშოულობ ლუკმა-პურს... დიახ, ალალი შრომით... და ასე ვემრიელად ვაპურებ ჩემს ცოლ-შვილს. რა მქვია და ვინა ვარ? — მე ჯიმშერ მარანიძე ვარ. ხომ გითხარი, ერთი უბრალო კაცი ვარ-მეთქი. სადაური ვარ? — რას შემომიჩინდი, შე კაი კაცო, რას!

ჩემი სოფელი? იმ მთებს შორის მდებარეობს. აქედან არ ჩანს, თორემ დაგანახებდი. ჩემს სოფელს დიდი მდინარე ჩამოუღის, ხომ იცი, კაცი ზღვასთან და მდინარესთან ისწავლი ცურვასაც და ნაოსნობასაც, ჰოდა, ჩემს სოფელელებს უყვარდათ ნაოსნობა. მათ შორის იყვნენ განთქმული ოსტატებიც, აკეთებდნენ ნავებს და კარგ ფასადაც ჰყიდდნენ, რას იზამ, ცოლ-შვილი ხომ უნდა დააპურო, სტუმარს ხომ უნდა დახვდე, რძალი ხომ უნდა მოიყვანო, ქალიშვილი ხომ უნდა გაათხოვო. ჰოდა, ყველაფერ ამას კი ფული უნდა, ძიავ. ზოგი ნავს აკეთებდა და ჰყიდდა, ზოგი სახლს უშენებდა სხვას, ზოგი მჭედელი იყო, ვინ კიდევ ქურას ავუზგუზებდა და ამზადებდა თოხს, წაღლს, ნამგალს. წუთისოფელი გაიძულეს, როგორმე გამოიხანო ცხოვრების საშუალება. აბა, ხომ არ იქურდებ, ხომ არ გაძარცვავ ხალხს. კაცმა პატიოსანი შრომით უნდა იცხოვრო. ჰოდა, ჩემი თანახოფლელები პატიოსნად შრომობდნენ და ცხოვრობდნენ... ასე იყო ძველად... ახლა? ახლა შენც კი იცი, როგორ ცხოვრობენ სოფელში. მოდი, გვესტუმრე; ჩვენებურ კარგ ღვინოსაც დაგაღვინებთ, მოხუცებსაც მოგიხვამ გვერდით და ნახე, რას არ ვიამბობენ, ერთი თუ გუდას მოუსხნეს თავი, გათავდა, მერე ისე შემოგათენდება, ვერც კი გაიგებ...

რა მქვია ჩემს სოფელს? — მარანდიდი. არის კიდევ ზედა მარანდიდი. ისინი ტყუპის ცალეები არიან. გულს შუაზე გაყოფ? ასეც ვერ გაყოფ მათ, მაგრამ ახლა ზედა მარანდიდს შორიდან ვუცქერით. შუა ჰქუხს და ჰქუხს ჩემი დიდი მდინარე. ძველად, თურმე, ზედა მარანდიდელებს პატარძალი ჰქვოდა მარანდიდიდან მიჰყავდათ. ერთი იყო ჩვენი ღზინი და ქორწილები, ერთი იყო ჰირვარამიც და ტირილიც, როცა ვინმე მიიცვლებოდა... დღუდა ამ ორ სოფელს შორის სისხლით ნათესაობა. ბაბუაჩემმა ყედემმა ხომ გაღმა სოფლიდან — კატაფხია-მურკვეთიდან მოიყვანა ცოლი. ბაბუაჩემი კარგი ახალგაზრდა ყოფილა, ზედა მარანდიდელი გოგო-ზექიე შეჰყვარებია თურმე. გოგოსაც შეჰყვარებია ბიჭი... და სიყვარულის ჩაქოლვა ვინა თქვა?! ჰოდა, შეუღლდნენ კიდევც. ის იყო ჩემი უსაყვარლესი ბებია.

მაშინ ავტომანქანები არ ჰყავდათ და არც ხიდი იყო საიმედო. აბა, როგორ მიმო-

დიოდა ხალხი აქეთ-იქით? შუა ხომ უხვწყლიანი მდინარე ჰქუხს და გუგუნებს? აბა, ბიჭი ხარ და ვასცურე ეს გიჟი მდინარე. იგი აქ ჩქარობს, თავპირს იმტვრევს, კლდეებს შმაგად ეტყლაშუნება, ავდარში კი უფრო გაგიჟებულია, დიდ ლოდებს მოაგორებს, ხეებს მიათრევს ზღვისაკენ. დაილოცოს ნავი და მისი გამოშვებელი. დაილოცოს ბორანი, ჭოროსზე ნავებით და ბორანით გადი-გამოდიოდნენ. თვითონ ბაბუაჩემი და მისი მამა ნავის საუკეთესო ოსტატები იყვნენ, იმ დროს ხომ ბორჩხიდან, ართვინიდან, მარანდილიდან ნავებით ჩაჰქონდათ სხვადასხვა ნაწარმი, ხილეულობა და სხვა. ბათუმიდანაც დატვირთული ნავები სერავდნენ ჭოროხს აღმა-დაღმა, ძნელი კია აღმასვლა, მაგრამ ცხოვრება მბრძანებელია, კაცი კი მორჩილი მისი. ნავის პატრონნი ჭოროხის სათავესაკენ თოკებით ათრევდნენ ნავს, ჭოროხს ნავს დადევდა საცაღფეხო ბილიკი და მენავები ამ ბილიკით მიიწვიდნენ აღმა და აღმა.

ქვედა მარანდილში ნავების ოსტატებს მოსვენება არ ჰქონდათ: ნავის მუშტარს რა გამოლევდა! თლიდნენ და თლიდნენ ოსტატები მორებს, რანდავდნენ, აშანდაკებდნენ... და სამ დღეში უკვე შზად იყო ნავი. ნავი კარგადაც ფასობდა და ოსტატები ხელს გვაჩიანად ითბობდნენ. არც ნავის მუშტარები იყვნენ ხელმოცარულნი — ზევით და ქვევით ეზიდებოდნენ ტვირთს და გასამრჩელოსაც სარფიანს იღებდნენ. დუღდა ვაჭრობა ართვინში, ბორჩხაში, ბათუმში...

ბაბუაჩემის შვილებს შორის მამაჩემი მუშა ყველაზე პატარაა. ძმებს ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ დაოჯახებულნიც კი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ბიძაჩემებს თურმე ჰქვებანა დაუვლიათ! უმოგზაურიათ ოსმალეთის სოფლებსა და ქალაქებში, ხელის გულივით იცოდნენ იქაურობა, რა ამბებს არ მოჰყვებოდნენ! ნეტავ, რამ ასტეხათ, რამ აიძულათ სამოგზაუროდ? ალბათ, ცხოვრებამ... მე რომ დავიბადე და წუთისოფელს თვალი მოვავლე, უფროსი ბიძა ჩვენთან აღარ ცხოვრობდა, ცალკე დასახლებულიყო, რა თქმა უნდა, იქვე, მარანდილში. ახლა აღარც ერთია. ცოცხალი და აღარც მეორე. ჩემს ერთ-ერთ ბიცოლას ქებით იხსენებდენ. მას მთელ მარანდილში კარგი სახელი ჰქონდა გავარდნილი, იმ დალოცვილს კაი მასპინძლობაც უყვარდა და კაი სიტყვაც ყველაფერში მხარს ავიბამდა, დაღონებულს გაამახიარებდა, მას არ მოვსწრებოვარ, მაგრამ კარგად რომ იხსენებენ, მიხარია.

ყველაფრის ხელმძღვანელი, ყველაფრის თავკაცი ჩვენს გვარში ბაბუა ყედემი გახლდათ თურმე, როცა იგი მიიცვალა, მერე ბებიაჩემი ზეჟიე ჩაუღდა სათავებში შვილებსა და რძლებს. ჰქვებანი ქალი იყო და ვინ არ დაუჯერებდა. ჩემმა საყვარელმა ბებია იმ დიხანს იცოცხლა — ბაბუაჩემის სიკვდილის შემდეგ კიდევ ოცდაათი წელიწადი უყურა ამ ქვეყანას. იქნებ მეტსაც იცოცხლებდა, ბოლოს ერთი დიდი ჭავრი რომ არ დამატებოდა მის გულს. როცა ორ მარანდილს შორის მიმოსვლა მოიკეთა, ბებიაჩემს ნატვრად დარჩა მისი მშობლიური სოფლები მურკვეთი და კატაფხია. დიახ, იქ დარჩა მისი უახლოესი ნათესავები, იქ დარჩა მისი პირმშო ქალიშვილი ზალიშებით. ამის გამო რამდენს ჭავრობდა საბრალო ჩემი ბებია! ანდა მე რა დამავიწყებს ჩემს თვალსაწიერს მოწყვეტილს შამიდაჩემს და მამიდაშვილებს? რა დამავიწყებს იმ დღეებს, როცა ერთად ვიყავით და ხშირად ერთმანეთს ვნახულობდით, პატარა რომ ვიყავი და ვიტრებდი, ბებიაჩემი მეტყოდა: — არ იტირო, შვილო, და მურკვეთსა და კატაფხიას წაგიყვან ცოცხობას აბანოზე, მერედა, იცით რა აბანოა?! ვერ მოშორდები, სულ გინდა იბანო ამ წყლით, თანაც იმედი გაქვს, რომ შენს ტკივილებს გააქრობს. — ასე იცოდა თქმა ცნობებულმა ბებიაჩემმა, თუმცა აბანოების მეტი რაა ჩვენში, მაგრამ ცოცხობას აბანო სხვაა, გამოჩნეულია. უოველ შემთხვევაში, ასე ფაქრობდა ბებიაჩემი, ალბათ ასე იმიტომ მოსწონდა ცოცხობას აბანო, რომ მის ახლოს დაბადებულა... და პატარა გოგონას ამ აბანოს მიდამოებში უვლია, აქ უკრეფია ყვავილები, აქ უსვამს ცივი წყარო, როცა სიცხე სწავდა ყველაფერს. აქ წამოუკრავს ფეხი ქვაზე და აქ წაქცეულა, წაქცეულა და რაღაც სტყენია, მა-

გრამ ხმაც არ ამოუღია, უფროსები არ გამიწყურნო... მშობლიურ ადგილნო, რა საყვარელნი ხართ!

ცოცხობას აბანო, თურმე, მათი საკუთარი ადგილ-მამულიდან ამოწუნჩუხებებს. იქვე კლდეებს შორის მოშუშუნებს მეორე აბანოც, ყველაფერს რგებსო, თვალის ტკივილსაცო, იტყოდა ხოლმე ბებიაჩემი... და ასე დამამახსოვრდა მეც.

ყველაზე უფრო ენაწყლიანი იყო ბიძაჩემი. სად არ უვლია იმ ოჯახაშენებულს!.. რა ენა ჰქონდა! პირდაპირ ოქრობირი იყო. გამოცდილი ვეჭილი ვერ აჯობებდა. სადაც კი ყოფილა და უვლია, იმ ქალაქს, იმ სოფელს ხელის გულზე დაგიხატავდა, შეგაყვარებდა, ზღაპრულ ფრთებს გამოგასხამდა და სადაც გაგაფრენდა. ძილის წინ ვთხოვდი ბიძაჩემს, — რა იქნება. გვიამბე შენი მოგზაურობიდან რაიმე! უარს გვეტყოდა და არ მოვეშვებოდით... და ისიც გუდას თავს მოუხსნიდა და ბოლო აღარ უჩანდა ნაირნაირ ამბებს. ჩვენ, ბავშვებს, გვისამოვნებდა ეს და ძალით ვჭყეტდით თვლებს, რომ საბაბი არ ენახა, აწ გეყოფათ, გეძინებთ და დაიძინეთო, არ ეთქვა ჩვენთვის... და მე რა ვიცოდი, რომ, როცა გავიწოდებოდი, წილად მხვდებოდა იმ ქვეყანაში მოგზაურობა, რომლის შესახებაც გვეყვებოდა ბიძაჩემი. რას ვიფიქრებდი, რომ იმ სოფელში ფეხს დავადგამდი, სადაც დაიბადა და გაიზარდა ჩემი საყვარელი ბებია. რა ვიცოდი, რომ თვლით ვნახავდი ცოცხობას აბანოს... და ვინახულვდით იმ ადამიანებს, ჩვენთან სულით ახლოს რომ არიან და იმათზე რომ მიამბობდა ჩემი საყვარელი ბებია! დიახ, უცნაურია წუთისოფელი. დღეს პატარა ხარ, ხვალ დიდი იქნები... და ვინ იცის. რა გადაგხდება თავს, ვინ იცის, ვის შეეყრები წუთისოფლის გზაზე და ვის გულთან გააბაძს სიყვარულის ძაფებს გული შენი! რას ვიფიქრებდი, რომ ოდეს იმ ადამიანებთან ვისაუბრებდი, ბიძაჩემი რომ მიამბობდა... და მოხდა ასეც. მანამდე კი სათქმელი ბევრი მაქვს.

როგორც ვთქვი, მთელი ჭოროხის ხეობის მოსახლეობა ნავებით სარგებლობდა და სულს ამით იბრუნებდა, ხელს ამით იმართავდა. შეუწყვეტილად მისრიალებდნენ ზევით და ქვევით ნავები, ქვევით მგზავრობა თუ ადვილი იყო, სამაგიეროდ, ზევით მგზავრობა სჭირდა და მენავები ტირის ოფლში იწურებოდნენ.

ზედა მარანდილი ითვლიდა რამდენიმე სოფელს. ესენია: ბაბლავეთი, ლომონაკეთი, ბრევეთი და სხვა. თურმე, ბაბუაჩემს მთელი ჭოროხის ხეობა იცნობდა, როგორც კარგ კაცს. ზედა მარანდილედ მგზავრებს, რომ შემოალამდებოდათ, ბაბუაჩემს მოაკითხავდნენ, ისიც ხელგაშლილი ხვდებოდა სტუმრებს. მობრძანდით, მობრძანდით, მიაძახებდა და ქიშკარს გაუღებდა, სახლში შეიპატიჟებდა. ბებიაჩემი მაშინვე სუფრას გაუწყობდა და დიდი და მოშიებულ მგზავრებს, ყოველთვის ჰქონდათ ოჯახში ყველი, რძე, აპონტი, ქათამი და მზა კერძები. სტუმართან თავი არ შევირცხვინოთო, არაფერს დაიშურებდნენ. კარგი დახვედრა სამადლო საქმედ მიიჩნდათ. თითქოს სიკეთისათვის იყვნენ ისინი დაბადებულნი და იფერებდნენ კიდეც ამას, ამიტომ იყო, რომ ბაბუაჩემს და მის მიუღლებს შექიქის სტუმართმოყვარის დიდი სახელი ჰქონდათ გაგარდნილი... და განა მარტო ამ ხეობაში?! არ ყოფილა ისეთი დღე, რომ მათ სტუმარი არ ჰყოლოდათ.

აქვე უნდა ვახსენო ბაბუას მამაც ანუ დიდი ბაბუა. მას რეიზს ეძახდნენ თურმე. რატომ? ბატონი დიდი ბაბუა ნავის დიდი ოსტატი ყოფილა და ხალხი მას რეიზს ანუ დიდოსტატს ეძახდა. ჩვენი ძველისძველი სახლი, რომელიც ახლაც დგას, მას აუშენებია. თურმე, დაამთავრა თუ არა სახლის მშენებლობა, ბაბუაჩემი დაბადებულა. გახარებულმა სამკერ ცას შეახალა მაქახელა, მეზობლებმა მიულოცეს, — ბედნიერი იყოსო ვაჟიშვილის გაჩენა შენს სახლში! და ბავშვს ყედემი დაარქვეს, რაც თითქოს კარგს მოაწვავებდა, რაკი ასე დაუბედეს მეზობლებმა. კარგა კაციც დადგა ყედემი და ხალხსაც თავი შეაყვარა გულკეთილობით. კაცს მხარს მისცემდა, დაეხმარებოდა, უფროსებს გაუგონებდა, ტოლოებსა და უმცროსებს დაარბევებდა კაი გულით. ჰოდა, ასეთი კაცი განა საყვარელი არ არის?! მარტო მარანდილდებს როდი ჰყვარებიათ ბაბუაჩემი. აქარაში ყველგან იცნობდ-

ნენ მას, როგორც კარგ კაცს, ბაბუაჩემს ორსართულიანი სახლი ედგა, ზედა სართულში თვითონ ცხოვრობდა, ხოლო ქვედა სართული სტუმრისათვის იყო განკუთვნილი. და კარი მულამ ლიდ ჰქონდა, ქვედა სართულს „სასტუმრო კონალი“ ერქვა. კონალი, ოთახს ნიშნავს. მგზავრებმა იცოდნენ ეს და შემოუპატიებლად შემოდიოდნენ სახლში. მასხინ-ძლები ხშირად ვერც კი გებულობდნენ სტუმრის მოზარძანებას. ბაბუაჩემი „სასტუმრო კონალში“ ხშირად ჩავგავნიდა ბავშვს — იქ ვინმე სტუმარი მშვიდი არ იქდესო, თუკი სტუმარი აღმოჩნდებოდა, მოგეცა ლხენა, მაშინვე დაფაცურდებოდა ცხონებული ბებია, ხოლო ბაბუა დატვირთულ აჭარულ სუფრას წაარბენინებდა სტუმართან. უცხო კაცთა სტუმრობას ისე შეეჩვივნენ, რომ თუკი არავინ ეახლებოდათ, ვერ ისვენებდნენ, ექვიანობდნენ, იქნენ ვინმეს კარგად ვერ ვუმასპინძლეთ ან ჩვენდა უნებურად ვაწყენინეთ, ჰოდა, წავიდა და ქვეყანას მოსდო ეს ამბავიო. ხომ იქნება ასეთი აფეთა კაციცო... და უღონდებოდათ გული. ამ ფიქრში რომ იყვნენ, უცებ სტუმარი კარს მიაღებოდათ, მასპინძლებს სახე გაუნათებოდათ, ღიმილით შეიპატუებდნენ, კარგ პატივს სცემდნენ და კარგადაც მოასვენებდნენ.

ერთი ასეთი ამბავიც გავისხენოთ, იგი ბებიაჩემის ნამბობია:

— ზედა მარანდიდიდან, თურმე, მესტუმრა ძმა. ჩვენთან კი არ შემოვიდა, არამედ „სასტუმრო კონალში“ შებრძანდა, ბავშვი ჩავგზავნე, ხომ არ მოსულა ვინმე-მეთქი, რომ საჭმელი მიმერთმია. ბავშვმა ვერ იცნო ტაია — ბიძა, ამოვიდა და გვითხრა: ვილაც უცხო კაცი თვლემსო, ჩვენ მაშინვე მოვამზადეთ სუფრა და ცხონებულმა ბაბუაშენმა ჩაურბენინა სტუმარს, ერთი ხმამალალი სიცილი ატყდა. რა მოხდა-მეთქი, გამიკვირდა, და მეც ჩავიბინე კონალში. თავ-პირი ახეული მქონდა თავშლით, აბა, უცხო სტუმარს სახეს ხომ არ ვუჩვენებდი? ღმერთი ცოდვად ჩამითვლიდა. ერთი შევხედე და სტუმარი ჩემს ძმას ვამგავნე. თვალს არ დაუფჭერე. ძმაო, ეს შენ ხომ არ ხარ?!—ჩემდღუნებურად წამოვიძახე. ჰო, მე ვარო და გაეცინა. მერე ვკითხე, რატომ მოიქცა ასე უცნაურად. მან თქვა: — თქვენ კი სახელი გაქვთ გავარდნილი აჭარაში, ბორჩხაში, შავშეთში. სად არ იციან თქვენი სახელი, სტუმარი უყვართო, თავს ევლებიანო. მივიღებენ ისე, თითქოს ძმა ან ბიძაშვილი სტუმრებოდესო. ჰოდა, მეც გამოგცადეთ, მართლაც ასეა თუ არა-მეთქი... თურმე მართალი ყოფილა და მიხარია, რომ კაი დაი და კაი სიძე მყავს. ღმერთმა თქვენს ოჯახს ხინათღე და სიკეთე არ მონატროს!

თქვა ეს და ჭერ სიძეს გადაეხვია, მერე კი მე. კინალამ დილამდე ვსაუბრობდით, ბუ-ხრის წინ, მონატრებული მყავდა ძმა და რაღა დამაძინებდა. ახ, რა დღეები მახსოვს! — ასე იტყვად ბებიაჩემი და თვალთაგან ცრემლი მოსკვებოდა.

დიას, ასე უყვარდათ სტუმრები ჩემს ბებიას და ბაბუას. ახლა სადღა არიან. გარდასულან წუთისოფლიდან. ღმერთმა აცხონოს მათი სული.

ბარემ დედაჩემზეც ვიტყვი. დედაჩემი — ეთერი ქვედა მარანდიდელია, ძაბლავე-თიდან გამოთხოვდა. დედაჩემის და ანუ ჩემი უფროსი დედა ზედა მარანდიდელმა შე-ერთო ცოლად. დედაჩემის მამიდაც და დეიდებიც ზედა მარანდიდში არიან გათხოვილნი და ახლა იქ გვეგულებებიან ისინი, თუკი ცოცხალნი არიან. აი, რატომ მიმელტვის გული ზედა მარანდიდისაკენ. როცა სოფელში ვარ, ხშირად იქით გამქექვევა თვალი და ჩემი სულის თანაზიარი მოყვასნი მელანდებიან. ჩემიანები არიან და მიყვარს ისინი, რა ვქნა. გულიდან ხომ ვერ ამოვიგლეჯ მათ სახელებს და ნსოვნას. როცა მიმოსვლა იყო, ხშირად ვნახულობდით ერთმანეთს. მერე როცა ჩვენს მთებზე ნისლი ჩამოწვა და ჩვენი ბილიკი შვავმა წალეკა, ველარას ვხვდებით ერთმანეთს... და გული ნატვრით ვვაქვს საცხე. ვიცი, ისინიც ასე გვნატრობენ...

დიას. უკუნი ჩამოწვა ჩვენს შორის.. და ნიაღვრმა ჩამოიარა. შეწყდა წერილებიც. სულს სევდა შეუჩნდა. გადიოდნენ წლები მღუმარედ და მწუხარედ. ნატრული თვალები გაღმა-გამოღმით იცრემლებოდნენ. განა და, ძმა, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დე-იდა, მამიდა არ მოგენატრება? მოგენატრება და მერე როგორ! ვერც ოხვრით, ვერც

ცრემლით გულს ვერ მოიხებ... ძნელია განშორება შენი სისხლით და ხორციით მკვიდრი ადამიანებისა! ძნელია თვისტომთა აღმოკვეთა გულიდან... ამაღ დაგჩემდება ოხვრა... სულისა... ჩვენ აგერ ვართ ჩვენს სამშობლოში... ისინი კი მოგვწყენენ სამუდამოდ და ჩაჩაქრობს მათ გულში დარდების ნაღვერდალს? პოეტი ამბობს: — ოხვრა არის შვება უბედურისაო. ნეტავ, თუ აძლევს მათ სულს შვებას ოხვრა?

მიჭკროდნენ და მიჭკროდნენ წლები, როგორც პოეტის ღურჯა ცხენები. ჩვენს ოცნებებში სცვივოდნენ შემოდგომის ყვითელი ფოთლები... ძირს დაცვენილი ფოთლები სადღაც ქარს მიჭკონდა. ლოდინი... ლოდინი... გულის ტკივილი: სევდა... ფიქრი...

გულის გაღიმების წუთებიც მოფრინდნენ. მოფრინდნენ თითქოს სამახარებლო ჩიტები. მოყვასთაგან მივიღეთ პირველი წერილი, დეიდაჩემი ზედა მარანიდიდან სტამბოლში გადასახლებულა. იგი გვწერდა: ძალიან მენატრებით, თქვენი ნახვა სულს ისე წყურია, დღით და ღამით მოსვენება არა მაქვს. თქვენთან მოსვლა მინდა და მომიპატიეთო.

დედაჩემმა მთხოვა ეს საქმე მე მომეგვარებინა და რაც შეიძლება სწრაფად. იქნებ გვეღირსოს ერთმანეთის ნახვა, ძალიან მომენატრა ჩემი დაო.

როგორ მიხაროდა, რომ უცნობ დეიდას ვნახავდი და ისიც პირველად. რა დიდ ხიზარულს მოგვიტანდა ის დღე დიდსა და პატარას! მაგრამ შავბედი ეწია დეიდაჩემს — მოულოდნელად გარდაიცვალა. ეს ამბავი წერილით შეგავატყობინეს დეიდაშვილებმა... და დამწუხრდა ჩვენი ოჯახი. ატირდნენ ძმები და დები. მეც დავტიროდი უცნობ დეიდას და ოცნებაში მის საფლავზე ვღვრიდი ცხელ-ცხელ კურცხლებს. გავიდა წლები და... მამიდაჩემის შემონათვალი მოგვწვდა: ზედა მარანიდიდან ჩამოვიდა ერთი ჩვენებური ქალი, რომელიც მამიდაჩემის მეზობელი ყოფილა. იგი ქვედამარანიდიელია და ოსორდიაშია გათხოვილი, მისი პირით მამიდამ შემოგვითვალა, ჩემს ქალიშვილთან ერთად ჩამოსვლა მინდა და მომიპატიეთო. მე უკვე ინსტიტუტი დამთავრებული მქონდა. დავამთავრე მოსკოვში აღმოსავლური ენების ფაკულტეტი და იქვე ვმსახურობდი. ეს ამბავი მამაჩემმა შემატყობინა. გულმა დამძალა და უმალვე სახლში ჩამოვივი, რომ დავწერილებით გამეგო ყველაფერი.

მამაჩემს ვკითხე:

— რა უნდა ვქნათ, მამაჩემო? არ მოვიწვიოთ მამიდაჩემი?

— რა თქმა უნდა, მოვიპატიეთო, ხომ ხედავ, რამდენი ჩამოდის მოწვევით... ზოდა, ჩვენც ასე ვქნათ, შენ გაიკითხე, რა არის საჭირო, რა უნდა გავაკეთოთ და მეც მხარში ამოვიდგები, — მითხრა მამამ.

— მამაჩემო, ხომ გახსოვს, სტამბოლიდან მოხუც დეიდას ველოდით, არ გავვიმართლა ბედმა, მოულოდნელად გარდაიცვალა. მამიდაჩემიც ხომ ასევე მოხუცია და ვიღერ ამ საქმეს მოვავარებდეთ, იქნებ ისიც აღარ იყოს ამ ქვეყნად, — ვუთხარი მე. მამაჩემს არ ესმოდა ჩემი ნათქვამი, მაგრამ არაფერი მითხრა, ისე კი ნაწყენი თვალებით შემხედა.

სიყვარულით აღზნებული გული მამიდაჩემს აქეთ, ჩვენსკენ ელტვოდა. ჩვენც ასევე ვიყავით მისი ნატრულნი და სიყვარულით აღზნებულნი. მიპატიუების საბუთები გაეგზავნა, მაგრამ... აღარ ეღირსა ჩვენთან მოსვლა, ისიც მოულოდნელად გარდაიცვალა თურმე, ხოლო ჩვენ ამაოდ ველოდით მას. ისიც დაუსწრებლად მოვიტირეთ, მამიდაშვილი სანიე გვწერდა:

— დედაჩემის სიკვდილმა გული დავგიტანჯა და არაფრის თავი აღარა გვაქვს. ამიტომ ვერც მე წამოვალ და არ გეწუინოთ!

გავიდა ხუთი თუ ექვსი წელი, სოფელ ხებადან ვიღაც კარაღა ჩამოვიდა ძმასთან მახვილაურში. ჩვენ იგი ვინახულეთ. ყველაფერი დავწერილებით შევიტყვეთ — ვინ იყო ცოცხალი და ვინ არა, ვინ სად ცხოვრობდა, სოფელში თუ ქალაქში. იგი შეგვიპირდა, რომ სანიეს გამოვაგზავნიებთ ვიზას მამაშენისათვის და შენთვისო.

ვიდრე ვიზას მივიღებდით, სამი წელი ლოდინი დაგვეჭირდა. ბოლოსამ საქმეს  
შველი დაადგა...

ქართული  
საზოგადოებრივი

ჩვენ უკვე ვემზადებოდით გასამგზავრებლად. ჩვენთან ერთად მოდიოდა სარფელი ხათუნაც. იგი ჭერ უნდა ჩასულიყო დასთან ქალაქ ტრაპიზონში, ხოლო შემდეგ მონახულვებდა ძმას გაღმა სარფში. სურათებიც თან წავიდე. რა სურათები იყო? ჰო, ეს სურათები გამოგვიგზავნეს ზედა მარანიდელმა მამიდაშვილებმა. ასევე სურათები გვახვედრეს დეიდაშვილებმა სტამბოლიდან. მხოლოდ სურათებით ვიცნობდით მათ. სურათების უკანა მხარეზე ჩამოთვლილი იყო სახელები. კარგად ვაკვირდებოდი სანიეს და ხატიჯეს, ისინი ხომ დედით დები არიან, მამიდაშვილები გვეწოდნენ, რომ ყველას გვეცოდება ხატიჯე. უოველდღე გარდაცვლილ დედ-მამას და დებს მოიტირებს ხოლმე, ისეთი გრძობიერი გოგოა, რომ გვეშინია ამ ჭავრს არ გადაუვსო. გვებრალებს იმიტომაც, რომ ხატიჯეს თვალეში სინათლე არ აქვსო. მე ვფიქრობდი ხატიჯეზე. იქნებ აქ ჩამომეყვანა და შემკურნალა მისთვის, ოდესინ თვალის საავადმყოფო ხომ მსოფლიოში განთქმულია. მერე და აქაური, ჩაქველი კაცია ექიმო, თევრათ გორგილაძე. ყველას ეხმარება, ვინც კი საქართველოდან ჩააკითხავს. ჰოდა, მეც დამეხმარება, იქნებ ვუშველო რამე ბრმა ხატიჯეს!

არ ვიცო, სიხარულით ვარ აღტკინებული თუ დარდით გული მეთუთქება! განა არა მაქვს საფიქრალი და სადარდებელი? ვინ უნდა ვნახო? — ახლობლები, მთლად ახლობლები! ჩვენი სისხლი და ხორცია ყველა...

### ჩვენ უკვე მიმემზადებოდით

ჩვენს ნათესავებს წინასწარ გავუგზავნეთ დებეშები, რომ სცოდნოდით ჩვენი სტუმრობა და დაგვხვედროდნენ. დებეშები თურქულ ენაზე იბრაიმ გორაძემ დაგვიწერა, რომელიც დიდი ხანი არაა, უცხოეთიდან სამშობლოში გადმოსახლდა. იბრაიმი უკვე ცნობილი მთარგმნელია. თარგმნის თურქულიდან ქართულად და პირიქით. წასვლის წინ იბრაიმმა მინახულა და თავისი თარგმნილი წიგნი გადმომცა, თანაც დამაბარა: — ბურსაში მყავს ერთი ნათესავი და მეგობარი ახმედ ოჯქანი-მელაშვილი, რომელიც თავისი სამშობლოს — საქართველოს დიდი პატრიოტია, ის მეხმარება იქ თარგმნილი წიგნების გამოცემაში. მე ვთარგმნე თურქულად და მალე გამოვა აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, უიარაღოს „მამელუკი“, სიმონ ქვარიანის „დიდი მოურავი“ და სხვა. ახმედი ჩემი მარჯვენა ხელია. თუკი მოახერხებ და ბურსაში ჩახვალ, დიდ პატივსაც დაგდებს. ახმედს ვინ არ იცნობს!

— ბურსაში ნათესავები გვყოლია, ასე გადმომცეს შინაურებმა და იქ ჩასვლის სურვილიცა მაქვს. ასეც რომ არ იყოს, შენი ხათრისათვის რას არ გავაკეთებ, ბატონო იბრაიმ! — ვუთხარი და გამოვემშვიდობე. მან მამაშვილურად დამარიგა: ჭკუის სწავლებად ნუ ჩამითვლი და დაიმახსოვრე ერთი რამ: — მუდამ იყავი ფრთხილად, როცა უცხოეთის მიწას ფეხს დაადგამ.

(გაგრძელება იქნება)



**ბ ა თ უ შ ი**

ვარ მებადური,  
 მარილის სუნით  
 და ნიჟარების ჩხრიალით სავსე.  
 ზღვა, ჩემი ტანჯვის ნოწამე ჩუმი  
 ლომა ხარივით მიბია კარზე.  
 დამბედებია წვიმების თქეში,  
 მარაოებად მდგარი პალწები.  
 შინაურია სტუმარი ჩვენში,  
 მივეფერები და ვეწამლები.  
 შენი გემი ვარ, ზღვაზე გასული,  
 შეჭიდებული უდაბურ ტალღებს.  
 გამიცოცხლდება უნალ წარსული,  
 როცა სარფს გაღმა გავხედავ თალხებს.  
 ვარ ჭოროხისპირ შეკრული ტივი,  
 ძველი იბერი და ძველი კოლხი.  
 ყოველ ბინდისპირ და ყოველ დილით  
 მე შენი ერთი დანახვაც მყოფნის.  
 შენი ტაო ვარ,  
 ბეჭებგაშლილი,  
 მსურს ყველა მტერი ფეხქვეშ გავთელო.  
 გწამდეს, ჩარადის, ერთგული შვილი  
 აქ, ზღვისპირეთში, გყავს, საქართველოვ...

**იმერეთში ნათქვამი**


ჰეი, იმერნო,  
 ე, ჰე, ჰე, ჰეი,  
 ადიდებულა თქვენი რიონი.  
 მზეს დაუფარავს ლურჯი ხეობა  
 და ატეხილი სანაპირონი.  
 არ დაკარგულა მისხალიც ძველი,

აქ ყველაფერი წარსულით სუნთქავს.  
ძმისკენ ეჭირა გული და თვალი,  
როცა აჭარა ებრძოდა სულთანს.  
გამაგრდი ცოტაც,  
ცოტაც გაძელი! —  
ანუგეშებდა რიონი ჭოროხს.  
მე შენი დარდით გაეჭადარავდი,  
შენზე ვფიქრობდი მხოლოდ და მხოლოდ.  
რა დაგვრჩა ძველი, ამბავის გარდა,  
ახლა აჭარაც მეცხრე ცაზეა.  
ისევ გამრთელდა ჭრილობა ძველი,  
გული სიცოცხლით ისევ სავსეა.  
ებუზუნება ჭოროხი რიონს,  
ეხეთქებიან ქარებს ქარები,  
და ძმას მასპინძლობს ჭოროხთან ვლენი,  
ჭრიალებს ძველი მარნის კარები.  
ჰეი, იმერნო,  
ე, ჰე, ჰე, ჰეი,  
ჩვენ ვერვინ გაგვეოფს, გვწაღდეს, ამიერ.  
მრავალჟამიერ ჩვენს ღვიძლშვილობას,  
ჩვენს ქართველობას მრავალჟამიერ!

### მუსის სიკვდილი

იქ სული ცასთან ახლოა,  
სოფლისკენ მიმიხარია.  
ეს ჩენი სამოსახლოა,  
ეს ჩემი ნიშა ხარია.  
შინ მოხუცები ფუტკრობენ,  
შვილებს აღარა გვაცლიან.  
აღბათ, სულ ჩვენზე უბნობენ,  
აღბათ, გვნატრობენ ძალიან.  
ჰა, ეზოც ღედუღეთური,  
ოჩოფეხება ნალია.  
სახლო, ვიცი, რომ მეძღური,  
ვიცი, რომ ჩემი ბრალია.  
ეზოში იღვა მუხის ხე,  
გარს ერტყა ხეჭეჭურები.

ჩრდილში იტკობდნენ მაჭრით  
ყელს  
ბაყბაყდევით ჭურები.  
ხე წაქცეულა, ვერც ჭურნი  
ვეღარ ხარობენ მაჭრობით.  
მეც შეველას გვიან ვეშურვი  
ამ ჩენი ვაინაჩრობით.  
ტანს მუმილის ძამას ოფერებს,  
წევს მოლზე სასომიხდილი.  
ხესაც სცოდნია სიბერე,  
ხესაც სცოდნია სიკვდილი.  
დამუნჯებულა ღიადმო,  
ჩიტთა არ ისმის ჟრიალი.  
რამდენიც უნდა ვიდავოთ,  
დრო მისას იზამს, ტიალი.



**თორი**

# კომოსრომა

კველი გზა

შუადღე მოახლოებული იყო და ძალიან ცხელიდა. ახლადდაკებული ასფალტი აედუღებინა გავარჯრებულ მზეს. კაცი არ ჭაჭანებდა არც გზაზე, არც ჩაის პლანტაციებში, გზის მარჯვენა მხარეს რომ გაშლილიყვნენ. მკრეფავები ჩრდილებს შეფარებოდნენ. ტრიფოლიანტის მაღალი ღობის იქით, ნაძვების ჩრდილში, გურამი იჯდა და პაპიროსს აბოლებდა. თავი თეთრი ცხვირსახოცით წაეკრა, წელსზევით გაშიშვლებულიყო. შარაზე სილით დატვირთული თვითმცლელი მიწუზუნებდა. გაჩერეო, იყვირა ვიღაცამ. მანქანა არ გაჩერებულა. გურამი წამოდგა, გზისკენ გაიხედა და თემო დაინახა, — თანაკლასელი, თემო ქალაქში სწავლობდა და ზამთრის შემდეგ არ ენახა. „თემო ხარ? — დაუძახა გურამმა, — გამარჯობა, თემო!“ „გაგიმარჯოს!“ — მიუღო თემომ. შარაზე, თაკარა მზეში თავშიშველი იდგა და ისე დაძაბული უმზერდა ჩავლილ მანქანას, იფიქრებდა ეს-ესაა ადგილს მოსწყდება და დაედევნებაო. ეტყობა, იმელს არ კარგავდა, იქნება მძღოლმა იხიხიღისოს და გამიჩეროსო. თვითმცლელი მოსახვევს მიეფარა. „როდის ჩამოსველი?“ — ჰკითხა გურამმა, იგი კვლავ ღობის უკან იდგა, ნაძვების ჩრდილში; გზაზე რომ გამოსულიყო, კარგა გრძელი მანძილი უნდა მოეცლო. „ამ დღით“. „მოიწი ღობესთან, რა შორიდან მელაპარაკები“. „არ მცალია, მერე გამოვივლი“. „რა ამბავია ქალაქში, როგორ ხარ?“ „ვარ ისე“. „დაამთავრე უკვე?“ „რა დროს დამთავრებაა!“ „გამოცდებზე გეკითხები“. ამასობაში კვლავ გამოჩნდა მანქანა, თემომ ხელი ასწია. მანქანის ძარაზე ჩაის გადასატანი ფანერის დიდი ყუთები ეწყო. მანქანა გაჩერდა. კაბინაში მარტო მძღოლი იჯდა; მის მზით გარუჯული, გოგონავით ღამაზი სახე ჰქონდა, თავი აწლანან გადაეხორტრა, ეტყობა, სიცხემ და მტკვერმა შეაწუხა და იმიტომ გაიმეტა. ქოჩორი ძალიან მოუხდებოდა, მაგრამ სადღა იყო ქოჩორი! თემო გვერდით მიუჯდა. „შორს არ მივიღივარ“, — უთხრა მძღოლმა „არც მე, ხიდთან ჩამოვალ“. მანქანა დაიძრა.

- ხედავ რა დღეში ვართ? — თქვა მძღოლმა, — ადუღდა ასფალტი.
- ვიწვით, — თქვა თემომ.

უცემ გამაყრუებელმა ხმაურმა დაფარა ყველაფერი. გზაზე დამსხვრეული ქვები მოეფანტათ. ფისში ამოვლებული წებოვანი ნამსხვრევები ბორბლებს ეკვროდნენ. მანქანა მიქროდა და ქვებს ხოშკაკალივით ისროდა. მძღოლი თავს აქნევდა და ბუზღუნებდა. წამით ხმაური შეწყდა. გზის ორივე მხარეზე მუშები დაინახეს, ხელში ნიჩბები ეჭირათ, სახე და კისერი ერთიანად გარუჯული ჰქონდათ მზისგან. მანქანის გავლისას ისინი წელში გასწორდნენ და ოდნავ გადაიწიეს ქუდები.

— სილას აერიან ასფალტს, — თქვა მძლოლმა.

ხიდს რომ მიუახლოვდნენ, თემომ მანქანა გაანერებინა, დიდი მადლობა უთხრა, თავგადასოტრილ ბიჭს და კაბინის კარი გააღო. ძირს ჩამოსტა და დამორულ ძანქანას თვალი გააყოლა. შერე მარჯვნივ შეუხვია. აქედან ძველი სამანქანე გზა იწყებოდა. ახლახან რაიონის ცენტრისაკენ მიმავალი გზა შეამოკლეს, გაასწორეს და ეს მონაკვეთი გვერდზე დარჩა. ეტყობა, ამ გზაზე პლანტაციამო ძინავალი მეჩაიეების გარდა აღარავინ დადიოდა. ნაპირებზე მაღალი ბალახი წათონარდილიყო, ისედაც ცუდი, ათასჯერ ნაკერები ასფალტი სულ წასულიყო ხელიდან. „ვიღას სჭირდება ახლა ეს გზა...“

თემო უცებ ღობეს წააწყდა. ახალი, მაღალი ღობე იყო. ღობის გადაღმა, ჩაის პლანტაციაში, თეთრკაბიანი გოგო დაინახა. გოგოს წელზე კალათი ეკიდა, წარცხენა ხელში ჭილის ფართოფარფლებიანი ქუდი ეჭირა, მარჯვენათი შუბლი მოწმინდილა და გზისკენ იცქირებოდა. თემომ ღობეზე გადახტომა დააპირა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და ჭიშკრისკენ წავიდა. ჭიშკარი ოციოდე ნაბიჯზე იყო აქედან. გოგო აფუსფუსდა, ქუდი ბუნჩქე დაღო, კალათი სწრაფად მოიხსნა, თმა გაისწორა და თემოს შესახვედრად წამოვიდა. აღეწილიყო, მორცხვად იღიმებოდა.

— გამარჯობა, თინიკო, — უთხრა თემომ და ხელი გაუწოლა.

— გაგიწარჯოს, — თინას არახდროს უხსენებია ხმადაღლა ბიჭის სახელი.

— როგორ ხარ?

— კარგად.. შენ?

— შეც.. უპ, ცხელა, — თემომ თავზე გადაიხვა ხელი, — ამიდულდა ტვინი-როგორ უძლებ ამ სიცხეს?

— კი, ცხელა დღეს, — თქვა თინამ და დამნაშავესავით გაწითლდა, — დღეს ჩამოხვედი?

— კი, დღეს.

თინას ახალი კაბა ეცვა, ფეხსაცმელებიც. ეს მაშინვე შენიშნა თემომ, როგორც კი ჭიშკარში შემოვიდა და მისკენ წამოსული გოგო დაინახა. „მელოდა...“ უცნაური გრძნობა დაეფულა, სევდაც, სიხარულიც.. შერე სევდა უფრო მოეძალა. თინა უხერხულად იდგა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა, ან რა ეთქვა. თემო უშხერდა და რცხვენოდა იმ წამიერი სიხარულისათვის, წედან რომ განიცადა. გოგოს თვალებში უშხერდა და წუსდა, თითქოს ტყუელზე დაიჭირესო.

— ცხელა, — გაიქორა თემომ, — წამო, მდინარის პირას ჩამოვსდეთ.

თინა შეეყოფანდა, მიიხედ-მოიხედა, ირგვლივ ვერავინ დაინახა. გრძნობდა, ჩრდილში მიმალული მეჩაიეები მათ კარგად ხელავდნენ; თინას თავისი თემო ჩამოუვიდაო, ალბათ, უკვე ჭორაობდნენ. ნელი ნაბიჯით გაუყვნენ მდინარისაკენ ძინავალ ბილიკს. თინა წინ მიდიოდა, თავი მაღლა აეწია, ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. შიზი მძიმე ნაწნავები ერთმანეთს ეთამაშებოდნენ.

„არ უხდება ნაწნავები“, გაიფიქრა თემომ. ეს პირველად აღმოაჩინა და წამით თითქოს შევბაც იგრძნო.

მდინარის პირას, ველური კაკლის ხის ჩრდილში ჩამოსხდნენ.

— ეს კაბა ვიხდება, — უთხრა თემომ და ბრავმა აიტანა. ტყუილს ამბობდა. სულ სხვას ფიქრობდა. თინამ შეატყო და სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. შერე გულდიად გაიღიმა.

— მართლა?

— ჰო..

თინამ მხერა გაუსწორა თემოს, შესცინა და გაწითლდა. შემდეგ თვალები დახარა და ერთიანად აიღეწა.



„არ უხდება გაწითლება“.

ესეც პირველად აღმოაჩინა. მერე თინას მშენაქრულ მკლავებს გააფორმა თვალი. თითებზე დააკვირდა. ხელს რომ ართმევდა, თინას თითები ძაგარბუნებში ეჩვენა.

— ბევრ ჩაის კრეფ?

— ჰო... რა ვიცი...

„როგორ გარუჯვია სახე. ყელიც... მკერდიც. არ უხდება“.

უკვე შეებას აღარ გრძნობდა ამ აღმოჩენებისგან. გული დაუმძიმდა. რა ემართებოდა, ვერ მიძველარიყო. კენჭი აიღო და სდინარეში ჩააგდო. თინამაც აიღო კენჭი, ერთხანს ხელში ატრიალა, მერე მანაც წყლისაკენ ისროლა.

— თქვი რაჲმ, — უთხრა თინამ.

— რა ვთქვა...

დუძღნენ და ერთმანეთს მზერას არიდებდნენ. თინა აღარ იღიმებოდა და არც წითლდებოდა. თემო ოდნავ გაწითლდა.

— თინა, აღარ გიყვარვარ?

თინამ გაიღიმა და თავი დახარა. მერე სახეში შესცინა და უთხრა:

— არა.

— არც მე, — უთხრა თემომ დუძღლის შემდეგ და კენჭი ჩააგდო წყალში.

თინამ შეხედა. წარბშეკრული თემო გვერდზე იხედებოდა, გოგოს თვალებს უძალავდა.

— წავიდეთ, — უთხრა თინამ, — უხერხულია. ვინმე დაკვინახავს.

— ძართლაც, — თქვა თემომ და წამოდგა. ისევე აყვინენ პლანტაციისაკენ ძიმავალ ბილიც. წინ თემო წრილობდა, თინა უკან მოყვებოდა და ველური კაკლის ძმარე ფოთოლს წიწკნიდა.

ახლა ჩაის ბუჩქების მწკრივს შეყვინენ.

ბუჩქებს შორის ჩამალული კალათი რომ იპოვეს, თემომ თქვა:

— მე... — და გაჩუქდა.

— ვიცი, — მიუგო თინამ. ქუდი დაიხურა და კალათი წელზე შეიბა.

თემომ ღობეს ახედა. გადახტომა დააპირა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ყველაზე დიდი უხინდისობა და უსულგულობა მისგან ახლა სწორედ ეს იქნებოდა. კვლავ შეეხვებდითო, დაუბარა გოგოს და ჭიშკრისაკენ გასწია. გზადაგზა ჩაის უხეშ ფოთლებს გლეჯდა და იქვე ბუჩქებზე ყრიდა.

გზად ბიძაშვილთან შეიარა და შინ საღამოს დაბრუნდა. სახლში არაფერი იყო. ოდაში ავიდა, ტანზე გაიხადა და ლოკინში ჩაწვა. მალე ჭიშკრის ჭრიალი გაიგონა. მიხვდა, დედა ბრუნდებოდა პლანტაციიდან. რამდენიმე წუთის შემდეგ დედა კიბეზე ამოვიდა. მერე თემოს ოთახის კარი შემოაღო. ერთხანს კართან იდგა, მერე საწოლს მიუახლოვდა და ბიჭს ქონორზე ხელი გადაუსვა. თემომ თვალები გაახილა.

— არ გძინავს?

— არა. არ მეძინება.

— ადრე დაწოლილხარ. ნაშუადღევს გურამმა გამოიარა. ქვევით დაუნახიხარ. ძახქანას გაჰყვა, ძალიან ეჩქარებოდაო.

— კი შეჩქარებოდა.

— თინიკოსთან იყავი?

— ვიყავი და ყველაფერი დამთავრდა...

ეს რომ თქვა, წამით გულზე მოეშვა. ტირილ მოუწდა — სასაცილო იყო პირდაპირ. თავი ბალიშში ჩარგო. დედამ ხმა ვერ ამოიღო. მას ძალიან მოსწონდა თინიკო.

- გურამს რა უნდოდა? - ჰკითხა თემომ.
- კვირას სთევეზაოდ წავალთო.. კარგ დროს ჩამოვიდაო.
- როდისაა კვირა?
- დღეს ხუთშაბათია.
- ხვალ რას აკეთებს?
- სიმინდს თოხნის.
- საად?
- ჭალაში.
- ნამღვილად იცი?
- ასე თქვა და... იქნება მომეხმაროსო. მე ვუთხარი, ალბათ, ამ ორ დღეს დაისვენებს-მეთქი.

შვილი უძრავად იწვა გარინდებული და თვალებდასუჭული. დედა ფანჯარას-თან იდგა. მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა ახლადჩამოტანილი წიგნები, ტანსაცმელი, რვეულები და ჟურნალები. ჭიშკართან ძროხამ დაიბღავლა. დედა ფეხაკრეფებივიდა კართან, მერე ასევე უხშაუროდ, ფრთხილად დაეშვა კიბეზე. თემო კედლისკენ გადაბრუნდა. დიდხანს არ მიკარებია ძილი.

### თეთრი ღრუბლები

ძაღალმა, ქერა გოგომ გზიდან გადაუსვია და აჩქარებული ნაბიჯით გაუყვა ბილიკს. ამაყად თავაწეული, ლამაზად მიაბიჯებდა, თითქოს გრძნობდა, რომ ვიღაც უთვალთვალებდა. ვია სწრაფად გადაეკლო ღობეს და დაეღვენა. ირგვლივ ძაღალი ბალახი და გვიმრისა და ჭიაფერას ბუჩქები იდგა. ზოგჯერ ბილიკი დაიკლაკებოდა და ვია მხოლოდ გოგოს ზედატანსა და მოკლე, ქერა თმას ხედავდა და ბიჭს ეჩვენებოდა, რომ ლაჟვარდოვან ტბაში მიცურავდა, ტანი კი უცნაური ჟრუანტელით შქონდა საუსე; ეს ჟრუანტელი ნეტარებისაც იყო და შიშისაც. რადგან ტბაზე ოდნავ შესამჩნევად, მაგრამ საკმაოდ საზიფათოდ მატულობდა დეღვა, ნიავიც ფეხმარდ ქარად გადაქცევის აპირებდა და ისმოდა ტალღების თამაში ჩქაფუნი.

უცებ გოგომ მოიხედა, წამით შედგა, გაოცებულმა ყურადღებით შეათვალიერა ბიჭი, შემდეგ გაწითლდა, დაბნეულმა შუბლზე გადმოცურებული ქერა კულუ-ლი გაისწორა და შიშით ჰკითხა:

- შენ ხარ?... აქ რა გინდა?..

ვიამ რაღაც ჩაილაპარაკა ენის ბორძიკით. ეტყობა, ეს შეკითხვა მისთვის ძოლოდნელი იყო. ნაბიჯს მოუჩქარა, მიუახლოვდა, რატომღაც გოგომაც მოუჩქარა ნაბიჯს. ვია წამით ჩამორჩა, რადგან ვეველაფერი, რაც ღობის ძირას ჩასაფრებულმა მოიფიქრა, ერთბაშად დაავიწყდა. დიდი ვაივაგლახით სათქმელს ისევე რომ მოუყარა თავი, გოგოს რამდენიმე ნახტომით დაეწია და მკლავში მოკვიდა ხელი:

- მოიცა... რაღაც უნდა ვითხრა.
- თქვი, - უპასუხა გოგომ ისე, რომ მისკენ არც მიუხედავს.
- ნუ გარბიხარ, - უთხრა ვიამ, - მოიცა... მოიცადე და გეტყვი.

ერთხანს გვერდი-გვერდ მიდიოდნენ. ძლივს ეტეოდნენ ვიწრო ბილიკზე. ბიჭი წინ გადადგომას ვერ უბედავდა, გვიმრასა და ჭიაფერას ეღებოდა, უცებ ბარდში განხლართა და სახამ თავს გამოიხსნიდა, გოგომ გაუსწრო.

- მოიცა...
- ახლა არა, - უთხრა გოგომ, - სხვა დროს.. სხვა დროს...
- მე მივიღვარ... ახლან უნდა ვითხრა...

— ახლა არა, — უცნაური სიმტკიცითა და სიჯიუტით თქვა გოგომ.

გია მაშინვე შედგა და იქვე, ბილიკზე გადმონხეკილ ჭიაფერას ტოტი შიგნით  
ლიჯა. ზედ მწიფე ნაყოფით დახუნძლული მტევანი მოწყვიტა და მარცვლებს  
დაუწყო კრეფა. თან ითვლიდა, რა სისულელეაო, ფიქრობდა და მაინც ითვლიდა.  
ათამდე რომ დაითვალა, გაჯავრებით გადააგდო მტევანი და ბილიკს გახვდა. გო-  
გო უკვე კარგა შორს იყო. იგი წამით შეჩერდა, შემობრუნდა, გიას გაუღიმა, ხე-  
ლი დაუჭნია და სწრაფად განაგრძო გზა. დავედევნები და დავეწვიო, გაიფიქრა  
გიამ, მაგრამ გოგომ ამასობაში აღმართი აიარა და გაუჩინარდა. იქ ახლოს იყო  
ძიხი სახლი. ბიჭი მაღალ ბალახებში შევიდა, ერთხანს ასე იარა, შემდეგ გვიძრის  
ნაძღენისე ბუნჩი გათელა და ზედ წამოწვა. გულაღმა იწვა, ცის მეტს ვერაფერს  
ხედავდა. ცაზე ღრუბლის ნაფლეთები ეკიდა. გია უმზერდა ღრუბლებს და ცდი-  
ლობდა გაშოეცნო, თუ რატომ გაუღიმა გოგომ. შემდეგ არაფერზე აღარ ფიქრო-  
ბდა. იწვა და უახროდ შეპყურებდა თეთრ ღრუბლებს. გვიან, ძალიან გვიან გაა-  
ხსენდა, რომ დღეს წასახვლელი იყო და მამას ბარგის ჩალაგებაში უნდა მიშვე-  
ლებოდა. წასახვლელი იყო და ამას აღარაფერი ეშველებოდა. გოგო კი აქ რჩე-  
ბოდა და გია გრძნობდა, რომ დღეიდან ბევრი რამ შეიცვლებოდა; დღეიდან ასახლი  
ცხოვრება იწყებოდა, რომელიც იზიდავდა, თან აფრთხობდა კიდევ და უცნაური  
სიხასულით ავსებდა; რომელიც ბევრ რამეს წაართმევდა, თუნდაც იმ ლამაზ, ქერა  
გოგოს და ყველაზე უფრო ეს უჭირდა. გრძნობდა, ასე მოხდებოდა, თუმცა კარ-  
ვად ვერ გაერკვია, რატომ უნდა მომხდარიყო მაინცდამაინც ასე. ბოლოს აღვა;  
რატომღაც შეებრაღა უმოწყალოდ გათელილი გვიძრისა და ჭიაფერას ბუნჩებში,  
ერთი გვიძრა წამოაყენა, მაგრამ იგი წელში იყო გადატეხილი და ისევ ძირს გა-  
ხერთხა. შემდეგ ბიჭი შარაზე გამოვიდა და აკაციის ხეს მივედრნო.

ძალიან დაღლილი იყო.

ცაზე თეთრი ღრუბლები ეკიდა. ისინი ნელა, დინჯად მიიწევდნენ იქით, სა-  
დაც ბრტყელი, თავწამახული მთები მოჩანდა.

## მეხვერ ბაკურიძე

### ოქრო იღვრება

ჩაისუბანი — მწვანე მთა-ბარი,  
თვით ფიროსმანის ფუნჯით ნახატი,  
უღრუბლო ზეცა, ცაზე მაღალი  
და მიმზიდველი ვით ანდალატი.  
ოქრო იღვრება ცის თავანიდან,  
დანავარდობენ მერცხლები ლაღად,  
უცქერ და შენაც იმღერო გინდა,  
რომ ეს ქვეყანა ქცეულა ბაღად.



## თიხის კაცები

ყოველ წაწს გვესმის  
 ხეთა ჩურჩული,  
 თითქოსდა ვიდგეთ ღმერთის წინაშე:  
 იყავთ თიხა და  
 შთაგბერეთ სული,  
 იყავთ სული და  
 ჩაგსვით თიხაში...  
 და სული გადევთ ზეცისგან ვალად,  
 მიწის სესხია ეს ხორცი — თიხა,  
 იძღვრეთ, ვიდრე გაქცევდნენ წყალად,  
 ცეცხლად ან ნაცრად,  
 ელვად ან მეხად.  
 ცხოვრება ჩვენი თუმცაა ტანჯვა,  
 თიხის კაცები,  
 თიხის ქალები  
 მზის ამოსვლისას  
 ჩიწას ვცემთ თავვანს,  
 ცისკენ ვედრებოდ მიგვაქვს თვალები:  
 ცაო, ნათელო,  
 სხივოსანო,  
 გვირგვინოსანო,  
 შიწავ, კეთილო,  
 დაგვითმე სული წამებული  
 კიდევ ერთი დღით...  
 გულმოყვასო და შვილოსანო,  
 დაგვითმე ხორცი გატანჯული  
 კიდევ ერთი დღით...  
 ყოველ წამს გვესმის  
 ხეთა ჩურჩული,  
 თითქოსდა ვიდგეთ ღმერთის წინაშე:

იყავთ თიხა და  
შთაგბერეთ სული,  
იყავთ სული და  
ჩაგსვით თიხაში..

## პოეტი

ხეზე პირველი ფოთოლი თრთოდა —  
ბუნების მწვანე  
დღესასწაული.  
ახლა იწყება შენი გოლგოთა,  
სხვა ყველაფერი არის წარსული.  
ლაჟვარდი ლაჟვარდს დაეკიდება  
და განთიადი მოვა  
სხვაგვარი,  
შენი წამება ახლა იწყება,  
სხვა დანარჩენი იყო ზღაპარი.  
ეს მარადისკენ ჩუმი ლტოლვაა,  
დრო რომ სამსალით  
გეაღერდება,  
რომ სული შენი იქცა ვულკანად  
და ამოხეთქა გულმა ლექსებად.  
და ახლა მხოლოდ  
ერთი გასროლა,  
ერთი ნაბიჯი  
რჩება ჯვარცმამდე...  
შენ უნდა მოკვდე სატანის ხელით,  
რომ უკვდავების ღირსად გრაცხავდნენ.  
გიახლოვდება წვის იდილია,  
რომ მოყვასთათვის აენტო ეცხლად,  
და ღმერთმა ნუ ქნას,  
არ გაიწირო  
იუღას ხელით ოცდაათ ვერცხლად...



ჯემალ ჯაყელი



მიწას გვალვის ეშმა ჰბუზნიდა.

ჰფიტავდა იგი სულს სიმწვანისას და ყანას იმედისას.

ჩიუტი ქორძარღვაც კი ამოვარდნილიყო.

ერთადერთი მოგვის წყარო დარჩენილიყო ღარგაუმშრალი, დროდადრო მო-  
წვეთავდა იგი ძუნწად.

გზის პირას პატარა გოგონა ჩაცუცქულიყო, კოკა შეედეგა და გულამოსკვნით ტი-  
როდა. კოკას ჩაფრენოდა იგი და უცდიდა წვეთის ჩამოვარდნას.

შესაბრალისად ტიროდა გოგონა და ვერც კი ამჩნევდა, თუ როგორ უახლოვდებო-  
და კახელი გლეხკაცივით გადაცმული და ყაბალანით სახეხვეული უცხო ძია.

მამაკაცი დაიხარა და მშობლიური აღერხით ჰკითხა:

— რა გატირებს, პატარა ქალო?

გოგონა ხლუკუნებდა და არას ჰპასუხობდა.

ისევე ჩაესმა:

— ჰო, რა გატირებს?

— სახლში მერქარება.

— ასერივად რატომ გერქარება, პატარა ქალო?

— მამა მიყვდება და წყალზე გამომაგზავნებს... მომაკვდავს წყალს თუ დააღვივნებ,  
შეიძლება გადარჩეს, თურმე...

— ვინაა შენი მამა, პატარა ქალო?

— ნიკო ჯავრიშვილი, ერეკლეს ჭარისკაცი... მასთან ერთად იბრძოდა. ომიდან დაბ-  
რუნდა და... ცუდ დღეშია.

— ხამწუხაროა ფრიად... და-ძმანი გყავს?

— არა.

— რა გქვია, გოგონა, შენ?

— ივერია.

— ივერია... რა კარგი სახელია! — თქვა და თვალი მოარიდა. სევდა-ნაღველი შე-  
მოაწვა. მცირე ხნის შემდეგ თმაზე ალერსიანად გადაუსვა ხელი და დამამშვიდებლად  
უთხრა, — ნუ გეშინია, ივერია!

— იმ დალოცვილმა ერეკლემაც ვერ მოიცალა, რომ ჩამოველო, თორემ...

— თორემ რაო, ივერია? — იკითხა არსაცნობად შემოსილმა თავად ერეკლე მეფემ  
და გოგონას დააკვირდა.

— რაო და, მოადენს წყაროსო.

— მაინც როდის ჩამოვიღისო? — იკითხა უცხო ძიამ.

— არ ვიცი, ჩამოვიღისო, — თქვა გოგონამ და სახელოთი ცრემლი ამოიშრო  
ვიშრისფერ თვალბეჭში.

— როგორ შესძლებსო ამას? — განგებ იკითხა უცხო ძიამ.

— ამბობენ, ის ყველაფრის შემძლეაო...

— ამბობენ... ამბობენ... მაშ, კარგი. მე თვითონ მოვინახულებ მაგ თქვენს ერეკ-  
ლეს. — თქვა და გული საოცრად დაუმიძვინდა.

— თქვენ არ მიგიშვებენ მასთან. — სასოწარკვეთით თქვა გოგონამ.

— მიმიშვებენ... მიმიშვებენ! — დაბეჭითებით თქვა ერეკლემ და მწარედ გაიღიმა.

— მიმიშვებენ! ოღონდ ახლა წამიყვანე და მაჩვენე მამაშენი. ჩვენ ერთად ვომობდით,  
ის ჩემს გვერდით იბრძოდა. სახელოვანი გლეხია მამაშენი, — კარგი მეომარი. კარგი  
მევეწახნე... წამიყვანე, იქნებ მივეზმაროთ, დავაიმედოთ.

გოგონამ კოკაში უკმაყოფილოდ ჩახედა, წამოდგა და... კიდევ შემოესმა სიკვდი-  
ლის მოულოდნელი, ამაზრუნე შეცხადება.

გლოვის ზარის გაგონებაზე გოგონა სახლისაკენ გაიქცა.

თავი დაჰხარა ერეკლემ.

მცირე ხანს ასე გაუნძრევლად იდგა იგი, მერე მგლოვიარე სახლისაკენ ჩაუხვია  
ჭირისუფალივით.

გაედევნა ცხენი პატრონს, თავი ჩაქინდრა და ზანტად გაედევნა.

ტირისის ხმაზე მეზობლები მოსცივიდნენ. მთელი მათი არსება ჯავრიშვილთა უბე-  
დურებას მიეპყრო და ვერ ამჩნევდნენ იქვე მდგომ გლეხურად შემოსილსა და ამით  
არსაცნობ ერეკლეს, რომელიც ისმენდა ზარს და ქვეყნის სატკივარი თვალბეჭში კვამ-  
ლივით სცემდა.

მტრის ტყვიამ ღვიძლი დაუზიანა ნიკოს... ებრალებოდა იგი ერეკლეს. მომეტბუ-  
ლის გზებით ებრალებოდა ჭირისუფალი მისი, განსაკუთრებით კი პატარა გოგონა ივე-  
რია.

მართლაც, შესაბარლისი იყო იგი, რადგან სჯეროდა, რომ სწორედ წყალი იყო უე-  
ბარი წამალი მამის მოსარჩენად. სჯეროდა! და რადგან წყალი დაუგვიანა, ეგონა, მამა  
გაეზუტა და მიიცვალა. ამიტომაც დღეს საოცარი ძალით ჩაჰიდებული, იდგა იგი მამის  
ცხედართან და, სხვებივით კი არ სტიროდა, დამნაშავესავით დაჰყურებდა და ეშუა-  
რებოდა:

— ჰა, მამი, მოგიტანე წყალი. მაპატიე, რომ დავიგვიანე... მაპატიე, მამი, ახლა კი  
დალიე, თუ გიყვარდე. დალიე და სული დაითქვი... მე თვითონ წავალ ერეკლე ბატონ-  
თან და ვთხოვ, ჩამოიაროს და წყარო მოადინოს. მას ბავშვები უყვარს და, ვიცი, მოშის-  
შენს! ახლა კი...

კოკა ორივე ხელით მალლა ასწია ივერია, თითქოსდა დასარწმუნებლად, რომ წყალი  
დასტურ მოუტანა.

ამ დროს ვილაციის ნერვიული ხმა ჩაესმა:

— რა დროს დოქია, შვილოსა, გასწი იქით!

გოგონა ჭერ დაიბნა. შემდეგ უცნაურად აირია და გაწიწმატდა. აღარ იცოდა, რა  
ქნა. გულზე ცეცხლის მომდებად ატირდა და ყველა მწარედ აატრია. დედამ გოგონას

ხელეპი მოხვია და მოეფერა, მაგრამ ვერ დაამშვიდა. აქეთ-იქედან ხალხმაც შეუძახა და დაუყვავა, მაგრამ ამოდ, დოქი ძირს ვერ დაადგმევინეს.

ამის შემხვედვარე უცხო ძია მისკენ დინჯად გაიწია, თავზე ხელი თანაგრძნობით გადაუსვა და უთხრა:

— ნუ გეშინია. ჩემო კარგო ივერია! ნუ გეშინია! საქართველოში არ ობლდებიან!.. მე რაც დაგპირდი, იმას აუცილებლად შევასრულებ, რომ მომაკვდავს წყალი არ მოენატროს... შევასრულებ! აი, დღესვე ვნახავ მას... და ვთხოვ, ჩამოიაროს...

— არ შეგიშვებენ კანთ ბატონთან. — სლუჟუნით თქვა გოგონამ.

— შემიშვებენ, შეილო, ნუ გეშინია, ახლა კი დადგი ეგ დოქი, ჰო, დადგი და რაც გითხრან, გაუგონე. — თქვა და შემობრუნდა.

ხალხი, გლოვის შეცხადების შემდეგ თითქოს ახლა გამოიხედაო თვალში, ერთთავად შეკრთა.

იცნეს.

იცნეს ერეკლე.

იცნეს და მიმოდგენ.

დიდად გაეხარდათ მისი აქ ყოფნა, თუმცა არა გაჰკვირვებიათ რა; რადგან იცოდნენ, რომ იგი მომეტებულად თავმდაბალი და განმკითხავია, ყველა ოჯახის ღვთივ სასურველი სტუმარი და საპატიო წევრია, პირველი ჭირის/შუალი და განმკითხავია. იცოდნენ! და ახლა თუ ასე უსიტყვოდ და გოცებით მიმოდგენ, ეს იმიტომ, რომ ასე მოულოდნელად, უამს მიცვალების შეცხადებისა, არავინ იფიქრებდა მის გამოჩენას. ის კი არ იცოდნენ, რომ ერეკლეს წუხელ, შუალამისას, სოფელი შემოეცლო იმის გასაგებად, თუ ვის ოჯახს უნთია ჭირთათმენის შუქი, ვის რა აწუხებს ან ულხინს... არსაცნობადაც ამიტომ გადაეცვა და გზადაც ამიტომ შემოსთენებოდა...

ქალებმაც იცნეს იგი და ხმა გაკმინდეს.

ივერია შეჰყურებდა უცხო ძიას და არა ესმოდა რა.

ერეკლემ ნიკო ჭავჭავაძის ცხედარს ცივ შუბლზე ხელი ჭავრიანად გადაუსვა და, თითქოს თავისთავს ესაუბრებო, თქვა:

— სამშობლო ჩვენი, სრულიად საქართველო, ისეთი მგრძნობიარე ქვეყანა არის, რომ ერთი ადამიანის შემომბატებასაც იგრძნობს და გაკლებასაც, ანუ — დაბადებასაც და გარდაცვალებასაც, იგრძნობს იგი ქვეყნის ყველა კუთხეში, იგრძნობს თავისით, ამბის მიუტანლად!.. ეს კი იმიტომ, რომ გაუთავებელ ომებში თვალდათვალ იღვევა ქართველობა. ამიტომაც დაბადებას და შემომბატების სიხარულს თოფის გასროლით ხვდება ჩვენი ხალხი და გარდაცვალებას კი — უმძიმესი დალით. ამას კი მხოლოდ ის გაიგებს, ვინც ოდეს ბევრი იყო და ომებით დაღუფულა... ნიკო ჭავჭავაძის ომების მონაწილეა. ჩემს მხარდამხარე იბრძოდა იგი. რამდენჯერ დაქრიალა! ამ ბოლო ბრძოლაში მტრის ტყვიამ ღვიძლამდე უწია... ჩვენში ამბობენ: „ღვიძლი ძმო“. ეს იმას ნიშნავს, რომ ღვიძლი უმთავრესია, უახლოესია. ვიდრე სული და გული. სწორედ მის ხელყოფას ვეღარ გადაურჩა ჩვენი ნიკო, — კარგი მეომარი, კარგი მეოჯახე, კარგი მეურნე.

კიდევაც დაიზრდებიან, უცილობელია ეს!..

შენ კი ნუ გეშინია, ჩემო ლამაზო ივერია. „ლევკი ლომისა სწორია“ — უთქვამს ბრძენს. გახსოვდეს, საქართველოში არ ობლდებიან. საქართველოში ქვრივებიან და ქვრივად რჩებიან, მებრძოლებად რჩებიან. ასეთი იყო მათა, თამარი და სხვანი. შენც სახელოვანი ქალი იქნები. ნუ გეშინია!

ხალხის ღუმელმა ბავშვი დაარწმუნა, რომ ამ ძიას მართლა შეეძლება ერეკლესთან შესვლა. დოქს ხელი უშვა და იკითხა:

— მამ, ეტყვიტ ერეკლეს, რომ ჩამოიაროს და წყაროები მოადინოს?

ვიდაცა გაუწყრა გოგონას, — გაჩუმდით. ერეკლემ კი შუბლზე აკოცა, დაჰპირდა და კარებში გამოვიდა.



მამაკაცებიც გამოვიდნენ ფეხაკრეფით.

ხალხიდან გამოიჩინა ერთი მსცოვანი, ჭირგამოვლილი ბერიკაცი და ერეკლემ წინა  
თავდახრით წარსდგა:

— დიდო ბატონო, საქართველოსათვის გამარჯვება მუდამ სანატრელი იყო... ბევრ-  
ჯერ გავვიმარჯვინია, მაგრამ მარტო გამარჯვება არ გამოდგა საკმარისი. რაღაც კიდევ  
სხვაა საჭირო. მშვიდობაში გულდაჭერება და საქმეზე გულდადება გვინდა, რომ კაცმა  
ხე დარგოს, ვენახი ჩაყაროს. ყანა შედლოს. სულის იმედიახად დავანება ყოფილა მთა-  
ვარი და არა ოდენ ომში გამარჯვება. იმედიახად ცხოვრება ყოფილა საჭირო და ამას  
მიგვიხედე, დიდო ბატონო!..

— ახლა აქ რამდენი გლეხკაცია ვართ, ჩათვალე, რომ იმდენი სოფელი, მხარე და  
კუთხე დგას შენს წინაშე, მეფევ, და ყველა ერთსა გემზრახვის!.. დღენიადაც მეომარ,  
დამაშვრალ ქვეყანას სულის დავანება სჭირდება. ისეთი ხე დავვირგო, რომელსაც შეი-  
ძლება მიენდოს, მიყრდნო. გულზე თავი მიახვეწო და მოიხვეწო... ჩვენსას თუ არ შეი-  
ძმენთ, მისა ჭავრიშვილის ობოლი გოგონას ბავშვურად ვაგებულები მუდარა შეიწყნარე,  
— ისეთი წყარო მოადინეთ, მომაკვდავმა წამალვით რომ დალიოს და სიკვდილს მოე-  
რიოს... ძმობის, იმედის, სიყვარულის წყარო!

ერეკლემ კარგად გაიგო, თუ რას გულისხმობდა ეს ბერიკაცი, იმედის ხესა და წა-  
მალივით დასალევ წყაროს რომ ახსენებდა, მაგრამ აქ ამაზე საუბარი ზედმეტი იყო, და  
ბერიკაცს ჰკითხა:

— შენ იყალთოელი ძია მისა უნდა იყო. თუკი გუმანი არ მატყუებ, ჰო, ჰო, ივე-  
რიას პაპა... შეცვლილხარ ფრიალ!..

— მახეა, დიდო ბატონო, მისა იყალთოელი ვარ, შვიდი კუბოს უბედური ჭირისუ-  
ფალი... ომებმა დამილია შვილები, კარგად მოგესხენება!

— მომესხენება, მისა იყალთოელი! — თავი დაჰხარა ერეკლემ. მის გულისწევას  
და სისხლის გვრემას ძნელად თუ ვინმე გაიგებდა, თუმცა ამას გარეგნულად არ იმჩნე-  
ვდა. — ჰო, ვიცე, მისა იყალთოელი, და ისიც ვიცე, რომ მარტოდენ ხმლითა და  
გუთნით არ იცხოვრება..

— აგრეა, აგრე, ღმერთმანი! — გაისმა აქეთ-იქედან. — აგრეა, და ამას უნდა მო-  
ხედვა, ბატონო!

— დამაცადეთ, ხალხო! — თქვა მისა იყალთოელმა და ნიშნის მოგებით დასძინა:  
ბევრჯერ გავვიმარჯვინია, დიდო ბატონო, მტრის გულზე ფეხი დავვიბიჯებია და გული  
მოგვიოხებია, მაგრამ დავიდიენით!.. წინა ბრძოლაში შვიდი ვაჟკაცი მარტო ჩემი ოჯა-  
ხიდან დავცა. ცხრა შვილი მოუკლეს გულაანთ ქვრივსა. ამ ორი ოჯახიდან თექვსმეტი  
სული დაიღუპა. ეს თექვსმეტი ვაჟკაცი ხომ თექვსმეტი ახალი ქართული ოჯახია!..

— ვიცე, მისა იყალთოელი. ახლა მთავარია მოთმინება. დღეს ნიკა ჭავრიშვილის  
ოჯახს მივხეილო. მიცვალებული წესისამებრ ვავაპატონსოთ და ეს დღევანდელი საუ-  
ბარი ცოტა ხნის შემდეგ გაგიპიროთ. გლოვას გლოვა სჭირდება და განსჯას — განსჯა.  
— თქვა ერეკლემ და ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ მგლოვიარე ოჯახისაკენ ჭირისუ-  
ფალივით გაიხედა. ქალები გულისმომკვლევად ტიროდნენ. ისეთი სევდიანი, მოგუდული  
გლოვა ისმოდა, ხესა და მიწას აატირებდა.

ის იყო, ერეკლე უნდა წასულიყო, ეწოში გაუბედავად ჩამოვიდა უცხო კაცი თა-  
ვისი პატარა ვაჟითურთ და ასევე გაუბედავად მიუახლოვდა იქ მყოფთ.

— თუ ნებას დამრთავთ...

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით. — გაუპასუხა ვიღაც.

— ტირილი შემომხმამა და ვიფიქრე, ჭირის დღე თუ აქვთ, სამომარს ვკადრებ-მეთქი...  
ამ თქვენს ლამაზ ქვეყანაში გავიგონე ერთი მშვენიერი ანდაზა: საღაც მიხვიდე, იქაური  
ქული დაიხურეო... ეს ბიჭუნა ჩემი შვილია... გლოვის დღე გქონიათ, სამწუხარო არის  
ეს ფრიალ!



— ჰაი, ჰაი, რომ სამწუხაროა... თანაც ასეთი კაცო...

— ვინ, ბატონო, ასე რომ გლოვობს სოფელი?

— ყველაზე დიდი! — უპასუხა მისა იყალთოელმა — მტერს აჯავრებდა და ვენახს ახარებდა... რატომ დაინტერესდით?

— ალბათ მიხვდით, რომ მე რუსი ვარ, გიორგი. ყველაფერი მაინტერესებს, მით უფრო რომ საქვეყნოდ სახელგანთქმული ხელმწიფის — ერეკლეს ქვეყანაში ვარ. აქ ყველაფერი ამაღლებულია, — დაბადებაცა და გარდაცვალებაც... ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუ მოვახერხებდი ერეკლეს დანახვას.

ამის გაგონებაზე ერეკლემ მისა იყალთოელს ანიშნა. — სტუმარს მიხედეთო, და წავიდა. მგლოვიარე ოჯახის მიმართ პატივისცემის ნიშნად მხოლოდ მოსახვევს იქით ამხედრდა თავის დიდებულ ცხენზე.

ხალხმა იმედიანი და მოკრძალებული თვალით გააცილა იგი.

სტუმარმაც გაცეცებით გააყოლა თვალი და ხალხს ნიშნულად შეხედა. ხალხმა არ შეიტყნა, რომ სწორედ ეს, — საგანგებოდ არსაცნობად გადაცემული ახოვანი მამაკაცი არის ის, ვისი შორიდან დანახვაც კი დიდ ბედნიერებად მიაჩნია უცხო სტუმარს... საქვეყნოდ სახელგანთქმული ერეკლე, მეფე ქართლ-კახეთისა, დიდი იმედი მითლად საქართველოსა!

ღარდიანმა კაცებმა სტუმარი სახლში შეიწვიეს, — ქრისტიანიაო! რატომღაც სათრი დაედოთ მისი, მით უმეტეს, „სადაც მიხვით, იქაური ქული დაისურეო“, — გაუგონია და კახური ქული მართლაც შეუძენია.

სტუმარმა წესისამებრ ჩამოუარა ნიკო ჭავჭავაძის ცხედარს.

აქ მისთვის ყველაფერი უცხო იყო.

თავდაც უცხო იყო ყველასათვის, მაგრამ ეს მისთვის არავის უგრძნობინებია, რადგან მათ შორის საერთო და საფიცარი იყო... ჭვარი, გულზე რომ ესვენა ცხედარს.

ღიახ, ჭვარი!

ჭვარი. — ენა საერთო და საზრუნავი საერთო მათი!

და ჭვარი იგი იყო სპილენძისა თუ ოქროსფერი და მადლად დანთებული სანთლის უმკრთალები სხივი მის ერთ კიდეზე ისე სევედიანად თრთოდა, რომ იქ მყოფთ, უცხოთა თუ შინაურს, — ყველას გულს დაჰქანკალებდა და ასევედიანებდა.

ჭვარზე ასსლეთილი უმკრთალები და უწმინდესი სხივი სანთლისა ყველასათვის ერთნაირად გასაგები, ყველასათვის საერთო ენა, რწმენა და საზრუნავი იყო.

ჭირისუფალთაგან ყველაზე გულსაკლავად პატარა გოგონა გამოიყურებოდა. ეს გოგონა სულ რაღაც შევიდი-რვა წლისა თუ იყო და იქ მყოფთა შორის ყველაზე ცოტა რამ თუ მოეკითხებოდა, მაგრამ ტიროდა იგი წრფელად და გულიანად, ტიროდა საყვარელი მამის გარდაცვალების გამო. მისი ხმა იყო ბავშვურად სუფთა და გულში ჩამწვდომი. იგი არც კი ჰგავდა ტირილს. ტირილი ჩვეულებრივ, იწვევს სიბრაღულს, ბოლომდე მსმენელი ამასაც ეჩვევა და იგი აღარ აღელვებს მას. ამ პატარა გოგონას დიდრონი, ბავშვური, შავი თვალებიდან უანკარესი ცრემლი სცვივოდა და ამ ტირილშიც განუშეორებელი მშვენიერებითა და სათნოებით იცხებოდა.

სტუმარმა ცხედარს რომ შემოუარა, პატარა გოგონასთან შეჩერდა, შუბლზე თანაგრძნობით აკოცა და უბეში ფოჩებიანი კანფეტი ჩაუყარა. ბიჭუნასაც მოუნდა რაიმე სიკეთე ეყო გოგონასათვის და, უცებ რომ სხვა ვერაფერი მოიფიქრა, პაწაწინა ვერცხლის ჭვარი მოიხსნა და ყელზე უსიტყვოდ ჩამოჰკიდა, არ იტიროო, — თანაგრძნობით უთხრა და შებრუნდა. კარებში რომ გამოვიდნენ, მამამ ვალოდიას საქციელი მოუწონა. — ყოჩაღ, ვოვა, კარგად გამოგვიდა. ცხადია, ახლა იმ ბავშვს საჩუქრისთვის არა სცავია, მაგრამ ცოტათი მაინც ხომ გაეხარდა, ესეც საქმეა.

— მიზარბანდებით? — შემოესმა გიორგის.

— ღიახ, ბატონო, თქვენი ნებართვით.

ღვინო შესთავაზეს გიორგის. ეს შესანდობარი იყოსო, თქვა გიორგიმ და ერთი  
ჭიქა დალია.

წასვლის ხანს მიხა იყალთოელმა უთხრა:

— თუ რამე დაგჭირდეთ, დიდ ბატონს მიაკითხეთ, ის ყოველგვარ შემწეობას გა-  
გიწევთ.

— გამადლობთ, ბატონო. დახმარების სათხოვრად როგორ გავკადნიერდები. მე  
უბრალოდ მისი შორიდან დანახვა მაინტერესებს. მასზე რუსეთსა და ევროპაში ლეგენ-  
დები დადის. ევროპის ერთერთი ქვეყნის მონარქს უთქვამს: დასავლეთში მე ვარ და  
აღმოსავლეთში ერეკლე მეფეაო. იყო საქართველოში და ასეთი კაცის დაუნახავად წახ-  
ვოდე, გულსატკეპია. ესაა და ეს. შემწეობის სათხოვრად, ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერ  
გავკადნიერდები.

— ხელი მოგიმართოს. ქრისტეს მადლმა. — თქვა მიხა იყალთოელმა და დაარწ-  
მუნა, რომ ლხინის დღეზე ნამდვილ მასპინძლობას გაუწევდა.

სტუმარმა ასეთი გულითადობისათვის მადლობა გადაიხადა.

ერთმანეთს გულგამთბარი გამოეთხოვენ.

სტუმარი ჭერ კიდევ მოსახვევს არ მოფარებოდა, რომ კვლავ გაისმა გულში ჩამწ-  
ვდომი მოგუდული ზარი გლოვისა. მასში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ნახი,  
ბავშვური ხმა. გიორგი მიხვდა, რომ ეს სწორედ ივერიას ხმა იქნებოდა. შედგა და ვალო-  
დიას დააკვირდა. ვალოდიაც ამასვე მიმხვდარიყო და თვალეზში სევდა ჩასდგომოდა, თი-  
თქოს მისი ბრალი იყო, რომ გოგონა ტირიდა.

— ვუთხარი, არ იტირო მეთქი, ის კი მაინც ტირის. — ნაღვლიანად თქვა ვალოდიამ  
და უკან მიიხედა.

— უთხარი?

— ზო.

— მაინც ტირის. — გაიმეორა მამამ ლა ისევ მიაყურადა.

— ცოდვია. — თანაგრძნობით თქვა ბიქმა.

— საქართველოში საოცრად უყვართ მშობლები... ბერიკაცები ადგებიან და მშო-  
ბლებს ბავშვური გულითადობით ადღეგრძელებენ. მათზე ისეთ გულში ჩამწვდომ სიტ-  
ყვებს იტყვიან, გაგიკვირდება. და გგონია, მხოლოდ მშობლებს ადღეგრძელებენ? წინა-  
პართა წინაპრებსაც არ იფიწყებენ. ჰყუბიან მათს სავაჟაკო საქმეებზე. დავით აღმა-  
შენებელს სულიერ მამად მიიჩნევენ, თამარს კი — ღვთაებად, პირიშუედ!

— შვილებს არ ადღეგრძელებენ, მამი?

— რას ამბობ, ვოვა, რას ამბობ. მაგენს ბავშვები სიცოცხლეზე უფრო მეტად უყ-  
ვართ. აბა, სხვანაირად როგორ ვითხრა... ვთქვათ, კაცი მიდის სოფლის გზაზე, ჭიშკარ-  
თან ვიღაცის ბავშვი დაინახა. აუცილებლად შეჩერდება, ბავშვს მოეფერება, თავს გა-  
უტოლებს კიდევ; ჭიბეში თუ რამე შესაფერისი აღმოაჩნდა, აჩუქებს, გაუღიმებს და წავა-

— თუ კი არ იცნობს? — დაინტერესდა ბიქი.

— ეგ რა შუაშია. მისი ქვეყნის შვილია და თავის შვილად, ნათესავად თვლის. მთე-  
ლი ქვეყანა ნათესავისა და მოყვრის გულით ცხობრობს. აქ უცნობები ერთმანეთს ნაც-  
ნობებივით, ახლობლებივით ესაღმებიან. ქვეყანაც ამიტომაც ძლიერი. ოდიოგანვე ვეშა-  
პებივით მტრები ახვევია და ვერას აკლებენა.

მიდიოდნენ მამა და შვილი და ტკბებოდნენ კახეთის პეიზაჟებით, ზვრებით, ხეხი-  
ლის ბაღებით, მიჭრით მდგომი ლამაზაივნიანი სახლებით, განუყოფლობისა და სიმეი-  
დროვის, გაუტყელობისა და სიძლიერის იერ-სახე რომ ედო.

## თავი მეორე

„კეთილი იყოს ზმანება ესე“. — ნიშნულად გაიფიქრა ერეკლემ და წამოდგა. ჭერ

კიდევ არ გათენებულიყო და ცისკრის ვარსკვლავი მთელი სიცხადით კამკამებდა. მისი სუფთა, უმანკო სხივები ნეტარებად ეფინებოდა საქართველოს, ივრის ულამაზეს ჭებებს, ალაზნის ზღაპრულ ველებსა და მშობლიურ სანახებს... უსუფთესი სივრცეა და რეჟისორის ულ ნათელში გახვეულიყო. რძისფერი ნისლი მსუბუქად ეშვებოდა ალაზნის შენაკადებში. გასაშვირებს სურნელებს სვრელებად აჩნდა ხან მწყურვალი და ხანაც აჩქამებული, თელავისსვეი, კისისსვეი, ჭერმისსვეი, თურდო, სტორი, ლოპოტა, დიდხევი, ჩელთი, დურუჭი, კაბალი, ლაგოდენისწყალი, მაცოცხლებელი ნაჟურები.

მშობლიურ, უსაყვარლეს სანახებს გაჰყურებდა ერეკლე გულნაღდი პატრონის თვალით და ფიქრობდა:

„ამ მშვენიერი მიწისათვის უძველესი დროიდან იღვრებოდა სისხლი... ახლა კიდეც აღა-მამამად-ხანს არ ასვენებს თბილისზე დაცემის უინი... კრწანისი სისხლით მოიზიდება...“

სასახლის მოაჯირიდან ამ უთენია გაჰყურებდა ქვეყანას და გონების მისხური შორხედვა მანც ბაზიერივით გამოჰკიდებოდა წუხანდელ უჩვეულო სიზმარს, ვერა და ვერისვენებდა მისგან.

„კეთილი იყოს ზმანება ესე“. — კვლავ გაიფიქრა და ცალი თვალი ისე მოხუჭა, თითქოს მთლიანად მიეცაო სიზმრის ახსნას.

მანც რა ესიზმრა ასეთი?

თითქოს... ჭერ იყო და მთელი შიგნით კახეთი, განფენილი ალაზნის ორივე სანაპიროზე, შეინძრა, ატივტივდა და ნარანარად წაეიდა უფსკრულისაკენ... მთლადსაქართველო ფეხზე დადგა და უფსკრულის უძღებს ვაჟის ლერწები შეისწირა, ჭიკოკონა გაჩაღა და ცეცხლი უთვალავ სვეტად შეუდგა ჩამოქცევად ზეცას. ყოველ ოჯახზე წილად თითო კოცონის გაჩაღება მოვიდა. ცეცხლის სვეტი სინათლის სვეტად გადაიქცა, ამაღლდა და უფსკრულისაკენ დაქანებული მიწა-წყალი მაგიურის ძალით ზეამოსწია, გააწონასწორა, ვულკანურ დრეხასავით გააცივა და გააშავრა. სინათლის სვეტი კი გომბორისაკენ გადაიხარა, მწვერვალს აეტოლვა და იქაურბოა გადაანათა.

საქართველოში არ დარჩენილა ოჯახი, რომ არ გედო ცეცხლი სულისა და იმედი ვაზისა. ამან გააძლიერა სვეტი იგი სინათლისა, ლიბოდ წითელი ტინი დაუდგა, სისხლით შედებილი და აამაღლა იგი გომბორამდე, გომბორზე ადამიანთა სულისა და ცეცხლის ნათელი დვთაბერივად წამოიმართა და ერის უწუნავს სიწმინდედ გაცხადდა...

„კეთილი იყოს ესე ყოველი“. — ჩაიდუღუნა ერეკლემ და თვალები შეისრისა. თვალწინ დაუდგა სიზმარული ციციგომბორი და... კვლავ სიზმრის სინჯავს დაადგა თვალი გონებისა:

თითქოს... გომბორის მწვერვალზე, ციციგომბორზე აღიმართა უსაშველოდ დიდი. ზღაპრისათვისაც კი ზღაპრული სანახაობის არწივი, კაცთა გაცეხებული ხედვის შთაბეჭდილებით პატარა გოგონა ბატკანივით კლანჭებში მოიქცია და ყაშყაშით აფრინდა. ამ საოცარმა არწივმა უვრცესი სივრცეები ფრთებით გადაფარა, გომბორის მწვერვალი ყაშყაშით შემოსწერა და თელავის იქით, სოფელ ალავერდში, ალავერდის ტაძრის ნეტარ გუმბათზე დაფრინდა. სული რომ დაივანა, მხრები შეარხია, ფრთები უფრო მოწერხებულად შემოიწყო და... ჩაიძინა.

„კეთილი იყოს ეს მოლანდება.“ — ლოცვასავით გაიმეორა ერეკლემ და ცისკრის ვარსკვლავს გაუსწორა თვალი. ალავერდისაკენ გაიხედა და წარბები შეჭმუხნა — რატომ ჩაიძინაო არწივმა. ჩაფიქრდა და თავისთვის დაასკვნა: „არა, არწივი ძილშიც არწივია და ღვიძილშიც. არწივი ყველგან არწივია — მთაშიც და ბარშიც, მეცხრე ცაშიც და გუმბათზეც... ციციგომბორი შემოსწერა, „კახეთის-კავკასიონს“ ფრთა გადაატოლვა ჩრდილოეთის სიმაღლეებიდან გაისამსრეთა, უძველესი ალავერდის გუმბათზე მოგებულ იოის სიმშვიდე ჩამოიტანა და ჩაიძინა... კარგი იყო არ ჩასძინებოდა, მაგრამ არა უშავს.“ — ისევ დაასკვნა და გადაწყვიტა: დღეს, უამს სიმშვიდისა და შეუცნობად შეგვრძნებათა, ელოცა. ელოცა ალავერდში. მარტოდ წასულიყო და გულმოჭერებით ელოცა

ცა... ცხენიც მას შეეკავშა და ალაყაფის კარებიც მას გაეღო, კარისკაცსაც არ გამოლო-  
პარაკებოჯა და წასულიყო. ეს ლოცვა კი მიედღვნა იმისათვის, რომ არწივის ჩაძინება  
კეთილად ამხდარიყო, გოგონას კი, რომლის სახეშიც რატომღაც ივერია წამოელანდა,  
მშვიდობა მისცემოდა.

ერეკლემ ცხენი უთენია შეეკავშა, ალაყაფის კარებიც თვითონვე გამოაღო და წავი-  
და.

სასახლეში ელვისუსწრაფესად გაიგეს, რომ ბატონი უთენია ალავერდში წავიდა.  
ის კი არ იცოდნენ, ასე უმძრასად და უჩვეულოდ რატომ წავიდა. რატომ არ იხმო მე-  
ჩინიბე, კარისკაცი, მსახური, რაშია საქმე, ცუდი რამ ხომ არ მომხდარა?

ეზო-კარსა და ბაღ-ვენახში უთენია მოუფსფუსე გლეხებმა დაინახეს უჩვეულოდ  
ადრიანად, თანაც უთანხმებოდ, პირძვირად მიმავალი ერეკლე, მაგრამ ხმის ამოღება  
ვერავინ გაბედა.

გლეხებმა ერთმანეთს რაღაცა გადაუღაპარაკეს და ბატონს შორიახლო უსიტყვოდ  
მიჰყვენ. შემხვედრნიც აიკრიბნენ და კვალად მიჰყვენ ალავერდის აღმართს.

მიდიოდა ერეკლე. გონების თვალი ჩრდილო კავკასიის მწვერვალებისათვის მიებჭი-  
ნა, ხოლო სახედველნი — ალავერდის გუმბათისათვის.

მივიდა იგი ტაძარში.

კარებთან მსახური შეეგება და სოსოვა, ეუწყებინა თუ რა სამსახურს ინებებდა.  
არავინ შემოუშვაო, მცირე ხანს, ტაძარში, მალე გამოვალო მე. — უთხრა მსახურს.  
მსახური მიხვდა, რომ ღვთისმშობლის წინაშე აღსარება და ლოცვა გადაუწყვეტია  
დიდ ბატონს, და მორჩილების ნიშნად თავი დაჰხარა.

ერეკლე შევიდა ტაძარში, მთავარი გუმბათის მოხატული თაღის ქვეშ, ღვთისმშობ-  
ლის წინაშე თავდადრეკით დადგა და ხმადაბლა, შთამაგონებლად დაიწყო:

„დიდაო ღვთისავ, უპირველეს შეიწყალე ალავერდი... მერმედ შემიწყალე შენთა  
მლოცველთაგან მე. — მონა შენი, რამეთუ საქართველოსა და ქართველთა ძველთაგანი  
ჭირის, ნათმენი ტანჯვის უკუყურას ვესწრაფვი ვზიოთა საცილობელითა. მომიმართე ხელი  
და მომიკრძე ერის თავისუფლება და მშვიდობა, აღმოცენებული ურთიერთგაგებასა და  
ხიყვარულზე... არა და იმსხვრევა მთავარი ძვალი არსებობისა, იშოიტება სისხლი და  
შოიწევს ხორმაკი — გინა... ომი. საბრალონი არნ ბაღდები და მოხუცები. ბაღდთა ბედ-  
ნიერება სხვა რაა, თუ არა სიხარული და სინათლე. ააცილე მათ მომავალში, ომები.  
შეიწყალენ! მიეცი სიხარული და სინათლე ივერიასა და მისთანათა, საქართველოს ბაღ-  
დთა, რამეთუ ქვეყნის მომავალი მათითაა და ისინი ქვეყნის მომავლით არიან“.

ერეკლემ გარინდებიოთა და შთაგონებით დიდხანს უმზირა ღვთისმშობელს და... ძელ-  
სკამთან მივიდა. ერთხელ კიდევ შეაგლო თვალი ღვთისმშობლის სახეზს და ჩამოჯდა,  
რომ კარგად შემოეკრიბა ძალნი საუფროსონი და თვითონვე დარწმუნებულიყო თავისსა-  
ვე ზრახვათა სისწორესა და სისუფთავეში. თავზე ხელი შემოიდგა და ჩაფიქრდა. მოუ-  
ლოდნელად გაასხენდა და თითქოს ჩაესმა კიდევ:

„შემოკრბით ბრძენო...“

ეს მისივე გულისხმა იყო განზრახვაზე დასაფიქრებლად.

დიახ, გულისხმა, — იოანე შავთელის სიტყვები რომ გაასხენა. იგი თითქოს მოუ-  
წოდებდა განსახჯელის საჭაროობისაკენ.

„ჰო, ჰო, ასეა საჭირო, — გაიფიქრა ერეკლემ, — ვიდრე ქვეყანა ესე არ გამხდარა“...

„ვითარცა უფსკრული, შესაკრბელი ბილწთა ღვართა... რომლისგანცა ვინ ძლეულ  
არნ, დამონებულ არნ“. — თითქოს წაართვაო ვილაცამ სათქმელი და... თვალწინ დავით  
აღმაშენებლის სახე დაუდგა.

„ანდა რამ ათქმევინა ეს სიტყვები დიდ დავიძს? ო, არა, განა ბილწებისა ღვარი  
არ მოდიოდა საქართველოზე მტერთა სახით?! და რომ სამშობლო ჩვენი ძლეული უო-  
ფილიყო, ცხადია, დამონებულიც იქნებოდა. მაშ, სწორია ჩემი გადაწყვეტილება, სწორია,

მაგრამ ის რაღად ხდება, რომ ზოგჯერ იჭვის ობობა ეკიდება სიცხადის ნათელს? — გაფიქრა ერეკლემ.

კურთხეულ ხარ, კურთხეულ, ქრისტე! ისევ და ისევ შენი ნათლის კვალად მავალი გარდაუვლად დაუძმობილდება შენი ნათლის კვალად მავალს. ისევ და ისევ შენ ხარ ის ერთი, უმადლესი და უშენავისი ძალა; გაგება და გამართლება, მიზანი, სიყვარული და მინდობა, რომელმაც ძმას ძმა უნდა აპოვნინოს. კურთხეულ ხარ!..

გაგნებული ნათლით კვალად შენად ვივლი. ეს სვლა ხილვად და ცხადად კავკასიონის უღელტეხილებს გადაეტარება, დიდი რუსეთის ველზე გაივარება, ჭვარს წაიმდევარება და იგივე ჭვარის მადლის მიზეზით მიიღებს მშვიდობას. ჭვარი რამდენადაც დიდია, იმდენად მძიმე და შორიდან დასანახია იგი.

ერთნაირად დასანახია!

მაგრამ... რაღაით დარჩება ენა, ქართული სიტყვა, გული მისი და თვისება მისი ჩვენიველი?

დარჩება! — თავისთვის ბეჯითად დაასკვნა ერეკლემ და, თითქოს თამარის სატეხას მიმართავს, საკმაოდ გნაგონად თქვა:

„ენა არის ის, რაც...“ — და მოულოდნელად ჩაესმა:

„ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე“.

„ეს იგივეა, რაც მარადისობა, უფრო მეტიც, მარადისობის მარადისობა“ — გაფიქრა ერეკლემ.

„ეხე ენა შემკული და კურთხეულია სახელითა უფლისაითა... ყოველი საიდუმლო ამას ენასა შიგან დამარხულ არს“. — უნებლიედ გაახსენდა ეს სიტყვები და თვალწინ წამოვლანდა ბრძენი ქვეყნისა იოანე ზოსიმე.

„არს... არს...“ — გაიმეორა ერეკლემ და ჩაფიქრდა. ერთ ხანს დავით აღმაშენებლის სახე დალანდა, სულმნათის სმა ჩაესმა:

„ვარ მე აღმსარებელი და შენ კი გთხოვ ზენაო სიტყვაო, აღმსარებელსა მოხედენ“.

„ვრაც მავას ვალად ჩემად“. — ჩაიჩურჩულა ერეკლემ.

„ლმობიერ ყვენ გულნი ჩვენნი ფიცხელნი... ტომთა და ნათესავთა შთააცვი ნათელი, ეკლესიაი ჰყავ შენ ამაღლებული“! — ჩაესმა საკმაოდ მშობლიური და შორეული ტმა.

„ღმერთო, გამახსენე, ვის ბაგეებს მოსწყდა ეს სიტყვები, ოდეს, ახლა რომ ასე ცხადად ჩამესმა?“ — გაფიქრა ერეკლემ და, თითქოს იხსენებს, ცალი თვალი ოდნავ წახუჭა. „ჰო, ჰო, გიორგი ათონელი... ეს სწორედ მას შეეძლო ეთქვა, მას, დიდ ქართველს, მცხოვრებს უსაქართველოდ, და უსაზღვროდ შეყვარებულს საქართველოზე“.

თითქოს სიღვებე გაჰქრაო, ერეკლეს სახეზე აღარ იგრძნობოდა აზრის შთამავონებელი მიმონათება, სევდისა და სიხარულის მიმოდება.

იღგა იგი მარტოდმარტო, თავისთან, ღვთისმშობელთან, წმინდა გიორგისთან, დავითისა და თამარის სატეხებთან. ყველაზე პატარა ბაღდაც მიაჩნდა ახლა თავისთავი და ყველაზე... ისიც იცოდა, რომ სამშობლო საქართველო, ქართველი ერი, თავისი ნახანძრალი მიწით, გაცვეთილი ფარხმადით, დაგლეჯილი თორანით, დალილი სისხლითა და გამრუდებული ბედით ერთადერთს მას შემოჰყურებდა, ერთადერთის — მისი ამედილა ჰქონდა. ერთადერთი მიაჩნდათ ამა ქვეყნად მხსენლად და ეს ერთადერთი თვითონ იყო, პატარა კანად წოდებული დიდი ქართველი, ყოველი ოჯახის იმედი და მეგობარი, კახთ ბატონი.

ეს იცოდა ერეკლემ.

ეს დიდ მოვალეობას აკისრებდა ერეკლეს.

ეს აფიქრებდა, ჰკლავდა და არჩენდა კიდევ.

ამიტომაც იგი ხან იყო ბრძენი ვლენაკი, ხან მოღვაწე, ხან მბრძანებელი და უც-

დომელი სტრატეგი. ხანაც — რიგითი, მაგრამ შეუღარებელი მებრძოლი, მონერხებული, მკიწილი, ძალუმი მეომარი...

საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

იყო!

მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება კაცი იყოს ასეთი ენერგიული და შემართული? ძალთა აღწევების დრო აღამიანისა ოცდაათი-ორმოცდაათი წელია, საქართველოს მტერი კი ორიათასზე მეტი წლისაა და არავინ უწყის კიდევ რამდენ ხანს იბოგინებს ქვეყნად! ამიტომ რაღაც უფრო დიდია საქირი, ვიდრე ერთ ან ათ ბრძოლაში ერთი ან ათი გვირგვინის დადგმა თავზე, რაღაც სხვა!

ამ ფიქრებითა და იმედით კარები გამოაღო, უნდოდა კარისკაცისაფვის მადლობა ეთქვა, ცხენზე ამხედრებულყო და თავქვე, თელავისაკენ დაედამართებია. ექვარებოდა. მით უფრო, დილ-დილობით სასახლის კარზე ხშირად ელოდებოდნენ გლეხები თუ სწავლულები, სტუმრები თუ მისიონერები, მთხოვნელები...

გამოვიდა ტაძრიდან და განცვიფრდა.

ტაძრის ეზო-გალავანს შემოსჯაროდა ხალხი.

ისინი გზადადგა აკრებილიყვენ და გამოსდგომოდნენ ქვეყნის პატრონს, რომ გაეგოთ მისი უთენია ამხედრების მიზეზი.

ხალხი გასუსული იდგა და ელოდა ერეკლეს გამოსვლას, რომ გაეგოთ, უსაყვარლესი მეფე და სარდალი ამ დილისგულზე რამ შეაწუხა ან რა ამბავია ქვეყნის თავზე. ერეკლემ მოყვანის თვალებით გაჰხედა ხალხს, მათი გულისთქმა უმაღ და უცთომლად შეიცნო, მოსახლამი მოისწორა და ხელი ასწია:

— დილა მშვიდობისა, ხალხო!

ხალხი მიმოდგა. ზოგმა იგივე სიტყვები გაიმეორა, ზოგმა თქვა, იცოცხლე ბატონო, ხოლო ყველამ ერთად, თითქოს ლოცულობენო. ერეკლეს სიტყვებზე — „დილა მშვიდობისა“, ოდნავ მოგუღულულ ხმაზე დაიბუბუნა:

— დილა მშვიდობისა!

ერეკლემ წამოსახსამის ბოლო ამოიკალთა და კვლავაც შეამაგონებლად თქვა:

— მშვიდობა ქვეყანას ჩვენსას, ხალხო!

— მშვიდობა! — ახლაც იმავე ხმაზე უპასუხეს.

— რისთვის გარჯილხართ ამ დილით?

— თქვენი გარჯისათვის. — უპასუხეს.

ცხენის ფლოქვების თქარათქური შემოესმათ.

მხედარი ჭიჭურ მოექრა გალავანს. მას აინტერესებდა, ამ დილას რა მოხდა ისეთი, ხალხი რომ შესძრა, ან აქ, ტაძრის გალავანში რა ხდებოდა. ხომ არაა უჭირდა ქვეყანას ან ერეკლე ბატონს.

მხედარი, ასე უნინანად რომ შემოეჭრა ალავერდს, იყო ხანდაწმული და მანაც სიბერესთან დაუზავებელი მიხა იყალთოელი. მას ზურგსუკან ნიკო ჭავჭავიძის პატარა ქალი — შვიდი წლის ივერია შემოესვა და წელზე ღვედით საიმედოდ შემოეკრა იგი, რომ ბავშვი არ გადავარდნილიყო. გოგონა პაპას ჩოხაში ჩაფრენიდა და სრბოლაში ოცნების ფრთები ამურჩევით გაეშალა.

პაპა მიხა ჩამოქვეითდა, იმათ მდებლად დაუკრა თავი, პირჭვარი გადაისახა და თქვა:

— მეც აქა ვარ, ბატონო. გვიან შევიტყე — აქეთ გამოგწივით და დამაგვიანდა.

— რამ შეგაწუხა ესოდენ, მიხა იყალთოელი?

— სახლიდან თქვენმა უდროოდ გამოსვლამ, ბატონო.

— ის გოგონა ვინ არის, ცხენზე რომ შემოგისვამს?

— ნიკას ბაღლია, აწ განსვენებული ნიკა ჭავჭავიძისა. ლეკვი ლომისა სწორიაო და... სიკვდილს თუ გადავურჩი, ცხენზე გდომას გასწავლიო, მამამისს უთქვამს. ვერ მოჩი. რაკი ბაღლის სურვილი გავიგეთ, უნდა ავუსრულოთ კიდევცა. აქი ისე ბრძანეთ, სა-

ქართველოში არ ობლდებიანო!.. როცა დრო მაქვს, ცხენზე ჯდომას ვაჩვენებ. საქართველოში ომ ქალღმერთს ვაძლავებ.

— კარგად ლაპარაკობ, მისა იყალთოელო. დღეს მაინც ძალიან მინდოდა მაგ გოგონას ნახვა, ხილვა მქონდა ისეთი... ბაღლი დამესიხშრა არწივის კლანჭებში... მომიყვანეთ აქ ეგ გოგონა.

პაპა მისამ გოგონა უნაგირიდან ჩამოსვა და უთხრა:

— წამო; ა, იმ ძიასთან მივიდეთ.

— ის ძია ჩვენთან ნამყოფია, მე ის მაგონდება... ასე დამპირდა, რომაო...

— კარგი ახლა, კარგი... წამოდი. — თქვა პაპამ, მაჯაში ხელი ჩაჰკიდა და ერეკლესთან მიიყვანა.

გოგონამ დამორცხვა, ნაბიჯით უკან მიდგა, მაგრამ მალე გამბედაობა მოიკრიბა და თქვა:

— ძია, ძალიან მისარია თქვენი დანახვა. თქვენ მე დამპირდით, რომ ერეკლე მეფეს მონაწილეობით და თხოვრებით სოფელ ამისახოში ჩამოვლას მოგვისწყაროს მოსაღიდებლად...

ერეკლეს გაეღიმა და თქვა:

— ჰო, დაგპირდი, ჩემო კარგო, ოღონდ... ჭერ სალამი უნდა თქვა. მოდი ჩემთან. გოგონა გაუბედავად მიუახლოვდა. ასეთ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი ჭერ არც კი ენახა. აგერ მისა პაპაზე დიდი და კარგი კაცი არავინ ეგულება და იმასაც კი არასოდეს ღირსებია ასეთი მოსახსნამი.

ერეკლემ გოგონა ხელში აიტაცა და უთხრა:

— ქალი ხელმწიფეზეც კი დიდია ჩვენში... აი, შენ ჩემზე დიდი უნდა გახდე! — ჩამოსვა, მოეფერა და დაუყვავა.

პაპა მისამ უთხრა:

— ხელზე აკოცე, შვილო, ძიას. ეგ ხომ ერეკლე მეფეა!

გოგონა დაიბნა. პაპა მისას ზურგს უკან ამოეფარა და ცრემლი მოერია. რაღაცაზე განწყენდა და აღარც კი ესმოდა, უფროსები რაზე ლაპარაკობდნენ. ეს შენიშნა ერთმა გლეშმა და გოგონას თანაგრძნობით, თანაც გაკვირვებით ჰკითხა:

— რა გატირებს, გოგონა?

— მეგონა, პაპა არასოდეს მოიტყუებდა.

— ჩუ, არ გაიგონონ... როგორ თუ მოიტყუებდა? პაპა მისამ ტყუილი არ იცის!

— მაშ არა და...

— ჰო, ჰო, რაო?

— თქვენც კარგად გაიგონეთ, — ეს ერეკლეაო, — თქვა.

— ჰო, ჰო, ეს ძია ერეკლე მეფეა, არა გჭერა?

— მართლა?

— მართლა, მაშ არა?!

გოგონას უცნაური დეღვა მოერია და პაპა მისას ჩოხის კალთაში შემალა სახე. ოდნავ რომ დამშვიდდა, მიაყურადა, რას ამბობს მეფეო.

ერეკლემ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— სურვილი ესე უნდა აიხდინოს ქართველობამ! თქვენც ამაზე არ თქვით ომში ბედად გადარჩენილი და მაინც აღსრულებული ნიკო ჯავრიშვილის გლოვის დღეს?!

— ჰაი, ჰაი, რომ ვთქვით. ეს ხომ ხალხის სურვილია! — თქვა მისა პაპამ, ქუდი ჩიბეში ჩაიღო, თითები თითებშუა ჩააჭლო და დასძინა:

— ძალა შეკავშირებაშია, ბატონო. ეს ბაღლსაც კი არ ესწავლება. ქვეყანას სულის დავანება სჭირდება, მეობის დავასება და სულის დავანება! რაიმე მუდმივი ქმედების ძალა და სიმშვიდე გვჭირდება, თორემ ქვა ქვაზე ვეღარ დავგიდვია გაუთავებელი ომების გამო. არა თუ ქვეყანას რაიმე შევმატეთ, წინაპართა ნაშენ-ნაამაგარიც ვეღარ და-

პიცკით. თაღვანი ხიდები, ციხე-გალავნები და მონასტრები გვიბერდება და გვირ-  
ქევა. აგერ ლამის შვიდასი წელი გავიდა და მიწაზე ვაზის ფეხმოდგმის პაპანწყვეტა  
გვაქვს. ერთი მუჭაღა დავრჩით, როდისღა გვეშველოს?! — თქვა და ხალხს მიუბრუნდა,  
— განა მართალს არ ვაშშობ, ხალხო?

ხალხი შეირხა, მიმოდგა და ერთსულ დაემოწმა:

— ღვთის პირითა და ხალხის მაგივრად ლაპარაკობ, პაპა მიხავ!

ივერიას გაუყვირა, — ასე გატაცებითა და მოწადინებით რატომ ლაპარაკობს პაპა,  
ზომ არავინ გააჩავრაო, და ჩოხის კალთას ჩაფრენილმა ანიშნა, — მომხედეთ.

როგორც იქნა, პაპამ მოხელა და საკმაოდ მკაცრად უთხრა:

— რა იყო, გოგო?..

— ვინ გაგაჩავრა, პაპავ?

— ვის უნდა გავეჩავრებინე...

— მაშ, ქული ჯიბეში რად ჩაიდებ? ხომ არაფერი გინდა?

— როგორღა ვითხრა, შვილოსა, რა მინდა, როგორ გაგაგებინო?

პაპა მიხა ჩაფიქრდა, შემდეგ, თითქოს მოაგონდაო სათქმელი, ბავშვს თმებზე ხელი  
აღერსით გადაუსვა და მისთვის გასაგებად უთხრა:

— მე ის მინდა, შვილოსა, რომ მრღად საქართველოში წყაროები მიდინდეს, ჩვენს  
ამისახოშიც მოგვის წყარო მოდინდეს, რომ მაშვრალმა, გინა მომაკვდავმა ყელი ჩაისვე-  
ლოს... მიხვდი ახლა, რაც მინდა?

— მიხვდი, პაპავ. აკი მეც ამაზე მოვანხენე იმ ძიასა?!

— ჰო, ჰო... კარგი გოგონა ხარ შენ... ოღონდ ის მეფე ერეკლეა, ეს კარგად დაი-  
ბსომე. ისიც იცოდებ, თუ კი ვინმე შეგვისრულლებს თხოვნას, ისევე ეგ ძვირფასი კაცი...

— მაშ, ჩამოივლის?


— ჩამოივლის.

გოგონამ უცებ მოიწყინა. ეტყობა, მოგვის წყაროს ხსენებაზე მამა ნიკა ვაახსენდა  
და თვალები ცრემლებით აევსო.

...ერეკლემ ხალხის ერთსულოვნება მოიწონა.

უცდომელიაო ღმერთი და ხალხი, — გაიფიქრა და ამხედრდა.

(გაბრძნობა იქნება)



ზღვა. — ცისფერი წიგნი

პოემის ფრაგმენტები

ვუძღვნი თვითნასწავლი ლაზი მხატვრის  
ხასან ჰელიმიშის ხსოვნას.

სტუმრებთან კალაქში


აქ პოვე შენი მყუდრო საფანე,  
სულის მოკეთე, სულის ნათლული.  
აქ პოვე კუთხე — ფიქრის საფანე,  
დეღვა — წიასავით წამომართული.  
არ ნოგვლებია ძმობილთა ზრუნვა,  
გული ალალი, პური და სიტკბო,  
და ის ჭრილობა, დრომ რომ გარგუნა,  
მერე თანდათან იძენდა სითბოს.  
დუღდა სიცოცხლე, როგორც მაჭარი  
და სვანდა ფიქრი სანატრელ სასმისს.  
ზოგჯერ მზე გულში, ზოგჯერ — ხანჯალი  
აჩნდა ტილოზე ოცნების ნაწვიმს.  
და წვიმდა ხშირად აპრილის ეშხი,  
ზოგჯერ იანერის სიმკაცრეც წვიმდა.  
ცა — მოტანილი სინუმის პეშვით  
იყო წამულზე ფიქრით წმინდა.  
თავად განგებამ გასწავლა ხატვა,  
ხატავდი, გულში რაიც გებადა,  
შენ სიცოცხლეში ნათლისკენ სწრაფვა  
იყავ... და შენაც უნდა გეხატა.  
არ გიბრძოლია სახელისათვის,  
არ დახუნძლულსარ ქების თოვითა,  
ფიქრის ლამაზად გამხელისათვის  
სახელი შენთან თავად მოვიდა.  
სახელი იგი ახლა გიმდერის, —  
წრფელი ფიქრების ნაზი ასული,  
როცა იმ ქვეყნად დიდი სიბნელის  
ხარ სახატავად ჩუქნად წასული.

## სიზმარი

დაგესიზმრა, ვითომ ხელს გიქნევდა დედა.  
უშენობით გატყდა, გაუჭირდა ნეტა?  
ეს ძახილი ახლა დღეს გაგონებს ღუხჭირს.  
გულს უგზავნი, რადგან გულს უგულოდ უჭირს.  
ეგ ხნა არის ქალის თუ ქვითინი ბედის? —  
გადმოლახავს საზღვარს სიყვარული დედის,  
ფიქრში იჭერ სიზმარს, როგორც წმინდა ლოცვას,  
რომ თვალები ცრემლმა დედისათვის მოწვას.  
„შვილო, იქნებ გიჭირს?! შვილო, იქნებ გცივა?!“  
დედის თვალებს ცრემლის ყვავილები სცვივა...  
...როცა ღამის ღრუბელს დღე მიწაზე დასცემს,  
საკუთარ გულს გარდა ხნას არავის არ სცემ.  
ფიქრი ზოგჯერ იმ ძველ მოგონებებს უთევს,  
ჩიტს რომ ენანება დანგრეული ბუდე...  
მაგრამ როცა დაჰკრავს გაზაფხული — ზამთარს,  
შენი ფუნჯი ისევ წამულის მზეს ხატავს.

## ისევ ზღვასთან

ქარი მოაფრენს ტალღების გემებს,  
მისი ჯახანი ტკივა ნაპირებს.  
თითქოს საყვარელ არსებას სცენეს,  
ზეცა ნაღვლობს და წვიმას აპირებს.  
შენ დგახარ ზღვასთან ფიქრში წასული  
და მისი გულის გრიგალი გათბობს.  
დილა — სინათლის ნაზი ასული  
მოელის წვიმას — ნაღვლიან სატრფოს.  
ამბოხებულია გული ვეება,  
ზღვა გულისწყრომას ამგვარად აზხელს.  
ტალღა მომსკდარი ტალღას შეება,  
ტალღას დღევის დროს არქმევენ სახელს,  
რამ გაგაბრაზა, ჩემო ცისფერო?!  
ჩე შენ მიყვარხარ, მე შენსკენ ვილტვი.  
სიმღერა ახლაც მინდა გიმღერო.  
ჩემს სათქმელს შენი ტალღებით ვიტყვი...  
ზღვა გეგონება ზეცისკენ მიჰქრის,  
ზვირთი ზვირთს ქშენით ასკდება, ბორგავს.  
მე ვფიქრობ შენზე და ჩეი ფიქრი  
ზღვაში ჩაშვებულ მზის ნათელს მოჰგავს.



1968 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ აპარაში“ და გაზეთ „საბჭოთა აპარაში“ გამოქვეყნდა ექიმისა და პუბლიცისტის რამაზ სურმანიძის ისტორიული ნარკვევები „ემრულა მალქეაძე“ და „იმერხეველი რაინდი“, რომლებიც სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილ გმირს ემრულა მალქეაძე-მალაყაძეს მიეძღვნა.

თხუთმეტი წლის მანძილზე რ. სურმანიძე აგრძელებდა ამ თემაზე მუშაობას. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მის კინომოთხრობას „ემრულა“, რომელიც ასახავს მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობას აპარაში, შვეშეთ-იმერხევსა და საქართველოს სხვა ისტორიულ პროვინციებში, აპარის განთავისუფლებას და დედა-სამშობლოსთან დაბრუნებას.

კუნაბეტი ღამეა. ჭრაქით განათებულ ოთახში, მითვლემილ ბუხართან, ჭორკოზე, ყაბალანწყარული პერანგისამარა შუახნის კაცი ზის. ოჯახის დიასახლისი შინაური საქმეებითაა ვართული. სექვზე გაშლილ ძონძებიდან მძინარე ბავშვების ფეხები და თავი მოსჩანს.

— ხვალ მუხტარი ჩამეიარს, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა კაცმა, — თახშირია ვადასახდელი, მუდირს უთქვამს დღეიდან მოსავლის მეათედი ჩემიაო.

— ამათი საქმელი? — ბავშვებისაკენ გაიხედა ქალმა, — სამ თვეს არ გვეოფნის და რა უნდა წეიდონ, ბარემ სულიც ამოგვადრონ და მევისვენებთ!

— მარტო თახშირს ვინ ჩივის. ძროხები გყავან და ორი ოყა ერბო უნდა შეიტანოთო, ამასაც გაუძღებდა კაცი, მარა მთავრობის ხალხი რომ გემსახურება, ისიც თქვენს სარჩენი არისო.

— გვემსახურება! — ქალის გაბრაზებას ირონიაც დაემატა, — ესაა სამსახური? საქონელს წამოვარზე ვადენი, ოთხი კაცია საქირო, არავინ წამართვასო. ყანაში გახვალ, თოფს და ყამას ვერ იშორებ. ექვსი თვეა კაცს ქალი წაართვეს და გზა-კვალი დღესაც არ იციან. ესაა სამსახური?

— ახლა ქიბარაღას დაავალეს ფირალეებიდან ხალხის დაცვა. შვიდი ზაფთიაც ჰყავს. ამბობენ, ძალიან გულღვანი კაციაო... მარა ჩვენი საშველი მაინც არ იქნება.

— ქიბარაღას მისი გულღვანობა მისთვის ჭირდება. მაგიც ძარცვავდა ხალხს, აღარ ვახსოვს?

...მოულოდნელად კარებზე ბრახუნი ატყდა. ცოლ-ქმარს ხმა ჩაუწყდათ. ჰერცოგის მანეთს შეხედეს, მერე ბავშვებს. ხმაურის განმეორებაზე უფროსი ბიჭი ენვერის ფოთებული წამოვარდა და გაფართოებული თვალებით აქეთ-იქით დაიწყო ცქერა.

— ხახუტავ, კარი გაგვიღე! — მოისმა გარედან ხმა.

— რომელი ხარ? — იკითხა ოჯახის პატრონმა.

— ბაბა, არ გააღო! — ჩურჩულით ეუბნება ენვერი.

— დაკითხვას თავი დაანებე, თვარა ბოშბას ჩამოგივადებ და შენი ცინტლებიანთ ამოგუშუავ! — ისმის მუქარა.

— აბდულა?! — ხახუტამ უკვე იცნო მომხდურის ხმა, თანაც მიხვდა, შემოტევის ვეღარ გაუძლებდა. — ნუ ჩადგები ჩემი ბაღნების ცოდვაში. — კარის გასაღებად წავიდა. კარები გაიღო და სახლში სამი შავყაბალახიანი, წვერმოხვებული კაცი შემოვივარდა. — სად გაქ ფქვილი, კარაქი, ყველი?! — დაიღრიალა აბდულამ და საშინაობა დაიწყო.

ერთი მძარცველი ელდანაცემი ქალის წინ აეყუდა.

— მოიძვრე ბექედი! — გამოსცრა კბილებიდან.

ქალმა უნებლიეთ ზურგსუკან წაიღო.

— მოიძრე-მეთქი! — იბღავლა ავაჯაკმა, ქალს მაჯაში სწვდა და ხელი გადაუგრიხა.

ბიჭი სექვიდან მოსხლტა და დაუპატიუებელ სტუმარს ეცა, მაგრამ მან დამზარა იძრო.

იქეთ აბდულა უტრიალებდა ხანჯალს თვალებთან ხახუტას.

ქალი ჰერცოგი ცალი ხელით ყელში სწვდა მძარცველს, მაგრამ გადაგრებილი ხელის ტკივილს ვეღარ გაუძლო და მაჯა მოტეხილივით ჩამოუვარდა. ფირალმა ბექედიანი თითო იგდო ხელში და მთელი ძალით მოქაჩა.

ქალს საშინელი კივილი აღმოხდა, ხახუტა ქალისაკენ გაიწია, მაგრამ ამ დროს დამზარამ იქეჯა და მთელი სახლი კვამლით და მტვერით აავსო.

სროლას წამიერი სიჩუმე მოჰყვა, როცა კვამლი გაიფანტა. ხახუტამ ხეჭვზე შეშინებული ბავშვები შენიშნა, შემდეგ გულშეწუხებული ცოლი წამოაყენა, იქვე ბავშვებთან მიაწვინა და ძველმანებით სისხლიანი ხელი დაუფარა.

ენვერი ერთხანს გასტერებული შესცქეროდა დედას, შემდეგ კარი გადაკეტა და ქალის თავთან ჩამოკდა.

\* \* \*

— ქიბარაღა მობრძანდა! — ადრე დღით ხმა დაირხა სოფელში. ცნობისმოყვარე ხალხი დაიძრა სოფლის შუაგულისაკენ. ხახუტაც მოემზადა ყირსარდართან შესახვედრად, გუშინდელ ამბავს შეეჩვივლებო. ეზოში რვა ცხენოსანი შემოვიდა. წინ თვით ქიბარაღა მოუძღოდათ. შავ ცხენზე იჯდა, ხელში დიდი მათრახი ეჭირა. ხახუტე ეტყობოდა სიმაკტრე და დაუნდობლობა. ცხენოსანთა შორის ერთი თხუთმეტოდე წლისა იქნებოდა, მას ცხენი უკან გაეჩერებინა.

ქიბარაღამ ხახუტას მიხალმებაც არ აცალა.

— რაღას დგახარ, შენზე სამი ყურუში რომ არის გადასახდელი, არ იცი?

— შე... — დაიბნა ხახუტა — წუხელის სახლზე დამეცენ. ბაღნების სარჩენი რაც მქონდა, წამართვეს. სალიანოს გადასახადი მუხტარს მივეცი და ახლა რაღას მთხოვ ქიბარაღა?

— არ ვიცი შენი მუხტარი და მუდირი... ამ ხალხს, — უანდარმებზე მიუთითა, — რჩენა არ უნდა? — ესენი რომ არა, ყაჩაღები ტყავს გაგაძრობენ, შე უმადურო! — წელში მოხრილ ხახუტას მათრახი გადაუჭირა და ძირს დასცა, — ახლავე გამოუტანე უფლი, თვარა...

ამ ამბის შემყურე ხასუტას ცოლი სახლიდან გამოვიდა, დავარდნილ ქმარს შეხვდა და ძუ ვეგვფივით მომხდურისაკენ გაექანა.

— ტყავიც ვაგვეძვრა და ნაცრალაც ვიქცით, ყაჩაღებიც იყვნენ, მაგრამ შენზე უარესი, უღმერთო და მძარცველი ამ დუნიაზე არავინ დადის! ასე იცავთ თქვენ ხალხს? — ქალმა გასისხლიანებული ჩვირებით შესვეული ხელი მაღლა აღმართა, მერე მოიქინა და ყირსადარს თვალში ლითონის ფულები მიაყარა.

— ციციხლად და შხამად მიერგოს შენს შვილებს, ცოცხალი არ დაგხდნენ სახლში! უკან მდგომი პატარა მხედარი შეერთა, წინამძღოლისაკენ გასწია ცხენი, თითქოს რაღაცა უნდა უთხრასო, მაგრამ ცხენოსნებს მიწაზე დაცვინილ ფულებზე ყურადღება აღარ მიუქცევიათ, ცხენები უხმოდ მოაწრუნეს და მეორე სოფლისაკენ გაქუსლეს, ახლა ისინი შვიდნი იყვნენ, ჭაბუკი ცხენს საწინააღმდეგო მიმართულებით მიატყებდა. მას დედა-შვილის გაკვირვებული მხერგა მიაცილებდა.

\* \* \*

— მამაჩემს მეტს აღარ წავეყვები, ნენი. ვისთანაც მივედიო, ყველა გვეწვევლის და გვაგინებს. წუხელის ხასუტა მახაჭაძის სახლს ფირალები დასცემიაა, რაც სვლში მოყვათ, ყველაფერი წაუღიათ, ქალისათვის ბეჭედთან ერთად კიღამ თათიც წაუღლეჭიათ... დახმარების მავივრად, ბაბამ ხასუტას მათრახი გადაკრა. ესა ხალხის დაცვა?

დედამ ბიჭს ორივე ხელი მოხვია.

— მერე, შვილო!

— მერე და აოხრებულ-გაძარცვული სახლიდან გამოცვივდნენ შიშველი ბაღნები, გამოვარდა ჭავიარაც და სისხლიანი ხელით...

— საწყალი ქალი, — ჩაილაპარაკა დედამ, — რად უნდა, ემრულ, მამაშენს ასეთი ფული, განა ჩვენ თავს ვერ ვირჩინო?

— იმ ქალმა იმდენი გვეყვებოდა, შენი სახლი დაგექცესო, ღმერთმა შენი შვილები მოიკითხოსო...

— შენ აღარ წაყვე ქიბარას, ემრულ! — უთხრა ქალმა ჭაბუკს.

ბიჭი წამოდგა, ოთახის შუაგულში გაჩერდა. თვლებში ნაპერწყმები აუკიაფდა.

— დიას, აღარ წავეყვები, მაგრამ მე ჩემით ვაგხდები ყირსადარარი. ერთი ფირალიც ვერ გეივლის ჩვენი საწყალი გლეხის ეზო-კარში, ბიჭი და, ვინმემ აწყინოს ჩემს მეზობელს, ბზიკივით შევაკვდები!

დედას სახე გაეხსნა, თვლებში სისხარული ჩაუდგა და შვილი მკერდზე მიიხუტა.

— ამ გაღლეტილ ხასუტას რომ მიდგომია მამაშენი, შვილის მკვლელს გაუხწოროდეს არ ურჩევნია?

— თურან-ბეგს მე შევხვდები ვიწრო გზაზე! — გულცივად თქვა ემრულამ. იგი ახლა ადრე დაბრძენებულ რაინდს უფრო გავდა, ვიდრე სოფლელ ყმაწვილს.

დედამ ცრემლი მოიწმინდა.

— დიდმა გამჩინებლმა მოგამართოს ხელი, ემრულ, — ბიჭი თავით ფეხებამდე შეათვლიერა, — მტერსაც პატოსნად უნდა მოექცე, შვილო, შენი ძმა ვერაგულად, უღმერთოდ მოკლეს, მოულოდნელად, ზიარადო, პერანგის ამარა...

\* \* \*

პარასკევი დღე იყო. ჯამეს კართან მორწმუნეებს მოეყარათ თავი.

ეზოს განაპირა მხარეს ახალგაზრდობა შეკრებილიყო. რაღაცაზე ბჭობდნენ.

— ვერ მოერევა! — ამბობდა ერთი.

— თუ ვერ მოერევა, აგერ სარქისას დუქანი და მისი ჯანი, სამი გირვანქა ჰალვა იყიდოს.

ბიჭები მოპაექრებებს აგულიანებდნენ. ისინი კი თავდასრილი, ქვეშ-ქვეშ იცქირებოდნენ და ჩუმად ერთმანეთს თვალით ზომავდნენ. ბოლოს წრე შეიკრა, მოჭედდებულმა უბაღალხები მოიძრეს, წრე ჩამოიარეს და ერთმანეთს ეძგერნენ. წუთიც არ გასულა, ერთი მათგანი ორივე ბეჭით მწვანეზე იყო გაკრული.

— აბა სარქისასაყენ! — ერთხმად დაიძახეს ბიჭებმა. დამარცხებულმა მწარედ ჩაიღმა, ფარდულს ფეხის თრევით მიუახლოვდა და მეღუქნეს უხალისოდ ფული გადაუფლო. გამარცხებული ჩვენი ნაცნობი მახატაძის შვილი — ენვერი იყო. სხვასაც იწვევდა საჭიდაოდ, მაგრამ მეტოქე არ ჩანდა. ბოლოს ახალგაზრდებს მზისგან გარუჯული, მაღალი ქოჩორა ბიჭი გამოეყო.

— მაგას არა! — თქვა ენვერმა და მეტოქეს ზურგი შეაქცია, — სხვას, თუ გინდათ, დევი იყოს, დავეჭიდები.

— შეეშინდა. — ჩაილაპარაკეს ბიჭებმა. ენვერმა ბრავით გადახედა მათ და უსიტ-ქვოდ წრიდან გავიდა.

მეტოქემაც ასევე უხმოდ დატოვა წრე.

ახალგაზრდებმა მიზეზი ვერ გაიგეს, მაგრამ ჭიდაობის ხალისი მოეშალათ.

— ხოჯა მოდის! — დაიძახა ვიღაცამ.

აღმართზე მომავალი ჩაღმბიანი კაცის თავი გამოჩნდა, შემდეგ შავი ცხენი. უკან ჯორზე ამხედრებული თხისწვერა მოლა მოჰყვებოდა.

— არსენა ვარო, მაგან უნდა თქვას! — ჩაილაპარაკა მოსირმულუბაღალხიანმა ბიჭ-მა. მის სიტყვებს თავშეკავებული სიცილი მოჰყვა.

ცხენოსნები ჩამოქვითდნენ და ჯამესაკენ გაემართნენ. მოლას უნაგირზე ჯდომით ფეხები გამოხგრეოდა.

სიცილი ხარხარში გადაიზარდა. ბიჭებმა გული იჯერეს.

— არსენა ხომ მევედარია? — მოსირმულუბაღალხიანს იდაყვი გაჰკრა ერთმა ბიჭმა.

— ასე ითქვა, მარა არ უნდა იყოს მართალი.

ჯამეს ერთი ჭადარაწვეროსანი კაცი მოადგა. თავზე მაღალი ცილინდრი ესურა, მხარზე მძიმე ხურჩინი ჰქონდა გადაკიდებული. შადრევნის კიბესთან გაჩერდა, ხურჩინი ჩამოიღო, ცილინდრი მოისხადა, სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა და საფეხურზე ჩამოკდა.

ბიჭები ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს.

— ვინ არის? — იკითხა ერთმა.

— არ ვიცი, ჩვენებური არ უნდა იყოს.

ჭიშკარი გომარდულელმა მეღუქნემ რეკებ მუჯანაძემ შეაღო. იგი ხელებგაშლილი წავიდა სტუმრისაკენ, ისიც წამოდგა და გაღიმებული შეეგება.

— ხალამ აღეიქუმ, შექერია ეფენდი! — უთხრა სტუმარს.

— აღეიქუმ ხალამ! — უბასუხა შექერია.

— ლოცვაზე დავაგვიანე, ეფენდი. — თქვა რეკებმა და გაიწია წასასვლელად, მაგრამ სტუმარმა შეაჩერა.

— მოიცა, რეკებ, მეც მოვდივარ.

— თქვენ? ჩვენს ჯამეში? — გაუკვირდა მუჯანაძეს.

— ჰო, ჩემო რეკებ, ყველა შენსავით არ მენდობა, არ ესმით ჩემი აქ მოსვლის მიზეზი. ჰოდა რომ გავაგვიბინო, ნდობაც უნდა ჰქონდეთ ჩემი, ნდობას კი რწმენა განამტკიცებს, და მეც გადავწყვიტებ, თქვენს ჯამეში ვილოცო.

მუჯანაძემ ქართული წიგნებით დატენილ მძიმე ხურჩინს ხელი წამოაფლო და სტუმარს ჯამეში შეუძღვა.

— გეიგონე, ბიჭო, ვინ არის ეს კაცი? — ჰკითხა ბიჭმა ამხანავს.

— არ ვიცი, ვინ არის, ვინცხა ვიპურია.

— მივხვდი, ვინც არის.

— აბა, თქვი!

- შარშან მედრესეში მოლამ ჩუმად ქართული წიგნები რომ შეიტანა, განსაცხის?
- კი.
- „ბუნების კარიო“, რომ ეწერა.
- ჰო.

— მაშინ ის წიგნი ამ კაცმა ამოიტანა და ხალხს კინაღამ შემოაკვდა, ურჯულოების ქითაბს არიგებს სოფლებშიო. კვანის სოჯა ახმედ ეფენდი რომ არ გამოსარჩლებოდა, საქმე ფინთად იყო.

- მაგი არ იქნება კაი კაცი.
- რატომ?

— ჩვენ მელექსეს რაფერ ატყვილებდა, გეიგონე, ვილოცო-ნა თქვენ ჯამეშიო... ვიპურნი რაფერ ილოცავს, კი?

- რაფერ ილოცავს და ლამაზად, წამოი დაგანახვო.

ბიქები წამოხტნენ, ჯამეს ყორეზე აბობდნენ და ვიწრო ფანჯრიდან შეიხედეს. „ვიპურნი“ ცილინდრი მოეხადა, თავზე ცნვირახსოცი წაეყრა, ბოლო რიგში დამუხლულიყო და სხვებთან ერთად ლოცულობდა.

- დასტურ ვინ არის მაი კაცი, კი?

— ზეკერია-ეფენდია, ქიქინაძე, — უთხრა მეორემ. ბიქები ყორედან ჩამოხტნენ და შარას გაუყვნენ.

თუთის ხის ქვეშ ორნი დარჩენილიყვნენ. ჯერ ერთმანეთს შორიახლოდან ზეგრა-ვდნენ, შემდეგ ენვერმა თავი ამაყად ასწია, ბარძაყთან გახეული შარვალი ნაკეციით და-იფარა და შეუძახა:

— თუ ვაჟკაცი ხარ, ასლა დამეჭიდე, ემრულავ, და ქიბარალას ვალებსაც აქ გა-ვისწორებ!

ემრულამ ბრიალა თვალები მიანათა ენვერს, რომელსაც ხელები წინ ისე გამოეწ-ვდინა, თითქოს რკინას უნდა მოავლოს და დაგრისოსო.

— საჭიდაოდ და საჩხუბრად არ დავრჩენილვარ, — მშვიდად უთხრა მან აგუნე-ბულ ბიქს — ის, რაც შენ გაქვს გულში, ორმაგად მეც მაწუხებს, შენი თვალით ხომ ნახე, თქვენი სახლიდან მე ბაბას არ გაეყოლივარ... იმ დღის შემდეგ მე ზაფთითთან აღარც გამივილია. ვალები დიდვანებმა ასწორონ, მე კი სულ სხვა რაიმე მწადაი, თუ შენც ისურვებ, გულში რაც მაქვს, ყველაფერს გეტყვი.

ენვერმა ხელები ნელა დაუშვა.

— ერთად გაზრდილი ვართ და გიცნობ, თვარა ქიბარალას შეივლს შაითანიც არ ენდობა — ენვერს ხმა შეურბილდა.

ცოტა ხნის შემდეგ თანატოლები ჯამეს კარს მოშორდნენ და ღელის პირას, თალიანი ხილის ქვეშ, რიყესთან ჩამოსხდნენ.

დიდხანს არ იღებდნენ ხმას. თითქოს სალაპარაკო ვერ მოეფიქრებინათ.

- არსენა დასტურ ცოცხალია? — მოულოდნელად იკითხა ენვერმა.
- დიობანში ეზრუმიდან კაცი ჩამოსულა და უთქვამს: კუჭანტელისგან დაჭრილი არსენა მცხეთელებს წაუყვანიათ, მოურჩინიათ და შემდეგ ჩვენსკენ გამოუპარებიათო.
- აბა მცხეთაში ვინ დამარხეს?
- სხვა დაუმარხავთ.

— ნეტაი, მაგრე იქნებოდეს, — ინატრა ენვერმა, — რომ ვიცოდე, სად არის, ბა-ბას არ ვეტყვი, ისე წავალ მასთან.

— ეზრუმიდან ახლოს, ერთ სოფელში ცხოვრობენ ოძელოდლები, იმასაც ამბობენ, არსენას შორებელი ხისიმები არიან და იმათთან იმალებაო.

— წავალ არსენასთან! — თქვა ენვერმა და უნებლიეთ წამოხტა. ემრულამ ქვემო-დან ახედა.

— სად წახვალ, ბეჩო, შენც დეიჯერე ეს? არსენა იქ რომც იყოს, ხომ არ გგონია,

ძველებურად ტყეში გავა და ჩვენფერ ბაღებს ახლოს მიიკარებს... — ნაღვლიანად თქვა ემრულამ და ვარჯიშდა, თან წადის წვერით სილაზე რაღაცებს ხაზავდა. — ყველაფერი ეს მოგონილია. არსენა გეისაქმეს იმ უსისხლოებმა. ხალხს უნდა, არსენა ცოცხალი იყოს, რაც თავი მახსოვს, ასე მესმის, ერთხან ასე ილაპარაკებენ, დაიძვლებიან და ცოცხალს რომ ვეღარ ნახავენ, გასუსულდებიან.

— აბა, რამდენ ხანს ვუყურო ბაბას ზურგზე მათრახების ზღრიალს, რამდენ ხანს უნდა მაშინებდეს აბდულ-ალა?

— ჩვენ უნდა ვნახოთ ჩვენი არსენა. წავიდეთ შავშეთში, ზედა აჭარაში, ქობულეთში, ჩვენფერი ბიჭები მოვძებნოთ, იმერხევიდან ბევრი გამოგყვება. აქ ახლო-მახლო ხომ არ გეგულება ვინმე, ჩემსავით სახლიდან გაქცეული?

ენვერი ჩაიფიქრა.

— რავარ არა! — წამოიძახა უმაღლვე, — ღორჯომიდან ორი ძმია გაქცეული, მარა რაზე და სად არიან, ვერ გეტყვი.

— ვინ არიან, რა გვარები? — იკითხა ემრულამ.

— ირემბაძეები არიან. ერთს ბურანაი ქვია, მე ვიცნობ, მეორეს სახელი არ ვიცი.

— წავედი! — ემრულა წამოდგა და ენვერს გაუსწორა თვალი, რას იზამსო.

— საით წახვედი? — იწყინა ენვერმა. — ამდენი მალაპარაკე და ახლა მარტო მიდიხარ?

— მე მინდა შენ თვითონ გადაწყვიტო. ხომ ხედავ მთლად კარგ საქმეზე არ მივდივარ. რაც არ გინდა, იმის საწინააღმდეგოს ვერ გირჩევ. თუ გული გეუბნება, წამოდი-იცოდე, ბევრი ხიჯათი გველის.

ენვერმა არ დააცალა, წამოხტა.

— მოვდივარ! — სწრაფად მიუგო და გაუსწორდა, — ცხენები დაგვიტყობდა.

— ერთი ცხენი მყავს, ჭერჭერობით გვეყოფა, მერე ვნახავთ მეორესაც. — დამაშვიდა ემრულამ.

ბიჭები წყალხაღმა გავიდნენ. თხმელის ძირას მიბმული ლურჯა ახსნეს, მოსართავები მოუჭირეს, ლაგამი ამოღვეს და უნავირზე მოექცნენ.

— საით მივდივართ? — იკითხა ენვერმა.

— ღორჯომისაკენ! — სწრაფად უპასუხა ემრულამ და ცხენს მათრახი გადაჰკრა.

\* \* \*

ბურან ირემბაძის ნახვა გაძნელდა. ამხედრებული შესვლა სოფელში ეჭვს გაუღვივებდა ხალხს, ამიტომ ცხენი ტყეში დამალეს და მთელი დღე ჩუმად უთვალთვალდნენ, ელოდნენ შურისმაძიებლის გამოჩენას. ერთად მისვლა არ შეიძლებოდა, ირემბაძე, შესაძლოა, ტყეით გამასპინძლებოდა მოულოდნელ მეთვალყურეებს.

შის ჩახვლიხას ირემბაძის დასაზვერავად წასულ ენვერს ბავშვების ხმა მოესმა.

— ბურანაძია! ბურანაძია! კამფეტებს მოგვიტანდა. — აურამულდნენ ბავშვები და ნაფუძარის ბოლოსაკენ გაცვივდნენ.

ეზოში ხნიერი ქალიც გამოვიდა, შალი მოისხა და იმავე მიმართულებით გასწია. საითაც ბავშვები გარბოდნენ.

შუა გზაზე ბავშვები მობრუნდნენ, ხელში კამფეტები ჩაებლუჭათ. როგორც ჩანს, ირემბაძე მათ გზაზე შემოსვდა. ქალი კი თან გაჰყვა.

— უნდა მივევთ და მალულად მიუახლოვდეთ, — თქვა ენვერმა, — ხანამ სროლას დავგასწრებდეს, გავაგებინოთ, ვინ ვართ და რაზე მოვედით.

ბიჭები ტყე-ტყე წავიდნენ დანიშნული ადგილისაკენ. ნაფუძარის ბოლოს რომ მიუახლოვდნენ, ლაპარაკი მოესმათ, ბუჩქებში ჩასაფრდნენ. ენვერმა ფოთლები ოდნავ გადასწია, გაიჭვირტა და ელდანაცემივით უკან მოიხედა.

— იქ კაცია ხეზე მიკრული. ბურან ირემამე მიწას თხრის.

ემრულამაც გაინედა ბუჩქებში.

ნახევრად შიშველი კაცი ხეზეა გაკრული. პირი ბამბით გამოუტენიათ. გვერდით

ქალი ზის და ტირის. იქვე შავი შეკაზმული ცხენია მიბმული.

ტყვეს სუნთქვა უჭირს. მისი ქშენა ბიჭებამდე მოდის.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ენვერმა.

— ჭერ გავიგოთ, რაშია საქმე. — თქვა ემრულამ და ბუჩქებს ხელი უშვა. ბიჭები სმენად იქცნენ.

— მოგეკლა, შვილო, და ჩემთვის ეს არ დაგენახვებია. — ქალმა სახე ხელებში ჩამალა, მუხლებზე დაეყრდნო და აქეთიინდა.

— ერთი ყურუში მაგისთვის არ მენანება, ნენი, ტყვიით ჩაძალღება მაგისთვის შევლათ... მაგი კაცი სიკვდილის ღირსი არ არის! — უპასუხა ბურანმა და მიწის თხრა განაგრძო.

ენვერი სწრაფად გაძვრა ბუჩქებში, შეხედა და უკან მობრუნდა.

— უზარმაზარი ორმო ამოუთხრია. — ჩურჩულით უთხრა თანამგზავრს.

— ახლა რას აპირებ? — შეშფოთებით იკითხა ქალმა.

ბურანმა ბარი დაუშვა, ორივე ხელისგულით დაეყრდნო, წინამხრით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და დედას შეხედა:

— რას ვაპირებ? აი, ასე, როგორც ხედავ, მიწაში ცოცხლად ჩავმარხავ!

— რას ამბობ, შვილო! — იკვილა ქალმა.

ტყვემაც რალაც დაიღმუვლა

— ნუ კვიხარ, ნენი. ეს შენი საქმე არ არის. ახლავე სახლში წადი, აქ ხალხი არ შემოიყარო.

ქალი ზეზე წამოვარდა, ლეჩაქი ჩამოიშალა. ჭაღარა თმებზე ხელი იტაცა, შემოიღვინდა და დაემსგავსა.

— ეს არ ქნა, შვილო, ღმერთი არ გაპატიებს! — ახლა ჩამკვდარი ხმით გოდებდა იგი.

ბიჭს დედისთვის არც შეუხედია, ისე გააგრძელა საქმე.

ქალი ტყვესთან ზურგიით დადგა და საკინძის შეხსნა დაიწყო. მკერდი გაიშისვლა და როცა ბიჭმა მისკენ გამოიხინდა, უთხრა:

— თუ მაგ საქმეზე არ აიღე ხელი, ეს ძუღლები შენზე არამი იყოს, შვილო! — ორივე ხელი ცაში აღაპყრო, თითქოს ღმერთის დასტურსაც ელისო, ჭერ მუხლებზე ჩაიკეცა, შემდეგ მიწაზე დაეცა.

ბურანმა ბარი ძირს დაუშვა. ჭერ დედის ქვითინს მიაყურადა, ბიჭს თვალებზე რალაც ცეცხლი მოსწოლოდა. კარგახანს უყურებდა მიწაზე გართხმული დედის ჭაღარა თმებს. შემდეგ მხერა წამით ტყვეზე გადაიტანა. ერთი შეუღრინა, ხანჭალი იძრო და იმ ხისაკენ წავიდა, რომელზეც ტყვე იყო მიკრული.

— მგონი ხანჭლით აპირებს განგმირვას. — შეშფოთდა ენვერი.

— არა, ეგ აღარ მოხდება. — დაამშვიდა ემრულამ.

მართლაც, ბურანი ხეს უკანა მხრიდან მოექცა, ორჭერ შემოაჭრა ხანჭალი და თოკები გადაჭრა. ტყვემ ხელები გაითავისუფლა, პირიდან ბამბა გადმოაგდო, ხესთან ჩაჭდა და ხანჭალმოღერებულ ჭაბუკს მკერდი მიუშვირა.

ბურანი მიუხვდა, რასაც თხოვდა.

— ახლა არა, ძაღლო, მაგის დროც მოვა. გაეთრიე აქედან! — დასჭყვილა ტყვეს.

ისიც წამოღგა, ბალახებში წამომჭლად ქალს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და უფებების თრევით ბუჩქებში გადაეშვა.

— პირველი მე გამოვჩნდები, მიცნობს — თქვა ენვერმა.

— არა, აქედან დაუძახე. — გააფრთხილა ემრულამ.



— ბურანი! — დაიძახა მახაჭაძემ — მე ენვერი ვარ, ბიჭო!

მიწველი ხანჭალი ჭერ კიდევ ხელში ეჭირა ირემამეს. მისივე გათხრილ ჩახტა, დამბაჩა იძრო და ბუჩქებს მიუღერა.

— თუ ენვერი ხარ, ბუჩქებში რას იმალები! — იყვირა მან.

— ენვერი ვარ! — გაუმეორა მახაჭაძემ, — ამხანაგი მახლავს, შენთან საქმე გვაქვს.

— ვინ გახლავს? — იკითხა ირემამემ.

ენვერი ემრულას მიუბრუნდა, გავამხილო თუ არა, შენ რომ მახლავხარო? ემრულა თვალებით დაეთანხმა.

— ემრულია მახლავს, მალაყმაძე, ქიბარას ბიჭი.

ბურანი ერთხანს დუმდა.

— ქიბარა მალაყმაძის ბიჭთან მე საქმე არ მაქვს! შენ თუ გინდა რამე, გამოდი, თუ არა და ორივე მოსულ გზას გაუყევით! — გადაწყვეტით მიახალა ბურანმა.

ენვერი კვლავ ემრულას შესცქერის. ემრულა გაბრაზებას მალავს და ანიშნებს, გადადიო.

— კარგი, ბურანი, მე მოვდივარ.

— ემრულა იმ ცაცხვთან გავიდექი — ვერ ენდო ირემამე და ხეზე ანიშნა, რომელიც კარგად ხელავდა და პატარა ტიალი ადგილით ყოფდა ადგილსამყოფელს.

ემრულა ბუჩქებიდან წამოიმართა, იარაღი შეისწორა, ცაცხვთან მივიდა და ზურგით მიეფრებო. ენვერმა ბუჩქები გასწი-გამოსწია. ბურანი ჭერ კიდევ ორმოში იყო და ცალ თვალს ემრულას ადევნებდა. შემდეგ ხანჭალი ქარქაშში ჩააგო. დამბაჩაც წიქლში გაიბრჭო. ორმოდან ამოიმართა და შორიახლოდან ახედ-დახედა მოსულს.

ენვერი ჭერ მას მიესალმა, შემდეგ გაკვირვებისაგან ლანდალქუეულ დედასთან მივიდა, რომელსაც ლეჩაქით სახე დაეფარა, წამომდგარიყო და წასვლას აპირებდა.

— ურცხო არ ვართ, დედი. — უთხრა და მოეხვია.

ქალი სახლში გაუშვეს, თვითონ იქვე ჩამოსხდნენ და ერთხანს საუბრობდნენ. ენვერმა აუხსნა ყველაფერი. მალე ბურანი ცაცხვთან მივიდა, ჩამოჯდა. დიდხანს ისხდნენ ცაცხვის ძირას.

— ამ ოხერის ძებნაში ბევრ სხვა გადაკარგულსაც გადავეყარე.—წამოიწყო ირემამემ.

— თითო საძებარი და ანგარიშსასწორებელი ყველას გვყავს, — თქვა ენვერმა.

— თურანბეგიც გამოჩენილა დანდალოში. — გაავრძელა ბურანმა და ემრულას შეხედა.

— დანდალოში? — იქ არ ველოდი. — გაიკვირვა მალაყმაძემ, — მე სულ სხვაგან ვეძებდი.

— თურქეთში მაგათი ძებნა ამ ბოლო დროს გაუძლიერებიათ, ამიტომ გურჯისტანში აპირებს გადაკარგვას.

— გურჯისტანში?... ამალამევე უნდა ჩავიდე დანდალოში. — თქვა ემრულამ.

— ერთად წავიდეთ, — ურჩია ენვერმა.

— არა! — თურან-ბეგთან მე მარტო წავალ. თქვენ ჭვანაში დამიცადეთ. მეც ამაღამ სახლში დავრჩები, დედასთან.

— სწორია, — დაეთანხმა ენვერი, — მისი მიტოვება არ შეიძლება.

— მალე ჩამოვალ, ჩემი ცხენი წაიყვანეთ, მე სხვას ვნახავ. — თქვა ბურანმა.

ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. ბურანი სახლის გზას აუყვა, ბიჭებმა ცხენი ახსნეს და ტყისაკენ გაემართნენ, სადაც მეორე ბედაური ელოდათ.

— გაიგე, ვინ ჰყავდა ტყვედ ირემამეს? — შეეკითხა თანამგზავრს ენვერი, როცა ცხენებზე შესხდნენ და ნელი ჩორით გასწიეს.

— ვერა, ვერ გავიგე და არც ის ვიცი, რაზე ექცეოდა ასე სასტიკად. — თქვა ემრულამ.

— ირემამეები ოთხი ძმა არიან. ბურანი მესამეა. უფროს ძმას ბავშვობიდანვე რაღაც

ავადმყოფობა შეყრია და დაუჩიავებია. ქალი ისე მოუყვანეს, ერთმანეთს არ იცნობდნენ. როცა გაიგო, ავადმყოფი ქმარი მყავსო, ქალმა გაქცევა დააპირა, მაგრამ მაშინვე დაუშალეს — სირცხვილის შეეშინდათ. ქალი სახლში დარჩა.. დარჩა და მეორე დღეს სო ძმამ ცოლად შერთვა გადაწყვიტა, შარიათი იძლევა ამის ნებასო, მაგრამ ბურანი დემუქრა, ამ საქმეს არ დაგანებებ, ამ ბოროტ განზრახვაზე ხელი აიღეო, მაგრამ ის თურმე არ იშლის. ბურანი სიკვდილით დამუქრებია, იმასაც შეშინებია და ერთხანს ტყეში გაქცეულა, ბურანი გამოდევნებია, ბევრი უძებნია, შეუპყრია და მოუყვანია. აი, ის იყო სწორედ ხეზე გაკრული.

— ასე თუა, არც აცოცხლებს. — თქვა ემრულამ.

— სწორიც იქნება, — კვერი დაუკრა ენვერმა.

ცოტა რომ დაგვიანებოდა დედამისს, ცოცხლად ჩამარხავდა.

— დედა ყველას უყვარს, მაგრამ შვილისაგან დედის პატივისცემა, როგორც ჩვენთან იციან არსად მინახავს. — თქვა ემრულამ, — რამდენმა შვილმა საყვარელი ცოლიც კი მიატოვა იმ მიზეზით, რომ დედას ვერ შეეთვისა და მისი ავად მახსენებელი იყო.

\* \* \*

უკუნეთი ღამეა. განმარტოებული სახლის პატარა სარკმლიდან სინათლე გაშორების სახლს თოვლომარტებული ადამიანის ღანდი მიუახლოვდება და სარკმელში ცალი თვალთ შეიხედავს. ჭრაქით განათებულ ოთახში დიდ ტაშტში შიშველი მამაკაცი წის და თავზე საპონს ისვამს, ქალი წყალს ახჩამს.

— ხამი თვეა სახლში არ მოსულხარ, თურან. რას ჭამ, სად გძინავს?

— ყაჩაღობა და თბილი ღოგინი ვის უთქვამს, ქალო. მტერი ცალკე მეტებს და თავრობა ცალკე. გურჯისტანში თუ გადავედი, რუხის თავრობაც დამიწყებს ძებნას.

— ხომ შეიძლებოდა მშვიდად გვეცხოვრა? — მორიდებით ეკითხება ქალი.

— მშვიდად ცხოვრება, აბა რაა, შენს სურვილს რომ ვერ აისრულებ. თუ ამ სურვილს წინ ვინმე გადაეღობა, უნდა ჩამოიშორო. ზოდა, მეც ასე მოვიქციე. ტპილმა სიტყვამ არ გაჭრა, არ დაგვანება ქალი. თავი სად გამოძეო შერცხვენილს, ან ის უნდა ყოფილიყო ან მე. შემომავდა მამაცხოვებული.

მოსაუბრენი ვერ ხედავენ თოფის ღუფას, რომელსაც თურანბეგს უმიზნებდნენ.

— ქალს ის უყვარდა და შენ მაინც შენსას არ იშლიდი. — ნახევრად ჩურჩულით ჩაილაპარაკა ქალმა.

თურანმა სახეზე საპონი მოიშორა და ქალს მწყურალად ახედა.

— მე სახლში იმიტომ მოვედი, რომ შენი საყვედურები ვისმინო? — ხმამაღლა მოუვიდა ნათქვამი თურანბეგს. — შენ ჩემი ცოლი ხარ, თუ მალაყმადის დამცველი! — იყვირა მან.

— რა გაყვირებს ამდენი მტრების პატრონს, არ გეშინია გაგიგონ, სახლში რომ ხარ? თურანბეგი გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩაილაპარაკა:

— არა, არ მეშინია.

— მოგკლავენ, კაცო სახლში, მოგკლავენ ჩემს თვალწინ, აი, ისე, ქამილ ეფენდი რომ მოკლეს მტრებმა ცოლისა და ერთი წლის შვილის თვალწინ.

— სიკვდილის არ მეშინია, მით უმეტეს ახლა.

— რატომ ახლა?

თურან-ბეგმა სახე შეიმშრალა. ჭერ ცოლს ახედა, შემდეგ იატაკს ჩააშტერდა და თქვა:

— მე ისეთი მუხთალი მტერი არ მყავს, რომ შენველს, უიარაღოს ყურღუში მესროლოს. ჩემი მოკვლა ძმებმა ემრულას დაავალეს. ის სულ სხვანაირი ბიჭია. შეიარაღ-



დებულს რომ შემხვდება, ერთ-ორს შემომიძახებს, მაიძულებს პირისპირ შევხედო და შემდეგ მესვრის, ზურგიდანაც კი არ იკადრებს სროლას.

კედელზე გარედან რაღაც ბრახუნი გაისმა. ცოლი შეერთა.

— გარეთ ვიდაცა არის! — თქვა შეშინებულმა.

ქმარიც სმენად იქცა. დიდხანს იყენენ სულგანაბულნი, მაგრამ ხმაური აღარ განმეორებულა.

— ალბათ, მოგეჩვენა — უთხრა ქმარმა. წამოდგა, ნიფხავ-პერანგი გადაიცვა, ყოველ შემთხვევისათვის, ბალიშქვეშ დაშაჩა შემოიღო და ლოგინში ჩაწვა.

— არა, ხმაური ნამდვილად იყო, არ მომჩვენებია. — თქვა ცოლმა და ისიც დაწვა, მაგრამ თვალი არ მოუხუჭავს, სულ რაღაც ხმა ესმოდა.

ალიონზე, ხანამ თურანბეგი საუზმეს შეექცეოდა, ცოლი გარეთ გავიდა და სახლის ის მხარე მიმოათვალიერა, საიდანაც ხმაური გაივინა. სარკმლის ქვემოთ ბალახები გათელილი იყო. ქალი სარკმელს მიუახლოვდა, შემდეგ ელდანაკრავავით უკან გამობრუნდა და სახლში შევარდა.

— თურანბეგ, გამოდი გარეთ! — აღელვებულმა უთხრა ქმარს.

— რა მოხდა, ქალო! — წამოვარდა კაცი და ანაზღად დამბაჩას წამოაელო ხელი.

— გამოდი, აი, აქ ნახე რა არის? — უთხრა ქალმა და სარკმელთან მიიყვანა.

სარკმლის გარეთა რაფაზე „მაჭახელას“ გაუხსროლელი ვაზნა იღო.

თურანბეგმა იგი აიღო, ერთხანს ხელში ატრიალა, შემდეგ ბალახებს დააშტერდა, ტყვია ჭიბეში ჩაიღო და ჩაილაპარაკა:

— ემართლას თოფისაა, მხოლოდ მაჭახელაში ვარდება. — შემდეგ ცოლს მიუბრუნდა, — აკი გითხარი, ნამუსიანი მტერი მყავს-მეთქი.

ტანზე სახწრაფოდ გადაიცვა, ბოსლიდან ცხენი გამოიყვანა, უნავირი დაადგა, შეჭდა, ეზოდან გავიდა და თვალს მიეფარა.

საზღვრამდე სამი საათის გზა იყო.

„სახლში ვადავრჩი, მარა გზის პირას იქნება“, — ფიქრობდა თურანბეგი. — „სად გამათავებენ, ვინ იცის. რამდენ ხანს უნდა ვიმალო... აქ ნაღდი სიკვდილი მელის, ჭობს, გვბარგდე, რუსს ჩავებარდე, ჩავებარდე“...

მდინარის წყალზე თოხნარით გადაატარა ცხენი და შარავნიდან გადაუხვია, ტყეში შერგო თავი. ერთხანს ცხენი ვერ მიხვდა მხედრის სურვილს, მაგრამ შემდეგ მიენდო და ბილიკს მიყვა.

ტყის სიჩუმეს მხოლოდ დელის შხუილი არღვედა. „ჩავებარდე“ — უწიოდა ყურებში გაქცეულს. იგი ჩამოქვეითდა, ცხენს ახლოდან დაუჭირა აღვირი და წინ გაუძღვა, მოკლე და მოულოდნელი გზით იყო საჭირო საზღვრამდე გაღწევა.

სათნახევრის შემდეგ მთის გადასახველს მოექცა ზურგზე. მთასო, ვამბობთ, თორემ ისეთი ლამაზი ვაკე გამოჩნდა, სადმე მთა თუ არსებობს, აღარც დაიჭერებ. ჭვარის მინდორს ეძახიან. აქედან ნახევარი საათიც და სურების ტყე დაიწყება. იქ თურქი ვეღარ მონახავს.

მეორე დღეს ოზურგეთში უჩახტის ნაჩაღნიტან მიიყვანეს გურიის მოხალისე დრუჟინის რაზმელებმა. არ გაუშართლა თურანბეგს. უფროსმა მოუსმინა, მაგრამ ახლოშია მოახლოებულიო, დაზავებაზე მოლაპარაკებას იწყებენო და შენს გამო ოსმალებს ვერ გადავიცილებთო, უთხრა.

— რას მიპირებთ? — იკითხა იმედგატეხილმა ხიზანმა.

— უკან უნდა დაგებრუნოთ, — მოკლედ მოუჭრა ნაჩაღნიკმა და სალდათს უბრძანა, საკანში გაეყვანათ.

— ბადრაგი მზად არის? — იკითხა უფროსმა.

— დიად, თქვენო აღმატებულებავ, ექვსი ცენოსანი მილიციელი გააცილებს პატომარს ბათუმამდე. — უპასუხა ზედამხედველმა.

— რაო? — იყვირა ციხის უფროსმა. — მილიციელი? თქვენ ჭკუაზე ხართ, პოდპორუჩიკო? მილიციელები არ იციან, ვინ არიან? — არამზადები. ავაჯაკი გინდა ანლო თვით ნაფაზაკარებს? ახლავე დაშალე ბადრაგი, შეკრიბე პლასტუნები და ჩააბარე პატომარი!

— არის, თქვენო აღმატებულებავ!

რკინის ალაყაფის კარები გაიღო, ჭერ სამი პლასტუნი გამოვიდა, შემდეგ ხელებშეკრული თურანბეგი, უკან მას სამი პლასტუნი გამოყვა. ყველანი ცხენებზე ისხდნენ. ისინი შარაგზაზე გავიდნენ და ნელი სვლით გასწიეს.

თითქმის ოთხი საათი გავიდა, რაც ოსურგეთიდან გამოვიდნენ. ჭერ არ შეუხვენიათ. ცხენებს დაღლა დაეტყოთ. ოფლისაგან სულ დასველდნენ, ქაფი ხდით.

— არ შევისვენოთ, ბატონო პორუჩიკო? — ჰკითხა ერთმა პლასტუნმა ბადრაგის უფროსს, ტარასს.

— შევისვენოთ! — უპასუხა მან და ირგვლივ არემარე შეათვალიერა.

— სად?

— თუნდაც აქვე, — თქვა ტარასმა და ცხენიდან ჩამოხტა.

ყველანი ჩამოქვეითდნენ. თურანბეგს ხელი შეაშველეს და მასთან ერთად გზის გაღმა მოღზე დასხდნენ, ცხენებს ლავამი გამოაცალეს და მოღზე მიუშვეს.

ოცდაათიოდე საუენის სიგრძე-სიგანეზე ლამაზი მინდორი იყო გაშლილი, რომელსაც შუაში შარაგზა ჩაუდიოდა. მინდორს ირგვლივ ტყე აკრავდა.

— კუზმა! — გაძახა ერთ პლასტუნს ტარასმა, — შენ გვიყარაულებ!

კუზმამ თოფს წამოავლო ხელი, ორმოციოდე ნაბიჯი გაიარა, ტყისკენ შებრუნდა და ჩამოჯდა. ტყემდე ათიოდე ნაბიჯი დარჩა. მგზავრები ერთად დასხდნენ. ზოგმა მათარა მიიყუდა, სხვებმა პურის, ყველის და ხანვის ნაჭრები ამოლაგეს და ქალაღლე დააწყვეს.

თურანბეგმა წყალი იხსოვა. პლასტუნმა მათარა პირთან მიუტანა და აუპირქვევა. პატომარი წყალს დაეწაფა, მაგრამ ბევრი მოუვიდა და ისეთი ხველა აუტყდა, რომ კუზმა შემოტრიალდა და ერთხანს გაშტერებული უყურებდა.

თითქმის მიწიდან ამოძვრაო, ტყიდან შეიარაღებული კაცი გამოვარდა, კუზმას თავპირზე ყაბალახი ამოსდო, პირთან ხელიც შეაშველა და ტყისაკენ გაათრია. პლასტუნმა ყვირილი დააპირა, მაგრამ არ გამოუვიდა, რაღაც ხავილი აღმოხდა.

— პლასტუნებო! — გაისმა ტყიდან. ყველანი კუზმასაკენ მობრუნდნენ, მაგრამ იქ მხოლოდ შაშხანა ეგდო, თვითონ აღარ ჩანდა. საღდაც გამქრალიყო, — თქვენ ვარშემო-რტყეული ხართ! დატოვეთ პატომარი, შეგქვით ცხენებზე და მოსული გზით უკან გაბრუნდით. თუ ასე არ მოიქცევით, ცეცხლს გავსხნით და ტყვე პლასტუნის სიცოცხლესაც საფრთხეში ჩააგდებთ.

პლასტუნებმა ჭერ ერთმანეთს შეხედეს, შემდეგ პატომარს და მიწაზე გაერთხნენ, თოფები მოიმარჯვეს და ტყის იმ მხარეს დაუმიზნეს, საღდაც კუზმა იჯდა.

— პატომარს ვერ მოგცემთ, თუ პლასტუნს რაიმე მოუვა, სახარხოხელა არ აცდებიათ. დაანებეთ უაზრო თამაშს თავი და გაგვეცალეთ! — დემუქრა ტარასი.

— დატოვეთ პატომარი! — კვლავ გაისმა ტყიდან ხმა.

— ცეცხლი! — იყვირა ტარასმა და ხუთი თოფი ერთდროულად გავარდა.

ტყიდან სროლით არ უპასუხიათ. პლასტუნებმა ერთმანეთს გადახედეს და თვალებით ანიშნეს, მუქარამ გასჭრაო.

— თქვენ ალყაშემორტყმულები ხართ! — ახლა ტყის მეორე მხრიდან გაისმა ბორბანი,  
— დაგვენბდით, თორემ ცოცხალი ვერ გახვალთ!

მუქარას რამდენიმეჯერ სროლის ხმაც მოყვა.

ჩარისკაცები შეცბნენ, კვლავ ერთმანეთს გაუსწორეს თვალი.

— ჩავცივდივით, — ხმადააღა თქვა ტარასმა, — ჩვენი პოზიცია ძალზე სუსტია. წინააღმდეგობას აჭრი არა აქვს. უნდა დავტოვოთ პატიმარი, — და თურანბეგს გახედო. იგი მთელი ამ ხნის მანძილზე გაუნძრევლად იჯდა; სახეზე ემჩნეოდა, როგორ დაძაბულად ადევნებდა თვალს მოვლენების მოსალოდნელ გართულებას.

— მოფიქრებისათვის გაძლევთ სამ წუთს! — კვლავ გაისმა კუზმას მხრიდან.

სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ცხენებმაც იგრძნეს საშიშროება, ბალახს თავი ანებეს და ტყისაკენ იცქირებოდნენ.

ტარასი უხმოდ წამოდგა, თოფი მხარზე გადაიკიდა, ზურგჩანთას ხელი წამოავლო და გაბზარული ხმით დაიძახა:

— ადვილი!

პლასტუნებმა მეთაურს მიბაძეს, ყველანი ცხენებთან მივიდნენ.

— გამოუშვით პლასტუნი! — დაიძახა ტარასმა.

ტყიდან ჭერ კუზმა გამოჩნდა, რომელსაც უკან თოფმომარჯვებული კაცი მოუყვებოდა. იხინი ტყის პირას გაჩერდნენ.

— შეხსენით ხელები პატიმარს და ჩვენსკენ გამოუშვით! — დაიძახა უცნობმა.

ერთი პლასტუნი თურანბეგთან მივიდა, ბორკილები შეხსნა და უკან გაბრუნდა. პატიმარი წამოხტა და გაიქცა, ვხად კუზმას თოფს წამოავლო ხელი, მხარზე გადაიკიდა და მშველელთან ერთად ტყეში შევარდა. თავჩაღუნული კუზმა ჯგუფს მიუახლოვდა და თავის ცხენთან გაჩერდა. ტარასმა ზიზლით შეათვალიერა, შემდეგ ყველანი უხმოდ ცხენებზე შეხსდნენ და უკან გაბრუნდნენ.

(გაგრძელება იმნება)



### თავისუფლება

სკოლის რვეულზე  
მერხსა და ხეებზე  
ქვიშასა და თოვლზე  
    შენს სახელს ვწერ  
წაკითხულ გვერდებზე  
ცარიელ ფურცლებზე  
ქვასა და ფერფლზე  
    შენს სახელს ვწერ  
ოქროს სახეებზე  
საომარ მახვილზე  
მეფეთა გვირგვინზე  
    შენს სახელს ვწერ  
ბალახზე ჯუნგლებზე  
ანდა უდაბნოზე  
ბავშვობის ექოზე  
    შენს სახელს ვწერ  
ღამის სასწაულზე  
ხოლო ღღის თეთრ პურზე  
ზამთარ-გაზაფხულზე  
    შენს სახელს ვწერ  
ლაჟვარდის ნაგლეჯზე  
ობიან მზეზე  
ტბასა და მთვარეზე  
    შენს სახელს ვწერ  
ველსა და ტატნობზე  
ჩიტების ფრთებზე  
აჩრდილთა წისქვილზე  
    შენს სახელს ვწერ

ცისკრის ქარებზე  
ზღვასა და ხომალდზე  
შეშლილ მთაზე  
    შენს სახელს ვწერ  
ღრუბელთა ქაფზე  
აედრის ოფლზე  
ულიმდამო წვიმაზე  
    შენს სახელს ვწერ  
ბრწყინვალე ფორმებზე  
ფერთა ზარებზე  
ფიზიკის კანონზე  
    შენს სახელს ვწერ  
ცოცხალ ბილიკზე  
გაშლილ შარაზე  
წამლეკ მოედნებზე  
    შენს სახელს ვწერ  
ლამპაზე რომ იწვის  
ლამპაზე რომ ქრება  
ერთიან სახლებზე  
    შენს სახელს ვწერ  
ვამლსა და სარკვეზე  
ჩემს სარეცელზე —  
ცარიელ ნაჭუჭზე  
    შენს სახელს ვწერ  
მსუნაგ ძაღლზე  
მის დაცქვეტილ ყურებზე  
მოუხეშავ თათზე  
    შენს სახელს ვწერ

კარების ზღურბლზე  
საოჯახო საგნებზე  
კურთხეულ ცეცხლზე  
შენს სახელს ვწერ  
ყველა სხეულზე  
შუბლზე მეგობრების  
გამოწვდილ ხელებზე  
შენს სახელს ვწერ  
საოცარ მინაზე  
მზრუნველ ბაგებზე  
სიჩუმის ზემოთ  
შენს სახელს ვწერ  
დანგრეულ სახლებზე  
დამსხვრეულ შუქურაზე  
ჭმუნვის კედლებზე

შენს სახელს ვწერ  
არყოფნასა და  
მარტოობაზე  
სიკვდილის კიბეზე  
შენს სახელს ვწერ  
მოქცეულ ძალაზე  
გამქრალ რისკზე  
ძველ იმედებზე  
შენს სახელს ვწერ  
ისევ და ისევ ვიწყებ ცხოვრებას  
ამ ერთი სიტყვის ძალაუფლებით  
დავბადებულვარ შენს შესაცნობად  
შენს სახელდებად  
თავისუფლებავე

ფრანგულიდან თარგმნა

**ლევან პერიკენიშვილია**



შალვა დადიანი

## თ ე თ რ ი ბ ე ნ ი ა

(კაკუასუბის ლეგენდა)

შალვა დადიანის ეს ლეგენდა ფართო მკითხველისათვის უცნობია. მწერალმა იგი წაიკითხა 1955 წელს ბათუმის პიონერთა პარკში მოსწავლეებთან შეხვედრისას.

სელნაწერი მოგვაწოდა პარკის დირექტორმა რევაზ ბოლქვაძემ.

ოდესღაც ცხოვრობდა კაპუასების ქვეყანაში ხალხის ერთი წინამძღოლი.

მას ხორცის შეჭრა მოუნდა და ამისათვის ფრინველების დასაჭერად ხეზე ბადე გაჰკიდა.

ოდესაც მოვიდა იმის სანახავად, — ბადეში მჩხვდა რამე თუ არაო და ნახა, რომ ბადეში აღამიანის ცხვავსი — თეთრი ხორცი გახვეულიყო, ამის შეეშინდა, რადგან იცნო, რომ ეს გენია იყო.

„განმათავისუფლო“, — ვედრებით მიმართა წინამძღოლს „თეთრმა ხორცმა“.

„შეშინიანო“ — უპასუხა წინამძღოლმა. მან კი ისევ ისე აღერსიანი ვედრებით მიმართა; „განმათავისუფლე, არაფერ ცუდს არ გიზამ. დაგასაჩუქრებ კიდევცაო“.

წინამძღოლი შეცოცდა ხეზე და ძლივს წიხარო გენია ბუდის ხლართისაგან გაენთავისუფლებინა, რომ გენია სწრაფად შეახტა კისერზე წინამძღოლს, კარგად მოიკალათა მის ზურგზე და დაუყვირა: „მალე ჩამოდი ხიდან და შენს ქოხში წაიყვანეო“. „კარგო“, — უთხრა წინამძღოლმა, მხოლოდ კისერზე ნუ მაზიხარ, ჩამოდი და ერთად წავიდეთო“. გენიამ უარი თქვა და წინამძღოლიც ზურგზე ტვირთმოკიდებული წავიდა თავისი ქოხისაკენ.

ძვიდნენ ქოხთან. „ეს ვინ მოგიყვანიაო?“ — შეშინებული შეეკითხა დედა წინამძღოლს.

— ეს უთუოდ უცხოელი გენია უნდა იყოს. არ ვიცი, საიდან არის, ვინ არის, რა უნდა... დამაჯდა კისერზე და ვერ მომიშორებია.

— გვეოფა ლაყობა, — თითქო გაიგრგვინაო უცხოელმა, — აქ მოღვენი  
ყველაფერი, რაც კი მომარაგებული გაქვს, რაც გაბადია!

შემდეგ კი მოდგა და ჭამა და ჭანა, რაც რომ წინამძღოლს გაანჩნდა,  
თან არავის ნება არ მისცა, სუფრა გაეზიარებინათ. ამასთან, მადლობის მა-  
გერ, წინამძღოლს საშინელი შეურაცხყოფაც მიაყენა: თავზე დააფურთხა.

„ახლა კი თავი დამანებეო, — მიმართა წინამძღოლმა თავის შეკვიწ-  
რობებელს, — აგერ მარგალიტი, საწაჯურები, წაილე ყველაფერი ერთად,  
წადი იქით, საიდანაც მოხვედიო“. მაგრამ თხოვნა არ გაუვიდა. იძულებუ-  
ლი იყო მძიმე ტვირთის ქვეშ მოხრილიყო, ჩხოლოდ როცა დაღამდა, წინა-  
ძღოლი წავიდა დასაძინებლად, მაგრამ ტვირთს მაინც ვერ იშორებდა.  
ჩაინც და მაინც, როცა თეთრს დაეძინა, წინამძღოლი გაუსხლტა აბეზარ  
სტუმარს და მოინდომა თავის დახსნა. აიღო თავისი საუკეთესო იარაღი,  
საშკაულები და მიაშურა სხვა მეგობრული ტომის წინამძღოლს, რომ მის-  
თვის თავშესაფარი ჩიეცა.

ჩან უამბო მეზობელს, რა უბედურებაც დაატყდა თავს. მეზობელს შე-  
ებრალა, შეივრდომა და დაჰპირდა, რომ თეთრი გენისაგან დაიცავდა. მაგ-  
რამ ატყდა საშინელი ქარიშხალი, ცა ღრუბლებმა ჩიიცვა და სტუმართ-  
მოყვარე მასპინძელმა შევრდომილი დაითხოვა.

გაძეგებულმა ახლა სხვა ტონებს მიაშურა. მას ყველგან ღებულობდნენ,  
მაგრამ თეთრი გენია გამოჩნდებოდა თუ არა, აძეგებდნენ.


ამგვარად წინამძღოლი მიადგა კუნძულის საზღვარს და აქ ზღვის პი-  
რას დაინახა ორი ლანაზი ბიჭუნა. შესჩივლა მათ თავისი გაჭირვება, იმი-  
თაც შეებრალათ და უთხრეს, რომ მათთან ერთად ზღვის სიღრმეში ჩაშვე-  
ბულიყვნენ.

წინამძღოლი დაემორჩილა და ზღვის ფსკერზე მშვენიერი ქოხი აღმო-  
ჩნდა, სადაც ექვსი ქალიშვილი ჩზად იყო სტუმრის სამსახურად.

თეთრ გენიას მეტი დევნა აღარ შეეძლო, რადგან ცურვა არ იცოდა,  
მაშინ ის ავიდა კლდეზე და დაუწყო ძახილი ყველა ფრინველს და უბრძანა,  
რომ ზღვა დაეღიათ. ჩიტები დაემორჩილნენ, ქოხი გაიღო, გენიამ მიაშუ-  
რა, მაგრამ კარებში შეჰყო თავი თუ არა, ერთ-ერთმა ბიჭუნამ თავი მოჰკ-  
ვეთა.

\* \* \*

ამ ალეგორიას ახსნა-განმარტება არ სჭირდება, ყველაფერი ცხადია.  
თეთრი გენია მოტყუებით შევიდა ველურების საცხოვრებელში და აიძუ-  
ლა, რომ მოსაგერიებლად მათ სისხლი დაეღვარათ.



## ეპიგრაფი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა სრულ კრებულში, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა 1966-1975 წლებში, ეპიგრაფით შესულია 22 ნაწარმოები.

გალაკტიონი ეპიგრაფში ჩაქსოვილ აზრსა და ნაწარმოების იდეურ შინაარსს ისე აქსოვს ერთმანეთში, რომ პირველი თითქოს ანათებს მეორეს და უფრო შთაბეჭდავს ხდის.

გ. ტაბიძე დიდი გულისყურით არჩევს ეპიგრაფებს ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, ანდაჭებიდან, მოსწრებული, თქმებიდან, სასიმღერო-სატრფიალო ლირიკის ნიმუშებიდან, გამოჩენილ პირთა თხზულებებიდან, მაგრამ უმეტესად მიმართავს გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მხატვრული სიტყვის ოსტატთა გამოთქმებს, განსაკუთრებით კი შ. რუსთაველის, ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის მოსწრებულ თქმებს.

ერთადერთი შემთხვევაა, როცა გალაკტიონი ეპიგრაფად იყენებს თავისივე ლექსის სტრიქონებს. მხედველობაში გვაქვს „ძაუგიდან ბერლინამდე“. ამ ნაწარმოების ბეჭდურ გამოცემას ეპიგრაფი არა აქვს, როგორც ჩანს, შემდეგში პოეტმა იგი ამოიღო (იხ. თხზ., ტ. 10, გვ. 167).

ხელნაწერში კი ამ დაუმთავრებელ პოემას ჰქონდა უპიგრაფად გ. ტაბიძისეული ერთი სტროფი:

„იმ დღეებს ძეგლი უხდა აუგო,  
უნდა აღმართო წყებათა-წყება,  
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო,  
გამარჯვებათა ჩვენთან დაწყება“

(იხ. თხზ., ტ. 10, გვ. 400).

ეპიგრაფები სემანტიკური თვალსაზრისით სამ გჯუფად იყოფა: ადრესატული, რემარკული და საკუთრივ ეპიგრაფები; განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე გ. ტაბიძის პოეზიაში.

ი. გრიშაშვილი თავის საინტერესო წერილში „ჩემი მოგონება გალაკტიონზე“ (იხ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 151) შენიშნავს: „გალაკტიონმა მეორე ლექსი მიძღვნა, ერთი დაიბეჭდა გაზ. „თემში“ (1911, № 43) და მეორე უფრო „განათლებლაში“ (1911, № 10). მართლაც, გაზ. „თემში“ დაიბეჭდა გალაკტიონის პოემა „მწყემსი“, მიძღვნილი ი. გრიშაშვილისადმი (იხ. გ. ტაბიძე, თხზ., ტ. 8, გვ. 7); ხოლო ლექსი „შემოდგომა“, რომელიც პირველად უფრო „განათლებლაში“ დაისტამბა, შემდეგში შევიდა თხზულებათა მე-8 ტომში. მაგრამ აქ უბრალო მიძღვნასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ნათლად იგრძნობა ადრესატის ინტონაცია, წერის მანერა და, რაც მთავარია, გადმოცემის რიტმი; მაგ., ლექსში „შემოდგომა“ ნათლად ჩანს გრიშაშვილური თხრობის რიტმი და ინტონაცია: „ეპ, ვინ მოგვეცემს თავშესაფარს, ვინ გადაშლის უშუღლ კუკურს, მაგრამ, დემერთო, სიჭკვი რას ნიშნავს ეგ ღიმილი ღვაებბრივი?“ (თხზ., ტ. 1, გვ. 117).

რაც შეეხება პოემას „მწყემსი“, აქ კი შესავალში პირდაპირ არის საუბარი მიძღ-

ენის ობიექტზე, თანაც დაცულია ი. გრიშაშვილისეული რიტმი, ინტონაცია, წერის მა-  
ნერის სხვა კომპონენტები. აი, ერთი სტროფიც.

„პოეზიის წმინდა ცრემლი  
და ნაყოფი ფიქრთა მცირე,  
შენ მოგიძღვენ, მეგობარო,  
შეიწირე, შეიწირე!“ (თხზ., ტ. 8, გვ. 7).

შდრ. ი. გრიშაშვილის ლექსს „დამიბრუნდი! დამიბრუნდი!“ (ი. გრიშაშვილი, ტ. 11,  
1922, გვ. 81).

გარდა ამ ორი ნაწარმოებისა, ი. გრიშაშვილს გ. ტაბიძემ მიუძღვნა 1911 წ. დაწე-  
რილი ლექსები „მეგობარს“ და „გაზაფხულის დამე“.

„მეგობარს“ დაწერილია 1909 წელს. ლექსის ხელნაწერს ჰქონდა ეპიგრაფად-  
ი. გრიშაშვილს, რომელიც შემდეგ პოეტს წაუშლია.

„გაზაფხულის დამე“ დათარიღებულია 1910 წლით. აეტოგრაფში მასაც ჰქონდა ეპი-  
გრაფი, იგი შემდეგ გალაკტიონს ამოუღია.

ერთ უსათაურო ლექსს პოეტი უძღვნის ჩერნიავესკის. ლექსი იწყება ასე: „მე შენი  
წიგნი შემხვდა შემთხვევით“ (იხ. თხზ., ტ. 5, გვ. 246). ვინ უნდა იყოს ჩერნიავესკი? ამა-  
ზე გალაკტიონის თხზულებათა კომენტარებში ვერაფერს ვპოულობთ.

ლექსი დათარიღებულია 1945 წ. 23 მაისით. ადრესატი გახლავთ მიკოლა თედორეს-  
ძე ჩერნიავესკი (1867-1946), უკრაინელი საბჭოთა მწერალი.

როგორც ჩანს, გალაკტიონი კარგად იცნობდა მის შემოქმედებითს მემკვიდრეობასაც  
და მისი ცხოვრების ტრაგიკულ ისტორიასაც. ამიტომ არის, რომ პოეტი ნაღვლიანად  
წერს: „საშველი ქვეყნად არა ყოფილა, არარსებობად შთანქმულან რიგი — უკმაყო-  
ფილო და კმაყოფილი. რა დარჩა? ფერფლი, ცა და ეს წიგნი“.

ასევე უსათაუროა ერთი ლექსი (რომელსაც ეპიგრაფის ადგილას მიძღვნის ადრეს-  
ტი აქვს), დათარიღებული 1911-1912 წწ. იგი იწყება ასე: „რომ არ ვიცი, რა დავწერო.  
რომ არ ვიცი, რა ვიმღერო“ (თხზ., ტ. 1, გვ. 125). რომელსაც ფრჩხილებში აქვს საკუ-  
თარი სახელი რაისას. იგი გახლავთ რაისა რაფაელის ასული ჩიხლაძე (1891-1944) ლექ-  
სების: „ველთა შორის გამოისმა“, „ჰამლეტის ქნარით“, „ჩამავალი მზე“, „გაზაფხულდა“,  
„გმართებს ტირილი და ცრემლთა ფრქვევა“, „რომ არ ვიცი, რა დავწერო“ ადრესატი  
სწორედ რ. ჩიხლაძეა, როგორც ეს აღნიშნულია პოეტის თხზულებათა I ტომის კო-  
მენტარებში.

მაგ., ლექსის „გაზაფხულდა“ (თხზ., ტ. 1, გვ. 124) კიდურწერილობაში გარკვევით  
იკითხება „რაისა“.

მეტად საინტერესოა ინიციალებით წარმოდგენილი ეპიგრაფი ლექსისა „რა ვქნა?“,  
რომელიც დათარიღებულია 1912 წ. ივლისით. მას ეპიგრაფად უძღვის ასეთი შემოკლე-  
ბანი: „ძღვნად თავ.—ს ასულს ზ-ს“. ეს, ალბათ, ის ზუღლიმბაა, რომელიც აღნიშნულია  
ლექსში „შერიგება“ და იხსენიება გალაკტიონის მიერ მ. ბოჭორიშვილისადმი მიწერილ  
ბარათში 1912 წ. 21 ოქტომბერს (იხ. ჟურნ. „ციციაკი“, 1962, № 12).

1912 წ. დათარიღებულ ლექსს („უხილავი“) ეპიგრაფად ფრჩხილებში აქვს ასეთი  
რამ: აივაზოვსკის სურათის წინ. ამ ლექსს გაზ. „თემის“ მიერ გამართულ კონკურსზე  
აბაშელის ლექსის შემდეგ ყველაზე მეტი ხმა მიუღია (იხ. თხზ., ტ. 1, გვ. 403).

ძალიან ღირსეულია გალაკტიონის პოეზია ე. წ. რემარკული ეპიგრაფებით, ე. ი. ისე-  
თებით, რომლებიც იძლევა სხვადასხვაგვარ ცნობებს, შენიშვნებსა და განმარტებებს.  
მხატვრული ნაწარმოების შესახებ. ამგვარ ეპიგრაფებს შეუძლიათ ჩაგვახედონ პოეტის-  
ლაბორატორიაში, მიგვითითონ იმ კონკრეტულ მოვლენებზე, რომლებიც ნაწარმოების  
შეთხზვის ნაშვლი მიზეზი გამხდარა.

ერთადერთი, რაც ამის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა, არის „პოეზიის დღე“, რომელსაც ახლავს ასეთი ეპიგრაფი: „ლოზუნგი: ნამდვილი პოეზია ჩვენთვის უმძალესი თავისუფლებაა“ (თხზ., ტ. 12, გვ. 85). იგი უფრო განზოგადებული სახით თვით წერბრში, მეორდება: „ნამდვილი ხელოვნება ჩვენთვის უმძალესი თავისუფლებაა, ხელოვნებისათვის არ უნდა არსებობდეს არავითარი დამმონებელი ძალაუფლება, არავითარი ავტორიტეტი, არავითარი ანტიხელოვნური ძალა“.. (იქვე, გვ. 85-86).

ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპობრივი სახე მესამე სახის ეპიგრაფია, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში საკუთრივ ეპიგრაფის სახელითაა ცნობილი; ეს ისეთი გამოთქმაა, რომელიც დამოუკიდებლად არსებობდა ნაწარმოების შექმნამდე. იგი შეიძლება იყოს ანდაზა, ხატოვანი გამონათქვამი, აფორიზმი, შთამბეჭდავი ციტატა და მისი „დანიშნულებაა ყურადღება გაამახვილოს ნაწარმოების ან მისი ნაწილის დედაპირზე, ავტორისეულ წინაფიქრზე“ (იხ. ქსე, ტ. 165). საკუთრივ ეპიგრაფს უმეტეს შემთხვევაში ავტორისეული სემანტიკა აქვს, რაც განზოგადების შედეგადაა მიღებული. იგი უმეტესად სხარტულად გამოთქმული სიბრძნეა, რომელიც ხელს გვიწყობს ნაწარმოების იდეური შინაარსის გახსნაში.

გალაკტიონის პოეზიაში ყველაზე მეტი ეპიგრაფი შ. რუსთაველის პოემიდანაა აღებული. ასე, მაგ., ლექსს „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“ (თხზ., ტ. 4, გვ. 26) წამძღვარებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები: „ღამით მევლო, მოვდიოდი, ზღვისა პირსა აჩნდეს ბალი“. ეს არის ამოღებული პოემის თავიდან „ამბავი ნურადინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელს შეეყარა“. ეპიგრაფი ზუსტად ესადაგება პოეტის განწყობილებას, რომელსაც ოდნავ მელანქოლიაც კი გადაჰკრავს, მაგრამ საბოლოოდ მინც ოპტიმისტურია. პოეტი ამბობს, რომ იგი აიტანს მარტობას, უმეგობრობას, „ჩემი სამშობლოს სანახავიდან ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმესო“.

1944 წ. დაწერილ ლექსს „ზღვის სიმფონია“ ახლავს რუსთაველისეული სტრიქონები არასრულად: „ზღვისა შევე, მომეგება... ვითა ღელვა“ (თხზ., ტ. 5, გვ. 180), რომელიც ამოღებულია „ვეფხისტყაოსნის“ შემოაღნიშნული თავიდან. მთელი ტაევი კი ასე ეღერს: „ზღვისა შევე, მომეგება მეომარი ვითა ღელვა“. აქაც ლექსის მიზანდასახულობა ძალიან ესადაგება იმ განწყობილებას, რომელსაც განიცდის ნურადინ-ფრიდონი.

ცალკე უნდა შევიჩერდეთ გალაკტიონის ვრცელ ლექსზე „ობროცი წლის წინ“ (დაწერილია 1944 წ.). მას წინ უძღვის ეპიგრაფად შოთასეული სტრიქონები:

„კაცსა მიხვდეს საწაოელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა,  
მაშინ მივან აღარა ხამს გარდასულთა პირთა ხსოვნა“.

ეს სტრიქონები ამოღებულია „ვეფხისტყაოსნის“ თავიდან „ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასვლა“, ოღონდ პოემის 1956 წ. საიუბილეო გამოცემაში ოდნავ ცვლილებაა. „უნდა პოვნას“ ნაცვლად „მისი პოვნა“ იკითხება, ხოლო „გარდასულთა“ მაგივრად „გარდასრულთა“ არის ფიქსირებული. ამას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ ეპიგრაფი ლექსის შინაარსთან ორგანულ კავშირშია, მას ბუნებრივად ერწყმის, რაც გალაკტიონის მხატვრულ ოსტატობაზეც მიგვანიშნებს, პოეტმა ზუსტად შეარჩია ეპიგრაფი და მოხდენილად მიუსადაგა ლექსის შინაარსს.

გალაკტიონს ეპიგრაფი არასოდეს გაუხდია თვითმიზნად. პოეტი მას ანიჭებს მხატვრულ (უმთავრესად სტილისტურ) ფუნქციას. ყოველთვის შეესაბამება იგი ლექსის იდეურ შინაარსს, მხატვრულ დონეს. გალაკტიონისეული ეპიგრაფები არა ლექსების სამკაულდება, არამედ მათი აუცილებელი ელემენტები. გალაკტიონი ოსტატურად ახერხებს მოკლე და ლაკონიურ ეპიგრაფში თემის დედაპირის მიმზიდველად გადმოცემას.

„ვეფხისტყაოსნიდან“ გალაკტიონს გამოუყენებია კიდევ ერთი ეპიგრაფი. ეს არის 1934 წ. დაწერილ უსათაურო ლექსში „როგორც მენავემ ძველი სანავე“, რომელსაც ავტოგრაფში ახლდა სიტყვები „ვეფხისტყაოსნიდან“: „...სადაცა სადგურნი ნავთა სხე-

ნოდეს“. ეს ამოღებულია პოემის თავიდან: „ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბავის მბოზა“. ტაების სრული სახეა: „აჩინა კაცი, სადაცა სადგურნი ნავთა სწენდეს“ აქაც ზუსტ შესატყვისობაშია ეპიგრაფი ლექსის იდეურ მიზანდასახულობასთან.

პოეტის არქივში აღმოჩნდა ლექსი „დანგრეული ტაძარი“ (უთარიღო), რომელსაც ახლავს ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „ვპოვე ტაძარი“ შემდეგი სიტყვები: „ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვლავდ ტაძარი“. საგულისხმოა ის, რომ გალაკტიონისა და ნ. ბარათაშვილის ეს ორი ლექსი ერთმანეთს არა მარტო იდეურად ენათესავენ, არამედ ლექსიკურადაც; მაგ., ნ. ბარათაშვილი რამდენჯერმე იყენებს ლექსში ადგილის ძველ ზმნიზედას „მუნ“, გალაკტიონთან კი დასტურდება ამ ზმნიზედის გართულებული ფორმა ნაწილაკით — „მუნცა“ (იხ. თხზ., ტ. 7, გვ. 64).

ლექსს „აბესალომის ხსოვნას“ წინ უძღვის ეპიგრაფად ი. ჰავჭავაძის სტრიქონები: „უსულგულო ცხოვრება ცის ნიკი ნუ გგონია“. ხოლო 1916 წ. დაწერილ ლექსს „ვინ არის ეს ქალი“ ამკობს ოთხი გამოჩენილი მხატვრული სიტყვის ოსტატის ეპიგრაფები: ფრანგულ ენაზე. აი, ესენიც: „მოულოდნელი მომხიბვლელობა სამკაულისა — ვარდისფერისა და შავის“ (შ. ბოდლერი), „ცისფერი ქალწული ნაკადლის გრილ ნაპირზე“ (თ. გოტიე), „ჩამავალ მზეთა მელანქოლია“ (პ. ვერლენი), „...და ვარდები მეტად ტანმალაი“ (ა. რენიე). ეს ავტორები ფრანგი სიმბოლისტები იყვნენ. გალაკტიონი თავის შემოქმედების აღრინდელ პერიოდში გატაცებული იყო მათი წიგნებით. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ლექსს წამძვარებული აქვს სხვადასხვა ნაწარმოებიდან ამოღებული ოთხი სხვადასხვა ავტორის ციტატა. მან ჯერ კიდევ 1914-1915 წწ. დაიწყო მისი შესწავლა. თავისუფლად კითხულობდა ფრანგ ავტორებს დედანში, ფრანგულად ასათურებდა ლექსებს, ფრანგული სახელწოდებით ბეჭდავდა წიგნებს, იყენებდა ფრანგულ ეპიგრაფებსა და სხვ.

არის აგრეთვე ერთი ისეთი შემთხვევა, როცა ლექსს ეპიგრაფად უძღვის ორი სხვადასხვა ავტორის ორი გამონათქვამი — ვ. ი. ლენინისა და გოეთესი. „შენი ოცნება ასრულდა“ (იხ. თხზ., ტ. 10, გვ. 323), რომელიც წარმოდგენს პოემა „სინათლის ყვავილების“ დრამატულ ვარიანტს. აქ ეპიგრაფებად წარმოდგენილია: „...მიეუმართო ელექტრიფიკაცია“ (ლენინი) და „სინათლე, მეტი სინათლე“ (გოეთე). პირველი ვ. ი. ლენინის ცნობილი გამონათქვამია: „კომუნისმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 513). ეს არის ამოღებული ნაშრომიდან „ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1920 წელს.

მეორე ეპიგრაფი — „სინათლე, მეტი სინათლე“ არის, როგორც ცნობილია, გოეთეს სიკვდილის წინ წამოსარილი ფრაზა.

გ. ტაბიძეს ერთი ლექსის ავტოგრაფში ეპიგრაფად კვლავ გამოუყენებია გოეთეს გამონათქვამი. ამ ლექსს ჰქვია „გრძნობათა ფერფლი“, რომელსაც ეპიგრაფად ხელნაწერში ჰქონდა გოეთესეული ფრაზა: „ველნი ჰყვავიან, სულ დაწყნარდი“ (იხ. თხზ., ტ. I, გვ. 393). რატომ გადაშალა შემდეგში პოეტმა იგი? ამის გაგება სულ ადვილია. გალაკტიონს გოეთესეული სტრიქონი ეპიგრაფიდან ლექსის ძირითად ნაწილში ჩაუტანია. აი, ეს სტრიქონებიც:

„ველნი ჰყვავიან,  
გულ დაწყნარდი!  
ადრე თუ გვიან  
სიცოცხლის ვარდი  
ბედნიერებად გადაიშლება...  
დროც ხომ წინ მიდის,  
დროც ხომ იცვლება?!“ (ტ. I, გვ. 125).

1941 წლით არის დათარიღებული გალაკტიონის ვრცელი ლექსი „პარიზის კომუნა“, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის „ინტერნაციონალის“ ავტორის — ექვთიმე მტკვრის სტრიქონები: — „აჰა, მოეღო ხალხი ქუჩებს და ყველა მორის, პირველად მღერის გამარჯვება და პოეზია“. ექვთიმე პოტიეს (1816-1887) სახელი განუყრელადაა დაკავშირებული პარიზის კომუნასთან, რომლის შესახებაც მან მშვენიერი ლექსები შეთხზა, თანაც მონაწილეც გახლდათ ამ დიდი სახალხო მოძრაობისა.

გალაკტიონი თავის ლექსში ქება-დიდებას ასხამს კომუნარებს, რომლებმაც ადრიალეს გამარჯვების წითელი დროშა. ასე თავისუფლად არასოდეს უჭროლია პარიზის ნიავს, ასე ნათელი, ასე მზიანი დღე პარიზს მეორე არ უნახავს; კომუნამ იხსნა მამული, სადაც ახლა მარსელიოზა ზეიმობს. მიუხედავად ამისა, კომუნა მაინც დაეცა, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კომუნას მიესალმა მარქსი და მისი გზით მიდიოდა ლენინი, — დასძენს გალაკტიონი.

თუ დავკვირვებით წავეითხავთ გალაკტიონის „პარიზის კომუნას“, აუცილებლად ვიგრძნობთ სურნელებას სტრიქონებისას, რომლებიც პოეტმა ეპიგრაფად წაუძღვდარა თავის ლექსს.

გ. ტაბიძე ეპიგრაფებით პოეტურ სიტყვას აძლევს მაქსიმალურ ესთეტიკურ და იდეურ დატვირთვას, უფრო ღრმად გვახედებს მოვლენების სიღრმეში, სულის ხეყულებში.

გალაკტიონს აქვს დიდი სამაჟულო ომის პერიოდში დაწერილი შეიღებულნი ლექსი „სიცხადე“, რომელსაც ახლავს ეპიგრაფი: „და მე ისევ სიზმრად ვნახე ჩემი ხარკოვი“ (ნატალია ზაბელა). ვინ არის ნატალია ზაბელა? ამის შესახებ გალაკტიონის თხზულებათა მე-5 ტომის კომენტარში არაფერია ნათქვამი. საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ზაბელა ნადეჟდა ივანეს ასული (ქორწინების გვარი ვრუბელი, მხატვარ ვ. ვრუბელის მეუღლე) (1868-1913) რუსი მომღერალი (ლირიკულ-კოლორიტული სოპრანო). დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია, ვოკალურ ხელოვნებას სრულყოფდა პარიზში, შემდეგ მოღვაწეობდა კიევის, თბილისის, ხარკოვის საოპერო თეატრებში, პეტერბურგში, მოსკოვში; შექმნა ღრმა პოეტური სცენური სახეები; გამოდიოდა აგრეთვე როგორც საკონცერტო მომღერალი (ქსე, 4, 468).

„სიცხადე“ მთლიანად გაქვნილია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიდი გრძნობით. ამას ხელს უწყობს და უფრო ნათლად წარმოაჩენს მიგნებული ეპიგრაფიც. პოეტმა მოხდენილად, გამოიყენა ზაბელასეული სტრიქონები დაპირისპირების, კონტრასტის, ანტითეზის გამოსახატავად. გალაკტიონმა ერთმანეთს დაუპირისპირა სიზმარი:

„დღეს კი, სიზმრის მაგიერი.

მზეა, ცხადზე ცხადი;

ხარკოვის ცას მხარძლიერი

ანთებს განთიადი“ (თხზ., ტ. 5, გვ. 174).

ეპიგრაფი ამ ლექსში გამოყენებულია კონტრასტული ფონის შესაქმნელად. ვარდა ამისა, სათაურიც („სიცხადე“) ეპიგრაფის სემანტიკური კონტრასტია, რაც ლექსში რამდენჯერმე მეორდება; მაგ., „ცხადზე უცხადესის“, „ეს სიცხადე მწველი“, „ერთ სიცხადის გმირი“, „ეს სიცხადე დალაგებს“, „ამ სიცხადით მისწვდეს ლელოს“.

„პოეტი აზროვნებს სახეებით, იგი კი არ ამტკიცებს ქვეშაობობას, არამედ გვეჩვენებს მას“, — ერთ საუბუნეზე მეტი ხნის წინათ წერდა ბელისკი. მართლაც, „სახეებით აზროვნებისათვის“ გალაკტიონი ვირტუოზულად იყენებს ეპიგრაფებს, თანაც, როგორც დავკვირვება გვიჩვენებს, ამ პატარა შთამბეჭდავი გამონათქვამებითაც ამდიდრებს თავის ლექსიკონს, სიტყვათა მარაგს. „შეხედეთ, — ეუბნებოდა ჩეხოვი კუ-

რინს, — აი, თქვენ წერთ საუცხოოდ, მაგრამ ლექსიკონი ღარიბი გაქვთ. აუცილებელია შეავროვოთ სიტყვები და გამოთქმები“.

გალაქტიონისეული ებიგრაფები უბრალო ლექსიკური მასალა როდია, არამედ სხვა კომპონენტებთან ერთად აზრის მხატვრულად გადმოცემის ერთ-ერთი განუყოფელი საშუალებაცაა. პოეტი არასოდეს არ იმეორებს ერთსა და იმავე ებიგრაფს-თანაც არჩევს ისეთებს, რომლებიც ღრმა აზრითაა დატვირთული.

რაფიელ შამელაშვილი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## გაზეთი «ივერიის» ისტორიისათვის

(ა. სარაჯიშვილის საარძივო მასალებიდან)

გაზეთი „ივერია“ თავისი არსებობის ოცდამეოთხე წელს ითვლიდა, როცა ილიას დროებით რედაქტორად ალექსანდრე სარაჯიშვილი შეეცვალა.

ი. ჭავჭავაძე „ივერიას“ 1901 წლის 5 დეკემბრამდე რედაქტორობდა. 1901 წლის 5 დეკემბრიდან 1902 წლის 20 ივლისამდე „ივერიას“ ხელს აწერს ალ. სარაჯიშვილი, როგორც დროებითი რედაქტორი. 1902 წლის 20 ივლისიდან 1903 წლის 3 ივლისის ჩათვლით იგი „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელია.

1903 წლის 4 ივლისიდან ალ. სარაჯიშვილს გრ. ყიფშიძე ცვლის, როგორც დროებითი რედაქტორი, ხოლო ა. სარაჯიშვილი გამომცემლად რჩება 1905 წლის 17 თებერვლამდე. ამ დროიდან ვიდრე გაზეთის დახურვამდე, 1906 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით, „ივერიის“ დროებითი რედაქტორია ფილიპე გოგიჩაიშვილი, გამომცემელი კი ჰავლე თუმანიშვილი.

მთელი 5 წლის მანძილზე „ივერიის“ თანამშრომელთა შემადგენლობაც იცვლებოდა, მაგრამ გაზეთის მიმართულება იგივე რჩებოდა, არსებითი ხასიათის ცვლილება მის პროგრამაში არ შეიმჩნევა, რასაც ასაბუთებს ა. სარაჯიშვილის არქივში დაცული „ივერიის“ პროგრამა, მისივე ხელით დაწერილი, რომელიც არ განსხვავდება ილია ჭავჭავაძის მიერ 1876 წლის 18 ივნისს საცენსურო კომიტეტში წარდგენილი პროგრამისაგან.

1901 წლის 24 ოქტომბერს გაზეთ „ივერიის“ გამომცემელი აშხანაგობის სხდომაზე განიხილეს ა. სარაჯიშვილის წინადადება იმის შესახებ, რომ ი. ჭავჭავაძეს სამუდამოდ უნდა გადაეცა მისთვის „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემლის ფუნქციები. ამ წინადადების გასაფორმებლად ი. ჭავჭავაძემ თავის მხრივ აირჩია პ. უმიკაშვილი, ა. სარაჯიშვილი — ნ. ცხვედაძე. პ. უმიკაშვილი და ნ. ცხვედაძემ მოიწვიეს ვასილ ყიფიანი. სხდომაზე ილაპარაკეს ი. ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ილიამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული მწერლობის, საზოგადოებრივი აზროვნების და, საერთოდ, ქართველი ერის ცხოვრების განვითარებას. კომისიამ ყურადღება გაამახვილა გაზეთის ხელისმომწერთა რაოდენობაზე, რათა განესაზღვრათ გაზეთის ღირებულება. აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი

ხუთი წლის განმავლობაში გაზეთს ჰყავდა 1000-მდე ხელისმომწერი, რომელთაგან მიღებული თანხა წლიურად 10.000 მანეთს უდრიდა. ამიტომ ვინც მოისურვებდა გაზეთის შექმნას, მას ეს თანხა უნდა გადაეხადა. ცხადია, სარაჯივილს არ შეეძლო ამ დანადგარზე გაზეთის ყიდვა, ამიტომ სხდომის წევრებმა გადაწყვიტეს ა. სარაჯივილს ი. ჭავჭავაძისათვის 3000 მანეთი გადაეხადა, ხოლო 6 წლის მანძილზე, ყოველწლიურად ა. სარაჯივილს ილია ჭავჭავაძისათვის 500 მანეთი უნდა მიეცა. იმისდა მიუხედავად, იარსებებდა „ივერია“ თუ არა.

როგორც უკვე ვთქვით, 1901 წლის 5 დეკემბერს ა. სარაჯივილი გაზეთ „ივერიას“ ხელს აწერს, როგორც დროებითი რედაქტორი.

1902 წლის 6 აპრილს „ივერიის“ გამომცემელმა ამხანაგობამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ა. სარაჯივილი, ი. ჯაბადარი, გ. გაბაევი, გრ. ყიფშიძე, ს. ვანაძე, ა. მიქაბერიძე, კ. მესხი, ი. გოგებაშვილი, ვ. გრძელივეი, ნ. ლოდბერიძე, ი. გუნცაძე, რ. ამირეჯიბი, გრ. დიასამიძე და ყ. ჩიქოვანი. შეადგინეს ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებდა გამომცემელი ამხანაგობის მუშაობის გეგმებსა და პირობებს. ხელშეკრულების თანახმად, ა. სარაჯივილს უნდა დაეთმო „ამხანაგობისათვის“ გაზეთზე საკუთრების უფლება“.<sup>2</sup>

1902 წ. 10 ივლისს ბეჭდვითი სიტყვის მთავარსამმართველომ ი. ჭავჭავაძის შუამდგომლობის საფუძველზე, გაზეთ „ივერიის“ გამომცემლობა ა. სარაჯივილს გადასცა, ხოლო ამ უკანასკნელის თხოვნის თანახმად, იგი გაზეთის რედაქტორადაც დაინიშნა. ამრიგად, 1902 წლის 20 ივლისიდან ა. სარაჯივილი „ივერიის“ სრულუფლებიანი რედაქტორ-გამომცემელია.

საინტერესოა, რა ბედი ეწია იმ განცხადებას, რომელიც 1902 წლის 27 აპრილს „ივერიაში“ დაიბეჭდა და რომლის გამოც ა. სარაჯივილსა და „ივერიას“ გამომცემელ ამხანაგობას შორის უთანხმოება ჩამოვარდა?

„ივერიის“ რედაქციაში გაზეთის გამომცემლის, ა. სარაჯივილის სახელზე არაერთხელ მოვიდა მომართვა კავკასიის საცენზურო კომიტეტიდან. კომიტეტი მოითხოვდა: „1. ამოღებულ იქნას როგორც მიმდინარე, ასევე შემდგომ წლებში განცხადებებიდან ცნობა იმის შესახებ, რომ „ივერიის“ გამომცემლობა გადაეცა ამხანაგობას. 2. დაიბეჭდოს გაზეთში შესაფერი ახსნა-განმარტება განცხადებებში შეტანილ ამ ცვლილებასთან დაკავშირებით. 3. წარდგენილ იქნას კომიტეტში პირველი სახე განცხადებისა „ივერიის“ გამომცემის შესახებ“.<sup>3</sup>

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთი დოკუმენტიდან, რომელიც წარმოადგენს ა. სარაჯივილის ახსნა-განმარტებას საცენზურო კომიტეტის სახელზე, ირკვევა, რომ „ივერიის“ გამომცემელ ამხანაგობას გადაეცა მხოლოდ ნივთიერი (მატერიალური) უფლება, ხოლო გაზეთის რედაქტორ-გამომცემლის თანამდებობაზე კვლავ ა. სარაჯივილი დარჩა, რომელსაც ვეალებოდა გაზეთის იდეური ხელმძღვანელობა. დოკუმენტი დათარიღებულია 1902 წლის ნოემბრის თვით. მიუხედავად ამისა, დავა ა. სარაჯივილსა და „ივერიის“ გამომცემელ ამხანაგობას შორის არ შეწყვეტილა, ამხანაგობა იძულებულია მათ შორის ჩამოვარდნილი დავის მოსასპობად მიმართოს სამედიატორო სასამართლოს. თავის მხრივ ამხანაგობა ირჩევს მოსამართლეებად დავით ივანეს ძე უთნელი-შვილს და გიორგი ზურაბის ძე ჩაჩიბაიას. ამხანაგობის წევრი გ. გრძელიშვილი ოფიციალური წერილით მიმართავს ა. სარაჯივილს და ითხოვს პასუხს გაზეთ „ივერიის“ გამომცემელი ამხანაგობის მიერ წამოყენებული წინადადების შესახებ, საქმე სასამართლოს გადასცენ.<sup>4</sup>

ა. სარაჯივილი წინააღმდეგია დაინიშნოს სასამართლო იმ უთანხმოებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩამოვარდა მასსა და გაზეთ „ივერიის“ გამომცემელ ამხანაგობას შორის შექმნილი ვითარების გამო. ა. სარაჯივილი გადაწყვეტს გაზეთის გამოცემის უფლება ყ. ჩიქოვანს ან ი. ჯაბადარს გადასცენ,<sup>5</sup> მაგრამ სულ მალე, 1904 წლის 15

იანვარს, ა. სარაჯიშვილი გამოდის გაზეთ „ივერიის“ ამხანაგობის შემადგენლობიდან. ამვე წლის 14 ივლისს ბეჰდვითი სიტყვის მთავარი სამმართველოს კანცელარიის უფლებამოსილი ა. სარაჯიშვილს ნება არ დართო „ივერიის“ გამომცემლის უფლება ი. ჯაბაღარიასთვის გადაეცა, რაც ა. სარაჯიშვილმა „ივერიის“ ამხანაგობას აცნობა და მოითხოვდა აღნიშნულ თანამდებობაზე სხვა კანდიდატურა წამოეყენებინათ.

ა. სარაჯიშვილი ი. ჯაბაღარის ოფიციალური წერილით შეიტყობს, რომ „ივერიის“ გამომცემელმა ამხანაგობამ 1904 წლის 13 ნოემბერს დაადგინა „ივერიის“ გამომცემლ-რედაქტორად დაინიშნოს გ. ყიფშიძე, რის შესახებაც უნდა ეცნობოს ბეჰდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს. ასეთივე აზრია გატარებული „ივერუის“ გამომცემელი ამხანაგობის ოფიციალურ წერილში ა. სარაჯიშვილისადმი; რომელსაც ხელს აწერენ ი. ჯაბაღარი, გ. გაბაშვილი, გ. ყიფშიძე, გ. გრძელიშვილი.

ა. სარაჯიშვილი ამხანაგობას უკანვე გაუგზავნა ოფიციალური წერილი და მოითხოვა წარმოედგინათ სათანადო საბუთები გ. ყიფშიძის შესახებ, რომელზედაც ხელი უნდა მოეწერა ამხანაგობის ყველა წევრს, კერძოდ, ი. გოგებაშვილს, ს. ვანაძეს, კ. მესხს და ა. მიქაბერიძეს. მხოლოდ წესის დაცვის შემდეგ წარუდგენდა ა. სარაჯიშვილი ბეჰდვითი სიტყვის სამმართველოს გ. ყიფშიძის კანდიდატურას.

„ივერიის“ გამომცემელი ამხანაგობა კვლავ თხოვს ა. სარაჯიშვილს 6 თვის ვადით დაინიშნოს გ. ყიფშიძე „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემლად.

1904 წ. 2 დეკემბერს ა. სარაჯიშვილმა ოფიციალური წერილით აცნობა „ივერიის“ გამომცემელ ამხანაგობას, რომ კანონის საფუძველზე უარი ეთქვა მას გ. ყიფშიძის კანდიდატურაზე.

1904 წლის 14 დეკემბერს ი. ჯაბაღარმა დაიწყო ბრძოლა მიეღო „ივერიის“ გამომცემლობა 6 თვით, სარაჯიშვილი თითქოს გრძობდა ყოველივეს და სასწრაფოდ იმავე დღეს განცხადებით მიმართა „ივერიის“ გამომცემელ ამხანაგობას. განცხადებაში აღნიშნული იყო: „აქვს თუ არა სურვილი ამხანაგობას, გამოიცეს ეს გაზეთი 1905 წელს, მიჰყიდეს თუ არა გაზეთის უფლება სხვა პირს, და თუ გაზეთი გაყიდულია, ვინ არის ის პირი და რომელი აქტის საფუძველზე მიეცა მას გაზეთის გამოცემის უფლება. ა. სარაჯიშვილი არ ცნობდა ი. ჯაბაღარს გაზეთის მესაკუთრედ და ამტკიცებდა, რომ „ივერია“ ეკუთვნის გამომცემელ ამხანაგობას. „რადგანაც „ივერიის“ გამომცემელი ამხანაგობა ითვლება გაზეთის მფლობელად და განმკარგულებლად, ამიტომ ი. ჯაბაღარს არა აქვს უფლება წარუყენოს მას რაიმე მოთხოვნები გაზეთ „ივერიისთან“ დაკავშირებით.“<sup>7</sup>

ი. ჯაბაღარი მოითხოვდა ა. სარაჯიშვილისაგან, რათა მას დაუყოვნებლივ შეეტანა ოფიციალური განცხადება კავკასიის საცენზურო კომიტეტის სახელზე გაზ. „ივერიის“ გამოცემის შესახებ 1905 წელს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის გადასცემდა ა. სარაჯიშვილს სასამართლოს.

ა. სარაჯიშვილმა მოხერხებულად გამოიყენა „ივერიის“ ამხანაგობის 1902 წლის 6 აპრილის ხელშეკრულება და თბილისის ნოტარიუსის ლ. მღებრიშვილის სახელზე ასეთი შინაარსის ახსნა-განმარტება წარუდგინა: „ივ. ჯაბაღარს არავითარი უფლება არა აქვს გაზ. „ივერიაზე“. ეს გაზეთი ა. სარაჯიშვილმა 1902 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების თანახმად გაზეთის გამომცემელ ამხანაგობას დაუთმო. ივ. ჯაბაღარი 1903 წ. 8 დეკემბერს ფიქტიურად იქნა დანიშნული გაზეთის გამომცემლად იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა „ამხანაგობას“ არ მისცა ოფიციალური უფლება გაზეთის გამოცემაზე.“<sup>8</sup>

„ფრიალ ცვალებადი, უხანო და დღემოკლე რამ არის „ივერია“ ჩემს თვალში“ — ხშირად იტყოდა ხოლმე ა. სარაჯიშვილი, თუ ვინმე „ივერიის“ შესახებ შეეკითხებოდა. ერთხანს დახურვასაც უპირებდნენ გაზეთს, მაგრამ თ. მუხრანსკიმ და დ. სარაჯიშვილმა



აღუთქვეს ნივთიერი დახმარება. „ივერიის“ რედაქციამ. ამოისუნთქა, მაგრამ მუხბრანსკი გარდაიცვალა და გაზეთის არსებობა კვლავ სათუო გახდა.

დაღა 1905 წელი. თებერვალში „ივერიის“ ამხანაგობის წევრმა ნ. ცხვედაძემ ზუბალაშვილებს<sup>9</sup> ჩააგონა, „ივერია“ ილუპება, ამხანაგობას აღარ შეუძლია გაზეთის წაყვანა, დიდი ვალი აქვს და უშველეთ რამეო. ზუბალაშვილებს რვაასი თუმანი გადაუხდიათ იმ პირობით, რომ გაზეთის გამომცემლად მათი დეიდაშვილი პავლე თუმანიშვილი იქნებოდა. ასე რომ, ამხანაგობამ „მიყიდა“ გაზეთი პავლე თუმანიშვილს. თუმანიშვილმა რედაქტორად ფილიპე გოგიჩაიშვილი აირჩია.<sup>10</sup>

პავლე თუმანიშვილი და ფილიპე გოგიჩაიშვილი ვერ გამოდგნენ ფეხბედნიერნი „ივერიის“ რედაქციაში. XIX საუკუნის პროგრესულმა პერიოდულმა ორგანომ გაზეთმა „ივერია“ 1906 წლის 27 აგვისტოს არსებობა შეწყვიტა.

**ლიანა ფარაქაძე,**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი (1851-1914) — საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი.
2. საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალექსანდრე სარაჯიშვილის ფონდი, 12.
- 3 საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ა. სარაჯიშვილის ფონდი, ხელშეკრულება 6.
4. ა. სარაჯიშვილის ფონდი, 12, 14.
5. ა. სარაჯიშვილის ფონდი, 23.
6. ა. სარაჯიშვილის ფონდი, 32.
7. ა. სარაჯიშვილის ფონდი, 43.
8. ა. სარაჯიშვილის ფონდი, 47.
9. იგულისხმებიან ნავთის მრეწველის კონსტანტინე ზუბალაშვილის შვილები ლევანი, სტეფანე, პეტრე და იაკობი, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ.
10. იხ. ა. სარაჯიშვილის წერილი ილია ჭყონიასადმი „ქურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1971 წ. გვ. 414.



# ქართველი ხალხოსნები ბათუმში



რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში სასახელო ფურცლები ჩაწერეს XIX საუკუნის 70-იანი წლების ხალხოსნებმა, რომლებმაც მოგვეცეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის შესანიშნავი ნიმუშები. მათ საქმიანობას ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად, სავსებით სამართლიანად, მიიჩნევდა რევოლუციონერთა მთელ პლუადას, „ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას“ გმირებით დამთავრებული“.<sup>1</sup>

ბათუმში ქართველ ხალხოსანთა მოღვაწეობა, საერთოდ, ცნობილია მეცნიერულ ლიტერატურაში.<sup>2</sup> მაგრამ მასალების სიმცირის გამო ბევრი რამ მათი საქმიანობიდან ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. ეს წერილი მიზნად ისახავს სწორედ ზოგიერთი ასეთი საკითხის გარკვევას.

საქართველოში რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობა, როგორც ცნობილია, რუსეთის გავლენით წარმოიშვა. ამაში დიდი როლი შეასრულეს იმ ახალგაზრდებმა (ივანე ჯაბაძე, ისიდორე ქიქოძე, რომანოზ ფავლენიშვილი, ევგენე იოსელიანი და სხვ.), რომლებმაც უმადლესი განათლება რუსეთში მიიღეს. მათ იქ შეითვისეს ხალხოსნური იდეები, შეიძინეს დიდადი ლიტერატურა, დაუკავშირდნენ იქაურ ორგანიზაციებს და საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1873-1874 წლებში, რევოლუციური პროპაგანდა გააჩაღეს. 1875 წლისათვის ორგანიზაციაში დაახლოებით 200 წევრი ერთიანდებოდა. ხალხოსნური მოძრაობის ცენტრი დასავლეთ საქართველოში იყო ქუთაისი და განსაკუთრებით ოზურგეთი, სადაც აქტიურობდნენ ისიდორე და ათანასე ქიქოძეები, მედიტონ და ივანე ნაკაშიძეები, გიორგი გურიელი, გიგო შარაშიძე და სხვ.<sup>3</sup> ქართველი ხალხოსნები, რუსი თანამოძმეების მსგავსად, მიზნად ისახავდნენ რევოლუციური იდეების ქადაგებით მასების ვათვითცნობიერებას და ბრძოლისათვის მომზადებას, შემდეგ კი არსებული უსამართლო წყობილების დამხობას და მის ნაცვლად ისეთი ურთიერთობის დამყარებას, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანთა თავისუფლებას. სამწუხაროდ, მუშაობის გაშლა მათ არ დასცალდათ, რადგან პროვოკატორმა 1876 წელს ორგანიზაცია გასცა და მისი წევრები პოლიციამ დააპატიმრა.<sup>4</sup>

საქმის ძიებისას მოკვლეული მასალებიდან ჩანს, რომ ქართველი ხალხოსნების მოღვაწეობის სფერო ბათუმსაც მოიცავდა. ქალაქი მაშინ ჯერ კიდევ ეპყრათ ოსმალებს და ამიტომ მასზე არ ვრცელდებოდა რუსეთის სასაზღვრო-საბაჟო აქტალები. ცხადია, ასეთ პირობებში იგი იყო იდეალური ბაზა საზღვარგარეთიდან არალეგალური ლიტერატურისა და სხვა გზავნილების ტრანსპორტირებისათვის. ამ მიზნით ხალხოსნები ბათუმში დაუკავშირდნენ აქ მცხოვრებ „მკედლოვს, რომელსაც მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა“. სწორედ მასთან „ინახებოდა რევოლუციური წიგნები, რომელსაც აგზავნიდნენ კავკასიაში 1875 წელს დაარსებული რევოლუციური წრის წევრები“.<sup>5</sup>

ვინ იყო ეს მკედლოვი? კრებულში „რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი“ აღნიშნული გვარის გვერდით ფრჩხილებში მითითებულია მხოლოდ მკედლიძე: ვლ. სიჭინავას ვარაუდით კი იგი „ცნობილი ნაროდნიკი... ბოსლეველი — ესტატე მკედლიძეა“.<sup>6</sup> რას ეფუძნება ეს მოსაზრება, მისი ნაშრომიდან არ ჩანს. ავტორი კი წერს იხილეთ წიგნში თანდართული საბუთებიო, მაგრამ მათში მკედლოვ-მკედლიძისა და მითუმეტეს მკედლოვ-ესტატე მკედლიძის იოანტურობის შესახებ არაფერია ნათქვამი.<sup>7</sup>

ჩვენი აზრით მკვდლოვი ლუკა მკვდლიშვილია, რომელიც გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ბათუმში ცხოვრობდა. ის იყო დიდი პატრიოტი, ფრენკლანდელი და ნაიტიხი, მშობლიური ისტორიისა და ლიტერატურის კარგი მკვლევარი. იმ დროის კვალობაზე მას მართლაც ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც აქაური ქართველი მაჰმადიანებიც სარგებლობდნენ.<sup>8</sup> ხალხსნებს სწორედ ამ ლ. მკვდლიშვილთან უნდა ჰქონოდათ კავშირი. ამას განაპირობებდა მისი არა მარტო ბიბლიოთეკა, არამედ, რაც მთავარია, სარწმუნოებრივი კუთვნილება. ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანთაგან მხოლოდ კათოლიკებს ჰქონდათ შედარებით თავისუფალი ცხოვრებისა და ლეგალური საქმიანობის უფლება. ბათუმში მცხოვრებ ქართველთაგან კი სწორედ ლ. მკვდლიშვილი იყო კათოლიკე, რითაც დაუყოვნებლივ უნდა ესარგებლათ ხალხსნებს.

საგულისხმოა, რომ ბათუმის მეშვეობით საზღვარგარეთიდან ლიტერატურის საქართველოში შემოვიდოდა მეტად ინტენსიური ყოფილა. ამავე გზით უცდიდათ აგრეთვე სტამბის შემოტანაც. ჟანდარმერიის მასალებით ჩანს, რომ 1876 წლის 24-26 ივლისს ის. ქიქოძეს სოფ. ბახეში ჩაუტარებია საქართველოს ხალხსნური წრეების წარმომადგენელთა თათბირი, რომლის მიზანი იყო ლიტერატურისა და სტამბის მიღება და მათი საიდუმლო აღგილზე გადატანის უზრუნველყოფა. თათბირმა დაადგინა: 1. დაუყოვნებლივ გადმოეზიდათ ბათუმში მიღებული ლიტერატურა; 2. შეეკრიბათ საქირი თანხა შვეიცარიიდან საბეჭდი მანქანის ჩამოსატანად; 3. საზოგადოების ყველა წევრს დაუყოვნებლივ დაეწყო მიღებული ახალი წიგნების თარგმნა პროპაგანდისტული საქირიებისათვის.<sup>9</sup>

მასალებით არ ჩანს, მაშინ ვინ გამოგზავნეს აღნიშნული საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ანალოგიური მიზნებით აღრეც და შემდეგ რომ ის. ქიქოძე მოდიოდა ბათუმში, ეს ფაქტია. ჩანს იგი მთხერხებული „კონტრაბანდისტი“ იყო და შესანიშნავად ახერხებდა ქობულეთის კორდონისათვის გვერდის ავლით ძვირფასი ტვირთის გურიაში გადატანას. ასე იყო, მაგალითად, 1876 წლის 4 მაისს. მაშინ ცნობილი ხალხოსანი მიხეილ ყიფიანი ჩასულა სოფ. ბახეში, სადაც ის. ქიქოძე ცხოვრობდა. მას მასპინძელი ადგილზე არ დახვედრია, რადგან იგი წინა დღეს კორდონზე გავლით ბათუმს წასულიყო. მაშინ მან აქვე გამოგზავნა სანდრო საფაროვი, რომელსაც თან გამოატანა მისთვის გადასაცემად ევ. იოსელიანის წერილი და 80 მანეთი.<sup>10</sup>

ერთი თვის შემდეგ მიხ. ყიფიანი კვლავ ეწვია სოფ. ბახეს. ის. ქიქოძე არც ამჯერად დახვედრია ადგილზე, რადგან ამ დროს თურმე ქობულეთის მახლობელ სოფელში (სახლერიდან 7 ვერსზე) იმყოფებოდა. მიხ. ყიფიანს იგი აუცილებლად უნდა ენახა. ამიტომ იგნისს მელიტონ ნაკაშიძისა და „ერთი უცნობი პირის თანხლებით“ საიდუმლოდ გამოვლო კორდონი და მეორე დღეს „მოხუცი აჭარელის სახლში“ პირისპირ შეხვდა ის. ქიქოძეს. შათი საუბრის მიზანი იყო „შვეიცარიიდან გამოგზავნილი 1600 ცალი სხვადასხვა სახელწოდების წიგნისა“ და საბეჭდი მანქანის ბათუმიდან გურიაში ტრანსპორტირება.<sup>11</sup>

სხვათაშორის, დაპატიმრებული ხალხსნების საქმის ძიებისას, მოგვიანებით, ჟანდარმერიამ დაადგინა ბათუმში ამ 1.600 წიგნის მიღების ფაქტი. ამიტომ 1876 წლის 4 ნოემბერს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორმა ანდრეევმა მიმართა კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს უფროსს პ. კლუშინს თხოვნით: „უკიდურესად აუცილებელია მკვდლოვს ჩამოერთვას ეს წიგნები მისამართებთან ერთად, რომ დადგინდეს, ვის უნდა გაეგზავნოს ლიტერატურა“. პროკურორს აინტერესებდა „ამ პიროვნებისათვის გამოეკითხათ, რა იცის წიგნებზე, რუსეთში მათი გადმოგზავნის მიზნებზე, იმ პირებზე,

ვისი განკარგულებით და ანგარიშით იგზავნება ისინი“ და სხვ. მაშინ კავკასიის მეფის-  
ნაცვალმა უბრძანა რუსეთის ტრაპიზონელ კონსულს ლ. მკედლიშვილის, როგორც კონსულ-  
სეთის ქვეშევრდომის, ბინის გაჩხრეკა მისთვის აღნიშნული რევოლუციური ლიტერატურის  
ჩამორთმევის მიზნით. ბრძანება სისრულეში მოიყვანა ბათუმელმა ვიცე-კონსულმა  
გ. ჯულინმა, რის შესახებაც იმავე წლის 23 ნოემბერს მათ აცნობეს კავკასიის მეფის-  
ნაცვლის მთავარ სამმართველოს.<sup>12</sup>

რა თქმა უნდა, ბათუმი ხალხოსნებისათვის არ იყო მარტო სატრანზიტო პუნქტი.  
მათ შეეძლოთ მისი გამოყენება აგრეთვე ოსმალთა მიერ დაპყრობილ აპარაში ეროვნუ-  
ლი იდეების პროპაგანდისათვისაც. ამ მიზნით ხალხოსნებს უნდა ესარგებლათ 1875-1876  
წლების ქობულეთის დიდი მღელვარებითაც.<sup>13</sup> აგრესორების მიერ მიტაცებული ტერი-  
ტორიების გამოხსნისათვის ბრძოლა უცხო არ იყო ხალხოსნებისათვის და მოძრაობის  
გაფართოებაში მათ ამ კუთხის განთავისუფლებისა და მშობლიურ კერაზე დაბრუნების  
პერსპექტივებიც უნდა დაესახათ. ამიტომ ხალხოსნებს არა მარტო ტრანსპორტირების  
საქმე უნდა მოეგვარებინათ, არამედ ეზრუნათ ამბოხებასთან დაახლოებისათვისაც, იქნებ  
ამით აიხსნება მათი ერთ-ერთი თავკაცის ის. ქიქოძის ხშირი „სტუმრობა“ ქობულეთში  
1876 წლის ზაფხულში. სხვათაშორის, იმავე წლის შემოდგომიდან, ხალხოსნური ორგა-  
ნიზაციის დარბევის შემდეგ, იგი დიდხანს იმალებოდა ქობულეთში.<sup>14</sup>

საინტერესოა გაირკვეს, ქართველ ხალხოსნებს საზღვარგარეთ, კერძოდ, შვეიცარიაში  
ვისთან ჰქონდათ კავშირი, ვისგან უნდა მიეღოთ ბათუმში იქ შექმნილი ლიტერატურა თუ  
სტამბის მოწყობილობა. უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში შვეიცარია  
იყო რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვანი ცენტრი ევროპაში. აქ მოღვაწეობდნენ  
პირველი ინტერნაციონალის ყენევის სექცია, პარიზიდან დევნილი კომუნარები, აგრეთ-  
ვე რუსი პოლიტიკური ემიგრანტების რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც ხელმძღვანელობდ-  
ნენ სოფია ბარდინა, ვერა ფიგნერი, ნიკოლოზ უტინი და სხვ. აქვე იმყოფებოდნენ ქარ-  
თველი რევოლუციური ახალგაზრდებიც, რომლებიც შვეიცარიაში ჩავიდნენ უმაღლესი  
განათლების მისაღებად. ლტოლვა ამ ქვეყნისაკენ მაშინ არ იყო შემთხვევითი. ცარის-  
ტულ რუსეთთან შედარებით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შვეიცარია ყველასათვის  
იყო საოცნებო პოლიტიკური იდეალი. „ჩვენ ახალგაზრდულ ვატაცებას, — იგონებდა  
ცნობილი საზოგადო მოღვაწე ი. მანსვეტაშვილი, — საზღვარი არ ჰქონდა. შვეიცარია  
გვეხატებოდა ჩვენს წარმოდგენაში რაღაც აღთქმის ქვეყანათ, თავისუფლების დედაბუ-  
დეთ. ყენევის ნახვას, იქ ცხოვრებას ისე ვნატრობდით, როგორც მართლმორწმუნე მამ-  
მადიანი მექაში წასვლას ქააბის თაყვანისსაიქმლად“.<sup>15</sup> ქართველთა სწრაფვას ამ ქვეყნი-  
საკენ იმდენად მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რომ ცნობილმა დრამატურგმა დავით ერის-  
თავმა მას სპეციალური პიესაც მიუძღვნა „წასვლა ევროპაში“.<sup>16</sup>

სოციალური და განსაკუთრებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით გატა-  
ცებული ქართველი ახალგაზრდები მალე დაუკავშირდნენ ფრანგ კომუნარებს და რუს  
რევოლუციონერ-ემიგრანტებს, აქტიურად ჩაებნენ ინტერნაციონალის ყენევის სექციის  
მუშაობაში.<sup>17</sup> კიდევ მეტი, 1873 წელს მათ იქ შექმნეს თავიანთი რევოლუციური, ორ-  
განიზაცია „უღელი“, რომლის რადიკალური ფრთა ევროპული ლიტერატურისა და სო-  
ციალური მოძრაობის შესწავლასთან ერთად მოითხოვდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ  
ამიერკავკასიის მშრომელთა ერთობლივ ბრძოლას.

ეკვიპოვებოდა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქართველი ხალხოსნები „უღელის“ ამ  
მემარცხენე მიმდინარეობასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ეს ჩანს თუნდაც იქედან, რომ  
მისი წევრები შემდეგ აქტიურად იღვწოდნენ საქართველოსა და რუსეთის ნაროდნიკულ  
მოძრაობაში. მართლაც, რუსი ხალხოსნების ე. წ. „50-ის პროცესზე“ (1877 წლის თე-  
ბერვალ-მარტში) მთავარ დამანაშავეებად ცნეს სწორედ რევოლუციური „უღელის“ წე-

ვრები ივ. ჯაბადარი, ალ. ციციშვილი, მიხ. ჩიკოძე, გ. ზდანოვიჩი - მიაშვილი და სხვ. რომელთაც ხანგრძლივი ვადით ციმბირში პატიმრობა მიუსაჯეს.

ბათუმში ქართველ ხალხოსანთა მოღვაწეობა ჩვენი ქალაქის რევოლუციური მოძრაობის მატინის საინტერესო თავფურცელია.

## აბელ სურგულაძე.

### შ ე ნ ი შ ვ ე ნ ა ბ ი

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 19.
2. ვლ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958, გვ. 200-203; აბ. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, წ. 2, თბ., 1959, გვ. 89-110.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 595-596.
4. ზ. შველიძე, რევოლუციურ ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960; ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1961, და სხვ.
5. Деятели революционного движения в России, т. 2, вып. 3, М., 1930, с. 984.
6. ვლ. სიჭინავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.
7. იქვე, გვ. 276-277.
8. აბ. სურგულაძე, გულო კაიკაციშვილი, თბ., 1973, გვ. 7-8.
9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 7, ს. 21, ფურც. 38-39.
10. იქვე, ფურც. 31.
11. იქვე, ფურც. 32-33.
12. იქვე, ფურც. 42.
13. აბ. სურგულაძე, განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათ., 1978, გვ. 42-43.
14. ვფიქრობთ, ის. ქიქოძეს უნდა ეკუთვნოდეს გაზ. „დროებაში“ ფსევდონიმებით („გურული მოკვდა-მორჩიაშვილი“. „განაპირას გვერდით“ და სხვ.) დაბეჭდილი წერილები ქობულეთის 1875-1876 წლების მღელვარების შესახებ.
15. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი (ნახული და გაგონილი), ტფ., 1936, გვ. 10.
16. გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 457.
17. Н. Морозов, Повести моей жизни, М., 1933, т. 2, с. 189-190.



## ქაგი ფართის გასწორებისა

„ქეიშის ქალაქი“ ზურაბ ფირცხალაიშვილის პირველი პოეტური კრებულია. წიგნი დასტამბა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“.

„მანუგეშე და რა შემაჩერებს,  
უკვე გავვი ეკლიან გზაზე  
და ცხელი გული ჩემს გამსდარ ხელებს  
ჯიუტად მიაქვს სიკეთისაკენ“.

კვათხულობთ ერთ-ერთ უსათაურო ლექსში.

მეც სწორედ ნუგეშით, კარგ პოეტ კაცზე კარგი სიტყვის თქმის სურვილით ვწერ ამ წერილს. და კიდევ იმის გაგებით, რომ რაღაც გამორჩეული ვნაზე იმ ბიჭის ლექსში, რომელიც უმზერს უმთავრეს ყოვლის, სხვაგვარი ფიქრით საკუთარ ხელებს“.

ლექსების უპირველეს ღირსებად გულწრფელობა უნდა ჩაითვალოს (ბევრს ვერაფერს ვიტყვით სალექსო ტექნიკაზე. დღეს ყველამ — ნაღდა თუ წყალწყალა პოეტმა შედმიწვევით აითვისა „ლამაზად“ წერის საიდუმლოება). როგორც მკითხველს, მომწონს ისიც, რომ ავტორი არ მისდევს ზედმეტად „ზუჭუჭა“ სინტაქსს. ცდილობს სათქმელი ლაკონურად მიიტანოს მკითხველამდე. ნაცნობია მისი არეალი — წარსული. ძვირფასი თანამედროვე, მშვენიერად გადმოსცემს განწყობას, ალაგ-ალაგ თვალს გჭრის ნაცნობი აქსესუარი, სალონური ღირიკა, მაგრამ ყველგან იგრძნობა მიმართება — სწრაფვა სიღრმეებისაკენ.

ავტორის ნიჭიერებასა და მის ძალაზე, უპირველესად, მოქალაქეობრივი პაოსით გაჟღენთილი ლექსი „რევოლუცია“ მეტყველებს.

„მიხრწნილ სამყაროს აღმოხდა კვნესა,  
საბედისწერო წამებს უცდიან..  
სცენაზე დგამენ ახალ პიესას:  
„რევოლუცია“.

ლექსში მახვილი თვალთ არის დანახული სამყაროს გარდამქმნელი, სამართლიანობაზე, ხალხის ბედნიერებისათვის ზრუნვაზე დამყარებული ძალა — სოციალისტური რევოლუცია — ეს მართლაც გენიალური პიესა, რომლის რეჟისორია ვლადიმერ ლენინი, „მოქმედი პირნი — მუშათა კლასი“, „ეპიზოდებში — ბურჟუაზია“, „უსიტყვო როლში — ბატონი მეფე“ და ბოლოს მრავლისმთქმელი „სცენაზე მიდის ახლა პიესა: „რევოლუცია“.

ცხადია, ეს ლექსი ასეზის მალღა დგას იმ ლექსებზე, დღესაც რომ მრავლად იბეჭდება და რომელთა შინაარსი დაახლოებით ასეთია: ხიშტით და მუშტით, მედგარი ბრძოლით ხომ გავანადგურეთ, საზიზღარო ექსპლოატატორებო, სადაც არ ჩანს მთავარი — გათვითცნობიერებული დამოკიდებულება დიდ მოკლენასთან, მის მომავალთან, ადვილი ამ „მომავალში“.

სულისშემძვრელი სევდა ჩაბუდებული ლექსში „როცა პირველად აწვიმს საფლავებს“. იგი ფილოსოფიური ლირიკის კარგი ნიმუშია. აქ საზოგადოებრივი მამულზე ფიქრში მთავდა, ზოგს კი მამული სუფრასთან ახსოვს“) და პირადი („ცრემლის დამალვა აღარ გვიცდია, თუმცა არაფრით არ ვგავდით მთვრალებს... შვილები ასე, უხმოდ ტირიან, როცა პირველად აწვიმს საფლავებს“) ტკივილები ერთიანდება და თანადგომისაკენ მოუწოდებს ადამიანებს. ალბათ, ახგზის „გადღეობილი“ სენტენციის გახსენება გამოძღის, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: ადამიანებს, როგორც არასდროს, ახლა სჭირდებათ ეს თანადგომა, სიყვარული, მათი მოვლა-პატრონობა.

იგივე აზრი უფრო გამოიკვეთება „ქვიშის ქალაქის“ წაკითხვისას. ლექსის სიუჟეტი ასეთია: ათასნაირი და ჭრელი ხალხით გადატვირთული ზღვისპირი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, პლაჟზე წამოწოლილი კაცისა და ქალის ცხელი თვალები ვერ ამჩნევს ბავშვს, რომელიც აგებს ქვიშის ლამაზ შენობებს, სადაც მასავით ციცქნა, კეთილ მეგობრებს შეასახლებს. და აი, ვიღაცამ ნაბიჯი ჩაღვა ბავშვის ქალაქში. ამ პატარა „მწუხარე“ ამბავზე დიდი, გასაგნებული ტკივილი წარმოიშობა, „და მწუხარება, ვით ხროსიმა, აქ ზღვის ნაპირთან ბავშვის გენით, უნიკალური და ერთადერთი, ხელით ნაგები ქვიშის ქალაქი... აწ ნატერფალით ძირს დაქცეული!“ აქ უკვე საკუთარი პოეტური სუნთქვის კარგად მისადაგებაა თემაზე.

ეს უნარი მოჩანს აგრეთვე ლექსში „მეფე ერეკლეს სიკვდილი“. მას სოლოძონ ლეონიძის სიტყვები — „ხელმწიფევე მფლობელი, საზოგადო მამავ, მეფევე ირაკლი! ვის დროს ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვკვდე? ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახავად გამწარებულმან“ — აქვს წამძღვარებული და საზოგადოებაში კაცის ადგილზე, ხალხის წინაშე კაცის მოვალეობაზე მიგვანიშნებს.

პოეტი კარგად ახერხებს განწყობილების შექმნას: „ცხრა წელი ელოდა ბებიანემი ბაბუაჩემს და მეორე სამარეც გაიჭრა მუხების ჩრდილში... ასე მრავლდება ჩვენი ოჯახი სასაფლაოზე“. ეს ცხოვრებაზე ჩაფიქრებული კაცის სიტყვებია და მისი სიმაღლე, ზიზილ-პიპილების, შელამაზების გარეშე გადმოცემა ქმნის პოეტის სევდასთან თანაზიარობის განწყობილებას.

კიდევ ერთი. ბევრს ნიშნავს, რომ ხასიათების ხატვაში საიმედო შტრიხები შეიმჩნევა: „ჩვენ ზრდილობისთვის ვუსმენდით ლოთებს და ქურისაკენ გვიჭირათ თვალი“... „მთვლემარეს: ხშირად ესიზმრებოდა ჟანგით გახრული თავისი თიხი“ — კარგი სახეებია.

ჩვენ მეზს არ შევუდგებით კარგი სახეების თუ შედარებების ჩამოთვლას. წიგნში იგი ბრავლად შეხვდება მითხრავს. ვიტყვი, რომ მოვეწონა ლექსები: „სამი ვახსენება“, „მე ერთხელ შენთვის დაეუკრავ მოცარტს“, „ჩემი სენაკი“, „ძველი ურმულის ავტორს“, „ცით აღზეგება: ცდილობდა ბევრი“. მოვეწონა იმით, რომ ავტორს ბოლომდე მიაქვს სათქმელი მკითხველთან, იცნობა მისეული ხელწერა. გენერაციული ფრანზა, ინტონაცია.

და ბოლოს, გამოვიყ, — კარგ წიგნში ნაკლის ჩხრეკა უტაქტობააო, მაგრამ ეთელი, ნამდვილი პოეტი ქორდედალასავით არ გადაიფარება თავის ლექსებს, შენიშნებსაც ყურადღებას მიაქცევს, იმ იმედით, რომ ზოგიერთი შეიძლება გაიზიაროს.

„და ვცხოვრობთ ასე:  
ათახი ფიქრით,  
ცრემლით,

ტკივილით,  
იჭვით,  
სურვილით...  
ქვეყნად კი  
ყველა სიყვარულს იქით  
დღას —  
ბოროტება და სიძულვილი“...

თავი დავანებოთ იმას, რომ ეს ოდინდელი ფილოსოფიაა, რა არის აქ პოეტური? ეს დეკლარაციული, შიშველი აზრი ვერავითარ ემოციას ვერ აღძრავს მკითხველში.

„რამდენი რამე უნდა მოხდეს დღეს“. ეს ლექსი აშკარად აგებს იმით, რომ მასში შეიმჩნევა ვახტანგ ჯავახიძის ასეთივე შინაარსის ლექსის გამოძახილი და დასასრულიც — „და ყველაფერი ხდება უბრალოდ. და ყველაფერი დღეის სახელით, მიფუნებულა საღდაც უფალი და იღვევთება ცოდვის სანთელი“ — სუსტია. ესაა დასასრული იმისათვის, რომ ლექსი დაასრულო. სადაა სიმბოლური მინიშნება. უფალი, და ცოდვის სანთელი სიბრტყეზე ვერ მოთავსდება და უფლის სიჩუმით ვერ აიხსნება საოცრად რეალური, დღეის სახელით მომხდარი მოვლენები.

ავტორი უფრო ხშირად წარსული ისტორიისაკენ იყურება. ვიდრე დღევანდელობისაკენ (ერთიანობაში ასეთი შთაბეჭდილება დატოვა წიგნმა). ისტორიული ნოსტალგია ის საფარია, სადაც ახალგაზრდა პოეტები ადვილად ეფარებიან. ცხადია, აპრობირებულ თემაზე აპრობირებული სიმბოლოებით წერა ადვილია. მაგრამ რისკიც ხომ საჭიროა დამოუკიდებელი ძიებისათვის. მეორე მხრივ, ასეთი მიდგომით იქმნება ისტორიული სიმბოლოების თავისებური მზა მოდელი თუ რაღაც ამისგვარი, რომელიც, თუ ასე გაგრძელდა, ალგორითმის, ან ბოლოს, უარეს შემთხვევაში, მკვლარი სიტყვების ბაზად იქცევა. ამასთან ისტორიული თემების მოძალეა იწვევს ერთი განწყობილების ინტონაციის მოძალეებს. დიან, ერთფეროვნებას, რომელსაც მკითხველი ასე გაურბის.

კრწანისი, მარაბდა, დიდგორი, ხიხანი—მათში კონკრეტული, უზარმაზარი მოვლენები იგულისხმება. ისინი მკითხველს ხშირად ესმის, ჟრუანტელად უკლის ტანში, მაგრამ მას უფრო მომავლის „მშვიდობიანი“ მარაბდა, დიდგორი, კრწანისი და ხიხანი აინტერესებს. მისი ხატის ნახვა სწყურია და მისი მურაზი იმ პოეტს უკუთვნის, ვინც ამას დაანახებს. ზურაბს კი ნამდვილად შეუძლია ეს.

მეტი სითამამე, მეტი გაბედულება!

სოსო ავაშიძე.



# ბ ა რ ა თ ა შ ე ბ ი ლ ი

მშვიდობით, ჩემო მამულო,  
ქვაო, მიწავ და ხიებო,  
გომარდულ-ბარათაულო,  
ხალაიეთო თიებო...  
თიების დესტანი

ბარათაული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი თვალწარმტაცი სოფელია (ჭვანის ხეობა, შუახევის რ.), ამავე სახელწოდების სასოფლო საბჭოს ცენტრი. ბარათაულის სასოფლო საბჭო აერთიანებს სოფლებს გომარდულს, ზემო-ხევის, ვანს, წანკალაურსა და თვით ბარათულს. მრავლისმეტყველი ამ სოფლის ადგილთა სახელები: გორჯულათი, ჯვარი, ორხევა, სამძოლელე, ნაფლატი, ძურძუხი, ტბათი (ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, 1, ბათუმი, 1958, გვ. 76-77). საინტერესოა აქ დადასტურებული გვარსახელებიც: ბერიძე, დუშაძე, ესერიძე, ირემაძე, კილაძე, კონილიძე, მამალაძე, მსახურაძე, ტარიელაძე, ქათამაძე, ცენტრაძე, ცეცხლაძე, ჭალაძე, ჯაყელი, ჯინჭარაძე და სხვ.

ბარათაულის სასოფლო საბჭო ტერიტორიულად უფრო მცირეა, ვიდრე ბარათაულის თემი იყო XIX ს. 80-იანი წლებისათვის. ეს თემი მაშინ დასახელებულ სოფლებს გარდა, მოიცავდა ცენტრაძეებს, ვარჯანაულს, ჭალასა და წყაროთას (ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960, გვ. 124). სამი უკანასკნელი ჭვანის სასოფლო საბჭოში შედის (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 74-75)

საგეოგრაფიო სახელი „ბარათაული“ მიგვანიშნებს, რომ ამ ადგილის მფლობელი ყოფილა ვინმე ბარათა ანდა ბარათაშვილი (შდრ. ანასეული, გუბაზეული და მისთ.) „ბარათ“ ფუძე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში სხვაგანაც დასტურდება: „ბარათხევი“, მდ. ოცხის მარცხენა შენაკადი, ადიგენის რ. (ი. სიხარულიძე, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმია), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 138; ი. აფხაზავა, ბარათხევი, ქსე, 2, თბ., 1977, გვ. 200).

საკუთარ სახელ „ბარათას“ ჩვენში შემოსვლის ზემო ქრონოლოგიურ საზღვრად ჯერჯერობით, XV ს. I ნახევარი უნდა ჩაითვალოს (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 353, 373). როდის მკვიდრდება ეს სახელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში? ს. ჯიქია, სიაკათის ხელის ძნელად გარჩევის გამო, კითხვითი ნიშნის ქვეშ ადასტურებს ამ სახელს XVI ს. ერთ თურქულ ძეგლში (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა. თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, II, თბ., 1941, გვ. 55). ამრიგად, საგეოგრაფიო სახელი „ბარათაული“ XV-XVI სს ადრე ვერ უნდა წარმოქმნილიყო.

ზ. ჭუმბურიძე „ბარათას“ აღმოსავლური წარმოშობის (სპარსული ან არაბული) სახელად თვლის (ნიშნავს „ნახატს“). და ფიქრობს, რომ მისგან მომდ-



ნარეობს გვარები ბარათაშვილი, ბართია და ბართია (ზ. ჭუმბურიძე, რა გვერდია შენ? თბ., 1971, გვ. 60). ამავე რიგის უნდა იყოს გვარსახელი ბარათელიც. თუ ეს თულ სინამდვილეში დასტურდება „ბარათას“ შეკუმშული ფორმაც „ბართა“ (ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 54).

„ბარათა//ბართა“-ში ქართულ ნიადაგზე შეიძლება გამოვეყოთ „ბარ“ ძირი, რაც „ბერი“-ის სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს. „ბერ“ უძველეს ფორმაში „ბეს, შვილს“ ნიშნავდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937, გვ. 209). ამავე მნიშვნელობისა ეს ძირი არამეულში.

ვინ მოსთვლის, რამდენი ბარათა და ბარათაშვილი შეეწირა საქართველოს ავბედობას გვიან შუა საუკუნეებში. მათ ხვედრს ვერც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი ბარათაშვილები გადაურჩნენ, მაგრამ ტრადიციამ ჩვენს დროში კვლავ გააცოცხლა ეს საგვარეულო სხალთის ზეობის სათავეებში (სოფ. რაჭვთა, ხინაძირის სასოფლო საბჭო, ხულოს რ. — ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვარსახელები, 1957).

ბარათაშვილები საქართველოს სხვა კუთხეებშიც (ქართლი, იმერეთი) სახლობენ, მაგრამ ისინი არც წარმოშობით არიან ერთიანი, არც სოციალური მდგომარეობით, ზოგი თავადია, ზოგიც — აზნაური და ა. შ. პირველს მიეკუთვნებიან ქვემო ქართლელი ბარათაშვილები, რომლებიც XV ს. პირველი ნახევრის მოღვაწე „დიდი ბარათა“ ქაჩიბაძის შთამომავლები არიან. ეს საგვარეულო XV ს. წარმოიქმნა (ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 464).

საგვარეულო ლეგენდა თავად ბარათაშვილთა და მათ განაყოფ გვართა წინაპრად საქართველოში 768 წელს მოსულ ვინმე ბირიან აბაშს აცხადებს, რომელიც აბაშისშვილთა სახლის მამამთაჲარი გამხდარა. შემდეგ აბაშისშვილთ ქაჩიბაძეობა მიუღიათ, ქაჩიბაძეთ კი ბარათაშვილობა. ეს გადმოცემაც, როგორც აბაშძეობა თუ სხვა გამოჩენილ საფეოდალო გვართა წარმომავლობის ლეგენდები, გვიანდელი შეთხზული უნდა იყოს (ზ. სიხარულიძე, აბაშიძე, ჟურნ. „ჭოროხი“, № 4, 1981, გვ. 78). სხვა ვერსიით, ბარათაშვილნი, აბაშისშვილნი და ყაფლანისშვილნი სამი ქაჩიბაძის — გუგუნას, აბაშისა და დავითის შთამომავლები ყოფილან თითქოს (ბატონიშვილი გახუმტი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 33).

ქაჩიბაძენი ქართლში X-XIII საუკუნეებში მკვიდრდებიან სხვა ლიხთიმეტრულ კოლონისტებთან ერთად. ისინი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის პირას მოსახლე ქაჩების (ვაჩების) ტომის შთამომავალნი უნდა ყოფილიყვნენ. რა სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ ბარათაშვილთა წინაპრები, არ ჩანს (ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ. გვ. 480-481).

XVI-XVII საუკუნეების თავად ბარათაშვილთა სახლი დაიშალა სხვადასხვა ცალკე საფეოდალო გვარებად: ვოსტაშაბიშვილი, გერმანოზიშვილი, ზურაბიშვილი, აბაშიშვილი, ორბელიშვილ-ყაფლანაშვილი, ფალავანხოსროშვილი, იარალიშვილი და იოთამაშვილი (გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიადან, თბ., 1955).

არაერთი სახელოვანი მოღვაწე შესძინა მამულს ბარათაშვილთა საგვარეულოში, რომლის მადიდებელ ობოლ მარჯალიტად ბრწყინავს ბედისწერასთან სამარადისოდ შეურთებელი თავგანწირული მხედარი.

## წარსულ სეზონს რომ ვიხსენებთ...

იგი უკვე ისტორიის კუთვნილებაა — „ფეხბურთი — 82“. მრავალმხრივ გამორჩეული გამოდგა იგი და მათ შორის იმითაც, რომ აღრინდელი სეზონებისაგან განსხვავებით, მასზე განსაკუთრებით ბევრი ითქვა და დაიწერა. სამისო საბაზიკ იყო: უაღრესად დაძაბული საკავშირო ჩემპიონატი და მსოფლიო პირველობა. ამასთან არ შეიძლება ყურადღება არ მიგვექცია იმ ერთსულოვნებისათვის, რითაც საკავშირო თუ რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ავტორები — სპეციალისტები, მწერლები, ყურნალისტები, გულშემატკივრები განიხილავდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების გამოსვლას, იწუნებდნენ გუნდის მზადების მეთოდებს და ასევე ერთსულოვანი იყვნენ თბილისის „დინამოს“ მიმართ. გუნდისა, რომლის ბედი, ცხადია, განსაკუთრებით აღელვებთ ქართველ გულშემატკივრებს და არა მარტო მათ!

მაგრამ ფეხბურთი იმიტომ არის ფეხბურთი, რომ ყოველ მატჩზე, გუნდზე, ჩემპიონატზე, საერთო მიმართულებაზე უამრავი აზრი არსებობს. სწორედ ამ, შესაძლოა, მოჩვენებითი მისაწვდომობით, სპორტის ამ ულამაზესი სახეობის პოპულარობას რომ განაპირობებს, არის იგი ესოდენ საინტერესო, თუმცა მისი განვითარების ტენდენციები ისეთია, რომ ნიუანსებში ღრმად ჩაწვდომა ყველას როდი ძალუძს.

ამიტომაც ვისარგებლეთ შემთხვევით და „ქორიხის“ მკითხველებთან სასაუბროდ მოვიწვიეთ ბათუმში დასასვენებლად მყოფი სპორტის დამსახურებული ოსტატი სერგეი სალნიკოვი, ერთ ღროს მოსკოვის „სპარტაკისა“ და ქვეყნის ნაკრების აღიარებული თავდამსხმელი.

— დამეთანხმებით, ალბათ, რომ შარშანდელი საფეხბურთო სეზონი მდიდარ მასალას დაგვიტოვებს განსასჯელად, გასაანალიზებლად, შესადარებლად, მომავლის განსაკვრეტად. და არა მარტო იმიტომ, რომ იგი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებულია — წელიწადი მსოფლიო ჩემპიონატისა, ოთხ წელიწადში ერთხელ რომ იმართება და საბჭოთა კავშირის 45-ე, თითქმის საიუბილეო ჩემპიონატისა.

— გეთანხმებით და ბარემ იმასაც გეტყვით, რომ, ალბათ, ქართველ გულშემატკივართა მსგავსად, მეც იმედგაცრუებული ვაზღავართ.

— უფრო კონკრეტულად?

— მაშინ კონტრშეკითხვა: ჯერ შინაურ ამბებზე ვილაპარაკოთ, თუ ესპანეთის თამაშებზე?

— შინაური საქმეები მიმოვიხილოთ.

— კეთილი. საბჭოთა კავშირის 45-ე ჩემპიონატი თავისი მსვლელობით განსხვავდება წინა წლებისაგან. ამჯერად, როგორცაც, უფრო მოკრძალებულად მოიქცნენ კიევის დინამოელები, რომლებიც დიდხანს ჩრდილში იდგნენ და ქვეყნის... საფეხბურთო ტანტს მხოლოდ ფინიშზე შეუტრეს. მინსკელები თავიდავე ლიდერობდნენ, თამაშის ტაქტიკაც კარგად აითვისეს და, უნდა ითქვას, საკმაოდ ორიგინალურ და თვითმყოფად კომბინაციურ ფეხბურთს გვიჩვენებდნენ. ფაქტია, რომ ეს უაღრესად მონოლითური, მე ვიტყვოდი, პატივმოყვარე გუნდი, ელუარდ მალოფეევის წინამძღოლობით, დაუოკებლად, თავდადებით ისწრაფოდა ჩემპიონობისაკენ.

— ჩვენთვის, ბუნებრივია, საინტერესოა თქვენი, როგორც ფეხბურთის სპეციალისტის, მოსაზრებანი 1982 წლის ნიმუშის თბილისის „დინამოზე“. რასაკვირველია, თქვენ

თვალყურს ადევნებთ მის გამოხვედებს და იცით, რომ კოლექტივში დაიწყო პროცესი, რომელსაც თაობათა ცვლა ეწოდება. ამასთან სეზონის განმავლობაში გუნდს ჩამდნენ წამყვანი ფეხბურთელი დააკლდა, რამდენიც არც ერთ სხვას...

— დიახ. მარტო დავით ყიფიანის წასვლა ძიმიმ დანაკლისია და არა მარტო თბილისის გუნდისათვის. ფეხბურთის ამ კემპარიტი დიდოსტატის, ნამდვილი ლიდერის წასვლა დიდი ფეხბურთიდან მეტად გულსატკენია ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია საერთოდ ეს თამაში. დავუმატოთ ამას ვლადიმერ გუცაევის დიდი ხნით გამოსვლა მწყობრიდან! თქმა არ უნდა, დანაკლისი დიდია.


მე მესმის ქართველი გულშემატკივრებისა. თქვენ მიჩვევით თქვენი საყვარელი გუნდის შთაბეჭდავ წარმატებებს როგორც საკუშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. გულშემატკივრის ბუნება კი ასეთია: წარმატებას ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატება უნდა მოსდევდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ფეხბურთში ასე არ ხდება. აქ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: მიუხედავად ბოლო წლებში მოპოვებული მაღალი ტიტულებისა, მათ შორის ევროპულ ტურნირში გამარჯვებისა, რაც მთელი საბჭოთა ფეხბურთის დიდი მიღწევაა, თბილისელებს თავბრუ არ დახვევიათ წარმატებებისაგან. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, ახლანდელი შემადგენლობა შესაშურად განსხვავდება წინა თაობებისაგან. ამაში კი, ისევე როგორც გუნდის ყველა ბოლოდროინდელ წარმატებაში, უდავოა ნოდარ ახალკაცის დამსახურება.

სიძნელეებზე, დანაკარგებზე ვლაპარაკობდით. ჩემი აზრით, გუნდში ახლა მართლაც არასახარბიელო მდგომარეობაა. ახალგაზრდა ფეხბურთელების საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელმაც უნდა შეადგინოს ხვალინდელი თბილისის „დინამოს“ ბირთვი — ცაავა, სვანაძე, კაკილაშვილი, მესხი, ჯოხაძე და სხვები. ჯერჯერობით, ალბათ, ვერ უზრუნველყოფს გუნდის თამაშის ხარისხის იმ დონეს, რაც იყო, ვთქვით, შარშან. ესე იგი, არ ჩანს ლიდერი, რომელიც წარმართავს ახალგაზრდების მოქმედებას მოედანზე.

ახალი ამბავი არ არის, რომ თაობათა ცვლა გარდუვალია ყოველი მაღალი კლასის გუნდისათვის. ოღონდ საჭიროა მეტი მოთმინება, მეტი ნდობა მწვრთნელებისადმი. მით უმეტეს, სამწუხაროა, რომ კრიტიკის ისრები მწვრთნელებს დაუმიზნებს. ჩემი ღრმა რწმენით, ნოდარ ახალკაცი უაღრესად ნებისყოფიანი, გამოცდილი, ღრმა საფეხბურთო ერუდიციით აღჭურვილი მწვრთნელია და იგი ყველაფერს იღონებს და შეძლებს კიდევ თავის აღსაზრდელთაგან კვლავინდებური თბილისის „დინამოს“ შეკვრას. შესაძლოა, ამას ერთი წელი დასჭირდეს, შესაძლოა, ცოტა მეტი, ან სულაც რამდენიმე თვე. ძნელია განსაზღვრო, ეს ხომ ფეხბურთია. ყოველ შემთხვევაში გულშემატკივრებს მართებთ მეტი მოთმინება, ერთგულება და, მჯერა, ქართველ ფეხბურთელთა მომდევნო თაობაც არ გააწბილებს მათ, თბილისის „დინამოს“ ადვილად დაძლეეს კრიზისს და კვლავინდებურად გაახარებს არა მარტო ფეხბურთის ქართველ თავყანისმცემლებს, არამედ თავის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც. ასე ექნება. ასე უნდა იყოს, ჩემი ღრმა რწმენით.

— წარსულ ზაფხულს ესპანეთის სტადიონებზე გაჩაღებული საფეხბურთო ბატალიონებიც ვავიხსენოთ, უფრო კონკრეტულად, მსოფლიო პირველობაზე ჩვენი ფეხბურთელების გამოსვლასთან დაკავშირებული მომენტები. მხედველობაში მაქვს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პრესაში გამოთქმული მკაცრი შენიშვნები გუნდის მომზადების თაობაზე. ყველამ ერთხმად გაილაშქრა ნაკრების ხელმძღვანელობის ისეთი ფორმის წინააღმდეგ, როგორიც იყო „სამთა კავშირი“. ნათქვამია: წარმატებიდან მარცხამდე ერთი ნაბიჯიაო. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ჩვენი ნაკრების უფრო წარმატებით გამოსვლის შემთხვევაშიც დავგმობდით ტრიუმფირატის შექმნის ექსპერიმენტს?

— ესეცაა ნათქვამი: გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. თუ ამ დებულებას მივუყენებდით, ჩვენი ნაკრების მომზადების ახალ ექსპერიმენტს (მიუყენებდით კი აუ-



(ვილბლად), მაშინ, ალბათ, საწინააღმდეგო აზრი შეიქმნებოდა. მე პირადად კი (და მჯერა, ბევრი სხვაც) წარმატებას მაშინაც შემთხვევითობად, ბედის გაღიმებად ჩაუვლებდი.

ჯერ ერთი, მსოფლიო პრაქტიკამ, ისიც ამ დონეზე, არ იცის ასეთი ექსპერიმენტი — მწვრთნელთა ტრიოს შექმნა.

მეორე: თუ სამი, მაშინ რატომ ოთხი, ხუთი, ან კიდევ მეტი არა?

და, ბოლოს, ტრიუმვირატი ერთი აზრის, ერთნაირი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანების, ანუ თანამაზრეთა კავშირის ნიშნავს. ჩვენი ტრიოს წევრებს კი სულ სხვადასხვა კრედო აქვთ, დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებანი, გემოვნება, ხე-ლწერა.

რა გამოვიდა აქედან, დღეს ყველასათვის ნათელია.

— დახ, ექსპერიმენტი მარცხით დამთავრდა, რისკმა არ გაამართლა, დაიკარგა კიდევ ერთი ცდა მსოფლიო საფეხბურთო ელიტაში მოხვედრისა...

— ასეა, სამწუხაროდ. არა და, დასაწყისში კინაღამ გაამართლა: ჩვენმა ნაკრებმა მწვრთნელთა ტრიოს ხელმძღვანელობით თითქოს დააწმუნა მავანი და მავანი რისკის მიზანშეწონილობაში. მაგრამ კრიტიკულ მომენტში (კულმინაცია დღეა პოლონეთთან მატჩში) რაც აქამდე დაფარული იყო, ზედაპირზე ამოტივტივდა.

— მაინც რას ეშვარებოდა კონსტანტინე ბესკოვის, ვალერი ლობანოვსკისა და ნოდარ ახალკაცის კავშირურთიერთობა?

— მხოლოდ არაკეთილგანწყობილებას, პირადი კონცეფციების წარმოჩენას. ყველაზე უფრო დიპლომატიური პოზიცია ამ ჩუმ დავაში დაიკავა ახალკაცმა. მან ნაბიჯით უკან დაიხია და მთელი ამ ხნის მანძილზე, სრულყოფილ შეგნებულად, ჩრდილში ყოფნა არჩია.

საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ ბესკოვი და ლობანოვსკი მწვრთნელი-ანტიპოდები არიან, აბსოლუტურად საწინააღმდეგო სტილსა და მეთოდებს იყენებენ გუნდებთან მუშაობაში. ბუნებრივია, მათი ინტერესები შეეჯახებოდა ერთმანეთს. ეს, სამწუხაროდ მოხდა პოლონეთთან მატჩის წინ, როცა ბესკოვმა გამოაცხადა თამაშის მისეული გეგმა. ლობანოვსკი არ დაეთანხმა. ეს ყველაფერი კი მოხდა გუნდთან ერთად. ფეხბურთელები მოწამერი გახდნენ მწვრთნელთა შეუთანხმებლობისა, უფრო მეტიც: საპირისპირო შეხედულებათა შეჯახებისა, და ეს გადამწყვეტი მატჩის წინ!

თუ მთლად უპასუხისმგებლოდ არა, რბილად რომ ვთქვათ, გულდასმით, მოტიკრებულად არ განხორციელდა ნაკრების დაკომპლექტება. იმ დროისათვის ესპანეთში მოსალოდნელი 40-გრადუსიანი სიცხე გვეკარნახობდა შეგვეჩინა კომბინაციური, ტექნიკური მოთამაშეები. აქი ტურნირის პრაქტიკამაც გვიჩვენა, რომ არც ერთ გუნდს, ისეთი ძლიერი კოლექტივის ჩათვლით, როგორც დასავლეთ გერმანიის ნაკრები, რომელიც ძალისმიერი თამაშს მიმართავს, ესპანეთში წარმატების შანსები არ ჰქონდა. ფავორიტები იყვნენ კომბინაციური სტილით მოთამაშე, ტექნიკური გუნდები ბრაზილიისა, ირგენტინისა, საფრანგეთისა და, ბოლოს, იტალიისა. მჯერა, რომ საბჭოთა ნაკრებიც შეიძლებოდა წარმდგარიყო სხვა ხარისხით, უფრო ტექნიკურად. მაგრამ მოხდა პირიქით. მასში ძალისმიერი ფეხბურთელები ჰარბობდნენ — კიევის „დინამოს“ წევრები, ნაკლები იყო მოთამაშეები თბილისის „დინამოდან“ და კიდევ უფრო ცოტა „სპარტაკიდან“, რომელიც თამაშობს დაახლოებით იმავე მანერით, როგორც თბილისელები. ყიფიანი, გუცაევი, ჩერენკოვიც კი, ჩემი აზრით, სულ სხვა ელფერს მისცემდნენ ნაკრების თამაშს.

— მსოფლიო ჩემპიონატმა, ჩვეულებრივ, მომავალი ოთხი წლით განსაზღვრა საერთო მიმართულება ფეხბურთისა, მისი განვითარების ტენდენციები. ტონის მიმცემი, ცხადია, ახალი ჩემპიონი — იტალიის ნაკრებია, რომელმაც სწორედ მაღალი ტექნიკის,

კომბინაციური, კოლექტიური თამაშის წყალობით გაიმარჯვა. მით უფრო, რა დასაშა-  
ლია, მოულოდნელად გვეჩვენება საბჭოთა ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად საწი-  
ნაალმდეგო სტილის მიმდევრის ვალერი ლობანოვსკის დანიშვნა, რას იტყოდით  
ამაზე?

— სავსებით გეთანხმებით.

ამასთან, ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ, ლობანოვსკი როგორც მწვრთნელი,  
საკმაოდ საინტერესო ფიგურაა საბჭოთა ფეხბურთში, მას აქვს მრავალი საყურად-  
ღებო მიგნება განსაკუთრებით ათლექტურ, ფიზიკურ მომზადებაში. მას ძალუძს თა-  
ვისი გუნდი ოპტიმალურად მოამზადოს, თუმცა იგი ყოველთვის ისეთი ხარისხის და  
დონის ფეხბურთს ვერ უჩვენებს, როგორის ხილვაც ბევრს გვსურს — საინტერესოს,  
კომბინაციურს, გამოუცნობი ჩანაფიქრებით, ბურთის გონებამწვილური გატარებით,  
ფინტებით და ასე შემდეგ. კიეველთა თამაში ეს არის რბენითი, ძალისმიერი ფენ-  
ბურთის დემონსტრაცია. გუნდი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მას ვერ გაასწ-  
რებ, წინ ვერ გადაუხტები. იმაში, რომ კიეველები იშვიათად აჩვენებენ, ან საერთოდ  
არ აჩვენებენ ლამაზ ფეხბურთს, დიდია სწორედ მწვრთნელის გავლენა. მოკლედ, კიე-  
ველები მთლად ის კოლექტივი არაა, როგორადაც მე პირადად წარმომიდგენია მაღა-  
ლი კლასის გუნდი, თუნდაც იგი ქვეყნის ჩემპიონი იყოს.

რასაკვირველია, ჩემი სურვილი იქნებოდა ლობანოვსკი უფრო მრავალფეროვანი,  
მრავალმხრივი მწვრთნელი იყოს. მაგრამ, ალბათ, ეს აღარ მოხდება, რადგან საეპქოა,  
რომ იგი გარდაიქმნეს, უღალატოს თავის შეხედულებებს, უარი თქვას ფიზიკურ, ათ-  
ლექტურ მიმართულებებზე, ასე რომ, ჩემი აზრით, დროის რაღაც მონაკვეთში ჩვენს  
ნაკრებს არ გაუმართლა და რაიმე საინტერესო ძვრებს მის თამაშში, სამწუხაროდ, არ  
უნდა ველოდოთ. არა და ფრიალ გულსატკენია ეს, რადგან ფეხბურთი, მე მგონია,  
ნაღდად იქითკენ მიდის, როცა ტექნიკა გადაწყვეტს ყველაფერს, როცა მატჩი ისეთ  
შთაბეჭდილებას შეგვიქმნის, თითქოს საფეხბურთო მოედანზე კალაბურტელები არიან  
და ბურთს თითქოს ხელით აწვდიან ერთმანეთს საოცარი სიზუსტით...

საუბარი ჩაიწერა ანჟორ ზამბახიძემ.





საზეიმო სხდომა ბათუმში

სამეცნიერო-პრაქტიკული  
კონფერენცია

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა და საბჭოთა არმიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საზეიმო სხდომა შენავალი სიტყვით გახსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დიასამიძემ.

მოხსენება საბჭოთა სოციალისტური ესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნძემ.

საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშა ბ. ჭყონია, სამხედრო მოსამსახურე ი. სტროგოვი, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. ცანავა, ხელვაჩაურის რაიონის თხილნარის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. დუმბაძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი ა. ბაჭელიძე.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ ახალგაზრდა ლენინელები, აჭარის სახელოვანი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი“. იგი მოაწყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პროფესორმა ვ. პაპუნძემ.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის დოცენტ ნ. გუგუნავას მოხსენება „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი და ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანები“.

მოხსენებით „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა — ლენინური ეროვნული პოლიტიკის ქეშმარიტი ტრიუმფი“ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი ვ. მერკვილაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. სტურუამ წაიკითხა მოხსენება „ვ. ი. ლენინი და ამიერკავკასიის ფედერაცია“.

კონფერენციაზე გამოვიდნენ შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სსრ კავ-

შირის სახლთა ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი პ. ცეცვიტარია და სხვ.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უნგიაძე, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. მანჯგალაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე გ. დიასამიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ო. ეგაძე.

### იუბილეს აღსანიშნავად

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქ. ბათუმის წითელდროშოვანი სასაზღვრო რაზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი აჭარისა და აფხაზეთის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ჩიგოგიძემ.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა სახელით სასაზღვრო რაზმის პირად შემადგენლობას იუბილედ მიულოცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნძიმ.

სასაზღვრო რაზმის სახელოვანი 60 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ოფიცირმა დ. პასენიშ.

მესაზღვრეებს მიესალმნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი გ. კუცი. სასაზღვრო რაზმის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ბოიარსკი, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჭინისწყლის

კოლმეურნეობის ბრიგადირი, ნებაყოფ-

ლობითი სასაზღვრო რაზმეულის მეთაური სოციალისტური შრომის გმირი მ. მიქელაძე, ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. დოლიძე, ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. ჩიქურაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ი. გავა, აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების თავმჯდომარე ა. ჭიანი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ჯ. მიქელაძე, აჭარის პროფსაბჭოს მდივანი გ. კიკნაძე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს განყოფილების უფროსი ს. ტოშუა, საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი ს. ინაიშვილი და სხვები.

თბთბირნი სპარტაველოს კომპარტიის აპარის საოლქო კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის შედეგებზე გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის თათბირი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნივამ.

თათბირზე მოხსენებით „სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის შედეგები“ გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი ვ. კონომარიოვი.

უფრო ადრე ამხ. ვ. კონომარიოვმა უურნალისტების, პოლიგრაფიული გაერთიანებისა და გამომცემლობის მუშაკებისათვის წაიკითხა ლექცია „ქვეყნის პოლიგრაფიული მრეწველობის მდგომარეობა“

რეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“.

### გალაქტიონ ტაბიძის მიმდევან

ი. ჯავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართა დიდი ქართველი პოეტის გალაქტიონ ტაბიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ჩაირთო ფირი, რომელზეც აღბეჭდილია გალაქტიონ ტაბიძის ხმა, იგი მგზნებარედ კითხულობს თავის ლექსებს „მთაწმინდის მთვარე“, „ოქრო აჭარის ლაუვარში“.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ.

გალაქტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი ფ. ხალვაში.

სიტყვით გამოვიდნენ პოეტი მ. ვარშანიძე, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორი ა. ახვლედიანი, პოეტი შ. ხაჯიშვილი, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ა. გელაძე.

გალაქტიონისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ც. ანთაძემ, შ. ზოიძემ, ვ. ლლონტამ, ჯ. ქათამაძემ, ზ. გორგილაძემ.

ი. ჯავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მხატვრული კომპოზიცია „ოქრო აჭარის ლაუვარში“.

### აჭარის მხატვართა ნამუშევრების საიუბილეო გამოფან

აჭარის მხატვართა კავშირის, საგამოფანო დარბაზში მოეწყო აჭარის მხატვართა ნამუშევრების გამოფანა, რომელიც მიძღვნა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს.

გამოფანაში მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა თაობის მხატვრები და მოქანდაკეები.

### ფოტოგამოფანა „სსრკ-60“

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების შენობაში გაიხსნა ფოტოგამოფანა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს მიძღვნა.

ფოტოგამოფანა „სსრკ-60“ მოამზადეს საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებამ, უურნალ „ქოროხის“ რედაქციამ და ვ. ი. ლენინის სახელობის ბათუმის № 1 საშუალო სკოლამ.

გამოფანაზე წარმოდგენილია საოლქო და რაიონული გაზეთების ფოტოკორესპონდენტების, აგრეთვე უურნალ „ქოროხთან“ და ბათუმის № 1 საშუალო სკოლასთან არსებული ფოტოკლუბების „კახაბრისა“ და „იმედის“ ფოტომოყვარულთა ნამუშევრები. სამასამდე ფოტონამუშევარი ასახავს ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურ და კულტურულ მიღწევებს საბჭოთა ხელიწყოების წლებში. გამოფანაზე წარმოდგენილია სოციალისტური შრომის გმირების გ. ჭანიძისა და მ. აბაშიძის ფოტოები, აქვეა მწერლების, მსახიობების, მხატვრების სურათები, ჩვენი მხარის თვალსაჩინო პეიზაჟები.

ფოტოგამოფანის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუნავა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ცუცხლაძე.

### „საბჭოთა სპარტიველომ“ გამოსცა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დაბეჭდა ჯემალ ქათამაძის ლექსების წიგნი, რომელსაც „მშვიდი ზღვა“ ჰქვია.

წიგნის ანოტაცია გვაუწყებს, რომ „კრებულის ლირიკული გმირი გულწრფელად, უბრალოდ გვესაუბრება საკუთარ, პიროვნულ განცდებზე, ომის დანატოვარ ტკივილებზე, ჩივიარულზე, მშობლიური კუთხის თვალწარმტაც ბუნებაზე, — დედანამშობლოს — საქართველოს წარსულზე, დღევანდელ დღესა და ნათელ მომავალზე.

აპოლოგია სიკეთისა, სიყვარულისა, სიცოცხლისა და სილამაზისა, — აი წიგნის ძირითადი ლიტმოტივი“.

ინტერესით იკითხება ლექსები „აკა-

რის მთებში“, „მოპატიუება“, „სალოლოზო“, „ჩემი სალოცავი“, „ბაღდადის ცაო“, „ორი ლექსი ლადო ასათიანზე“, „ეს თეთრონი“, „მამას“, „ჯარისკაცული“. „მწვანე კონცხი“ და სხვ.

ცხოვრებას მხოლოდ ადამიანი ალამაზებს, შრომა, სიკეთე და თავდადება გამოარჩევს ადამიანს. სწორედ ასეთ გამოარჩეულ და გამოჩენილ ადამიანებზე, მიწისა და მზის სიყვარულზე, მშვიდობაზე და ხალხთა მეგობრობაზე წერს პოეტი.

წიგნის რედაქტორია ე. ფალიანი, მხატვრულად გააფორმა ო. გორალევიჩმა.

---

## მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, ვიორგი ბახჩილაძე, ზურაბ გორგილაძე, მამია შარუანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ზომიძე, დავით თედორაძე, გიორგი სალუქვაძე, ჯემალ ქაბაშაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, შრიდონ ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი, ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

---

გადაეცა წარმოებას 20.12.82, ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.1.83, საბეჭდი თაბახი 5,5, საგამომცემლო 5, შეკვეთის № 3548, ემ 01002, ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

124  
6 / 31



3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**„ЧОРОХИ“**

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 78118